

# თამაშის როლი და მნიშვნელობა

თამაშები და აქტივობები 0-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის



ავტორი: ლინდა ბაესტერი  
ილუსტრაციები შესრულებულია  
სიუზენ თომპსონის მიერ

## „ლუმოსის“ შესახებ

„ლუმოსი“ (Lumos) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მწერალ ჯ.კ. როულინგის მიერ დაარსდა და რომლის მიზანსაც წარმოადგენს დაასრულოს ბავშთა ინსტიტუციონალიზაცია მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ ვმუშაობთ ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის განათლების, ჯანდაცვის და სოციალური სისტემის ტრანსფორმაციის კუთხით, რათა დავეხმაროთ ბავშვებს მიიღონ მზრუნველობა ოჯახურ გარემოში. ჩვენ ვართ „გაეროს გლობალური პარტნიორობა შშმ ბავშვებისათვის“ დამფუძნებელი წევრი და ასევე საჯარო-კერძო საპარტნიორო სააგენტოს „ლიდერთა საბჭო გლობალური ალიანსი ბავშვებისათვის“ წევრი.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „ლუმოსი“ გაერთიანებულ სამეფოშია რეგისტრირებული და მისი პროგრამები ხორციელდება ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, მოლდოვასა და უკრაინაში.

წინამდებარე წიგნი „**თამაშის როლი და მნიშვნელობა: სათამაშო აქტივობები 0-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის**“ წარმოადგენს სატრენინგო და მასალების სერიის ნაწილს, რომლებსაც გამოიყენებენ უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს [wearelumos.org](http://wearelumos.org)

მოგვცხენეთ „ტვიტერზე“ - @Lumos ან მოგვწერეთ ელ-ფოსტა შემდეგ მისამართზე [info@wearelumos.org](mailto:info@wearelumos.org)

Lumos Foundation - დაარსებული ჯ.კ. როულინგის მიერ - არის შებენიერი პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია ინგლისსა და უელსში, რეგ. no. 5611912

საქველმოქმედო ორგანიზაციის სარეგისტრაციო no.1112575

© Lumos 2015. ყველა უფლება დაცულია. (04.15)

### მადლობა



ლუმოსი მადლობას უხდის ბავშვებს როუპილის სკოლიდან, ლონგფილდიდან და კენტიდან წინამდებარე წიგნში მათ მიერ მოწოდებული ნახატებისა და სურათებისთვის რომლებიც განთავსებულია 96-101 გვერდებზე.

**დიდი მადლობა თქვენ:**  
ბობი, ალი, კირონ, ჯონ, ეთან, მარი!



Protecting Children. Providing Solutions.

# თამაშის როლი და მნიშვნელობა

2015

წიგნი ინგლისურიდან თარგმნა გიორგი პირველაშვილმა,  
ორგანიზაცია “ მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის “  
მხარდაჭერით.







# თამაშის როლი და მნიშვნელობა

თამაშები და აქტივობები 0-დან 17 წლამდე ასაკის  
ბავშვებისათვის

ავტორი: ლინდა ბაქსტერი

ილუსტრაციების ავტორი: სიუზენ თომპსონი



Protecting Children. Providing Solutions.

2015



## ლინდა ბესტერი

ლინდა ბესტერმა განათლება მიიღო სიდკაპის „სენტ ჯოზეფის ქალთა მონასტერში“.

გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა ფონდ Wellcome Foundation-ში, რის შემდეგაც გაიარა მასწავლებლის კურსები ლონდონის უნივერსიტეტში, მეცნიერებისა და განსაკუთრებული საჭიროებების სპეციალიზაციით და კვალიფიკაცია მიენიჭა 1974 წელს. მას აქვს მუშაობის გამოცდილება როგორც დანყებით, ასევე საშუალო სკოლაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონეთა განათლების კუთხით.

ლინდას ასევე აქვს 15-წლიანი მუშაობის გამოცდილება პედიატრთა გუნდთან ერთად ადგილობრივ საავადმყოფოში, სადაც აკეთებდა კომპლექსური საჭიროებების მქონე ბავშვების შეფასებას. ეს მუშაობა საფუძვლად დაედო იმ ფასდაუდებელ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც აუცილებელია ბავშვთა საჭიროების შესაფასებლად.

ლინდა არის დაოჯახებული და ჰყავს ორი შვილი. რამოდენიმე წლის განმავლობაში ის სათავეში ედგა ადგილობრივ ჯგუფს, რომელიც მუშაობდა მსოფლიო განვითარებისა და სამართლიანი ვაჭრობის საკითხებზე.

პენსიაში გასვლის შემდეგ ლინდა ჩართული იყო საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, როგორც მოხალისედ, ასევე კონსულტანტად. ამ საქმიანობამ იგი მიიყვანა აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც ის ლუმოსთან ერთად მონაწილეობას იღებდა მოლდოვაში დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებზე მომუშავე პროგრამებში, ასევე, ეხმარებოდა პროგრამებს “დნესტრისპირეთი იმედით” და “სახლი ბავშვებისთვის”

ბოლო დროს ლინდა ჩაერთო პროექტებში უგანდასა და კენიაში, სადაც ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებს ეხმარება. ამ საქმიანობაში შედის სემინარების გამართვა და ქალაქის ავეჯის დამზადება, რაც გამიზნულია შშმ ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებისათვის. მისი ფილოსოფია მოიცავს ხალხის დახმარებას დამოუკიდებლობისა და მდგრადი ავტონომიის მოპოვებაში.

2012-ში ლინდამ დააარსა საქველმოქმედო ორგანიზაცია სახელად „დიდი იმედები ბავშვებისათვის“ (High Hopes for Children).



## სიუზენ თომპსონი

*ხელით შესრულებული ლამაზი ილუსტრაციები ამ წიგნში შექმნილია სიუზენ თომპსონის მიერ.*

*სიუზენს საკმაოდ მრავალფეროვანი კარიერა ჰქონდა განვლილი ცხოვრების მანძილზე, დაწყებული მისი მუშაობით Vidal Sassoon-ში ადრეულ 70-იან წლებში და დამთავრებული მისი ამჟამინდელი სამუშაოთი NHS-ში, სადაც იგი ოკუპაციურ თერაპევტად მუშაობს ადგილობრივ სტაციონარში. მისი კარიერის მანძილზე სიუზენი იყენებდა თავის მხატვრულ ნიჭს ბროშურების, წიგნებისა და პოსტერების ილუსტრირებისათვის. მან ასევე, მოიგონა სპეციალური სახელობო მასალები საავადმყოფოებში პაციენტების მიერ გამოსაყენებლად.*

*სიუზენი ცხოვრობს კენტის საგრაფოში, მეუღლე მაიკლთან და მამველ ძალღ ტედისთან ერთად. მას ჰყავს ორი ზრდასრული შვილი.*

---

# შინაარსი

I. შესავალი

9

II. განვითარების მიმართულებები

11

III. სათამაშო აქტივობები 0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

14

IV. სათამაშო აქტივობები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

32

V. სათამაშო აქტივობები 6-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

56

VI. სათამაშო აქტივობები 10-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

102

VII. აქტივობები სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის

116

VIII. დანართი

133

# შესავალი



თამაშებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის ზრდის პროცესში. თამაშის მეშვეობით ბავშვები შეიცნობენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს.

გაეროს ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის 31-ე მუხლში წერია შემდეგი: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების უფლებას, იმ უფლებას, რომ მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის ასაკს, და თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.“

წინამდებარე წიგნში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბავშვთა ასაკისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის შესაფერის აქტივობებზე, რაც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა **ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარები; ენა; კოგნიტიური, ემოციური და პერსონალური უნარები; თვითმომსახურების უნარ-ჩვევები; შემოქმედებითი და წარმოსახვითი უნარები.** აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს, სტიმული მისცეს და წახალისოს ბავშვის განვითარება და მისი სრული პოტენციალის გამოვლენა.

შეთავაზებული აქტივობები **ყველა** ბავშვს აძლევს მათში ჩართულობის შესაძლებლობას. ფიზიკური, სენსორული, სწავლის ან კომუნიკაციის სირთულეების მქონე ბავშვებს აქტივობებში ჩართვისათვის დასჭირდებათ დახმარება.

მაგალითისთვის, ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი შესაძლოა, წაანყდეს სირთულეებს ისეთ აქტივობებში, როგორცაა თავისუფლად მოძრაობა და გარესამყაროს შეცნობა, არჩევანის გაკეთება და სხვადასხვა ხარისხის და თვისებების მქონე მასალების და ზედაპირების გარჩევა. ასეთი ბავშვი შეიძლება მიჩვეული იყოს პასიურობას და სწორედ ამიტომ თამაშში მონაწილეობისთვის ის საჭიროებს დახმარებას.

კომუნიკაციური სირთულეების და/ან აუტიზმის მქონე ბავშვებს დასჭირდებათ ინდივიდუალური და სპეციფიკური მისგომა აქტივობებში ჩართვისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში კი, შესაძლოა, საჭირო იყოს შესაბამის თერაპევტებთან კონსულტირება.

## უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები:

### თამაშის მომზადების წინ მხედველობაში იქონიეთ შემდეგი:

ძალიან ხშირად პატარა ბავშვები პირში იღებენ სხვადასხვა ნივთებს, ასე რომ, მოაშორეთ ნებისმიერი ის ნივთი, რომელიც გაგუდვის რისკის მატარებელია.

დარწმუნდით, რომ სათამაშოები და მოწყობილობები იმყოფება გამართულ მდგომარეობაში, ყოველგვარი წვეტოვანი კუთხის ან უხეში ნაწილების გარეშე, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ბავშვების დაშავება.

ისეთი თამაშებისათვის, რომლებიც შეიცავენ სირბილს, დარწმუნდით, რომ არსებობს შესაბამისი, სამყოფი სივრცე სირბილისთვის. აღნიშნულ სივრცეს მოაშორეთ ისეთი ნივთები, რომლებსაც აქვთ მყარი, ბასრი კუთხეები ან დაფარეთ ისინი. მაგალითად, თუ ბავშვი დაეცემა რადიატორზე, ის შეიძლება მძიმედ დაშავდეს.

**არასოდეს** დატოვოთ პატარა ბავშვები უმეთვალყურეოდ; თუკი თამაში წყალთანაა დაკავშირებული, ბავშვებთან **ყოველთვის** უნდა იმყოფებოდეს პასუხისმგებელი უფროსი.

## განვითარების მიმართულებები

აქტივობების შერჩევისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა განზრახვა გაქვთ და თუ რის მიღწევას გეგმავთ სხვადასხვა ბავშვთან მიმართებაში. განვითარების მიმართულებებზე დაკვირვებით ჩვენ შეგვიძლია იმის თქმა, თუ რა მიზნები გვაქვს; ეს განსაკუთრებით სასარგებლოა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ბავშვებზე კარგი დაკვირვება და ბავშვის კარგად ცნობა თქვენ დაგეხმარებათ აქტივობის შერჩევის პროცესში. ბავშვი მალევე დაკარგავს ინტერესს თუკი რომელიმე აქტივობა მის შესაძლებლობებს სცდება; ასევე, თუკი ესა თუ ის აქტივობა ძალზე მარტივია, ბავშვს მალევე ბებრდება ის.

ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი განვითარებით და გამოცდილებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ისინი სპეციალური საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი არიან.

**ნატიფი მოტორული უნარები:** ხელების გამოყენება ნატიფი მოქმედებების შესასრულებლად და ხელისა და თვალის კოორდინირება, ნივთების აღება, ხატვა, თითებით, კოვზით ან ჩანგლით ჭამა, თასების შეკვრა.

**მსხვილი მოტორული უნარები** - ეს არის უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, რომლებიც ყალიბდება ჩვილობის და ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როგორც ბავშვის მოტორული განვითარების შემადგენელი ნაწილი. იმ დროისათვის, როცა ისინი აღწევენ ორი წლის ასაკს, თითქმის ყველა ბავშვს შეუძლია წამოდგომა, სიარული, სირბილი, კიბეებზე ასვლა და ა.შ.. ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს უნარები აგრძელებს ჩამოყალიბებას და გაუმჯობესებას. ასევე უმჯობესდება მათი კონტროლი. აღნიშნული უნარები იხვეწება ბავშვთა განვითარების თითქმის მთელ ეტაპზე - მათსრულწლოვანებამდე.

მსხვილი მოტორული მოძრაობები ეს არის მსხვილი კუნთების ჯგუფებისა და მთლიანი სხეულის მოძრაობა. შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქტივობაში ჩართვისთვის სჭირდებათ ინდივიდუალური დახმარება- ექიმის კონსულტირებით.

**ენა:** ეს მოიცავს მოსმენის უნარს, ალქმის უნარს (წარმოთქმული სიტყვების და სურათების გაგება), გამოხატვის უნარებს (სიტყვების ჩამოყალიბება და წინადადებების შედგენა), დეკოდირების უნარს, სმენით დისკრიმინაციას და სმენით მესხიერებას (იხ. დანართი დაწვრილებითი ინფორმაციისა და აქტივობებისათვის).

**კოგნიტიური უნარები:** შემეცნებითი უნარები, როგორცაა: ალქმა, აზროვნება, ყურადღება, მესხიერება, მეტყველება.

**სოციალური, ემოციური და პერსონალური უნარები:** თანაგრძნობის უნარის ქონა, თანამშრომლობა, სხვადასხვა სიტუაციების მიხედვით მოქმედება, გარკვეული რეაქციებისა და ემოციების შეკავება.

**თვით-დახმარება:** საკუთარი გარემოს ორგანიზება, ჩაცმა და გახდა, კვება, დაბანა და საკუთარ თავზე ზრუნვა, საფრთხეების ამოცნობა.

**შემოქმედებითი და წარმოსახვითი უნარები:** მინიატურული სათამაშოების გამოყენება, როლური თამაშები, ხელოვნების მასალების გამოყენება საკუთარი თავის გამოხატვისათვის, შემოქმედებითი და წარმოსახვითი აზროვნება.

### ბავშვის განვითარების ეტაპები

ბავშვებზე გულდასმითი დაკვირვების შედეგად თქვენ შეძლებთ მათი განვითარების დონის შესაბამისი აქტივობების შერჩევას. თუკი ბავშვს ჯერ არ მიუღწევია განვითარების შესაბამისი დონისათვის, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან შეძლოს სხვა დონეზე გადასვლა ამ ეტაპის დასრულებამდე.

### ჩვილები და მცირე ასაკის ბავშვები

დამტკიცებულია, რომ ადრეულ ეტაპზე, დაბადებიდან რამოდენიმე დღეში ჩვილ ბავშვს შეუძლია საკუთარი დედის ხმის ცნობა. სმენის საშუალო ან მძიმე დაქვეითების მქონე ბავშვებმა, პირველ რიგში, უნდა გაიგონ ხმის არსებობის შესახებ. ხმის ყურით გავონებამდე მათ შეიძლება ის იგრძნონ სხეულით, ვიბრაციის სახით.



ორ ადამიანს შორის კომუნიკაცია მოიცავს თვალით კონტაქტს. თვალთ კარგი კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება მნიშვნელოვან სოციალურ უნარ-ჩვევას წარმოადგენს. თანამოსაუბრის სახეში ყურება თქვენ მოგცემთ ინფორმაციას მის მიერ გამოყენებული ენის შესახებ მისი სახის გამომეტყველებით, ჟესტიკულაციით, ტუჩების ფორმითა და ნიშნებით. საუბრისას ერთდროულად რამოდენიმე ფაქტორზე დაკვირვება კომუნიკაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ბავშვი უყურებს რომელიმე კონკრეტულ საგანს, ხოლო მშობელი მის მზერას თვალს აყოლებს და აკეთებს კომენტარს. ეს არის კომუნიკაციის და მონაცვლეობის დასაწყისი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დიალოგი შედგეს. ქვემოთ მოყვანილი აქტივობები სასარგებლოა როგორც კომუნიკაციის სირთულის მქონე ბავშვებისათვის, ასევე ახალშობილებისა და ჩვილებისათვის.

# თამაშები და აქტივობები 0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

ქვემოთ მოყვანილი აქტივობები უნდა ჩატარდეს მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ყურადღების გამფანტველი ფაქტორების გარეშე. აღნიშნული აქტივობები, ასევე, სასარგებლოა ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევის და კომუნიკაციური სირთულეების მქონე შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებისათვისაც.

**ყურადღება:** მცირე ასაკის ყველა ბავშვი უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ უსაფრთხო გარემოში, უსაფრთხო და მათთვის შესაფერის სათამაშოებთან ერთად.




## თვალის მიყოლება

ჩვილ ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ სათამაშოსათვის თვალის მიყოლება. მათთვის ასევე საინტერესო საყურებელია ბუშტები, საპნის ბუშტები და ჭოხებზე დამაგრებული თოჭინა-მარიონეტები. ეს მოქმედებები სრულდება ზრდასრული პირის მიერ ბავშვის პირისპირ, მისი თვალების დონეზე ჭდომისას; ბავშვის მიერ ბუშტის ან თითზე წამოცმული თოჭინა-მარიონეტის თვალიერებისას მყარდება მხედველობითი კონტაქტი.

ნუ აიძულებთ ბავშს თვალით კონტაქტის დამყარებას; დაე, ეს მოხდეს თავისით. ზოგიერთი ადამიანი ფიზიკურად ვერ იტანს და/ან გრძნობს დისკომფორტს თვალით კონტაქტის დამყარებისას; მაგალითად, აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვები.





სხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს თვალით კონტაქტს:

- თამაშები, როგორცაა ხელის ჩაჭიდება, რწევა და სიმღერა.
- ერთმანეთისთვის ბურთის გაგორება
- თოჯინა-მარიონეტის გამოყენება თქვენს სახესთან ახლოს
- ჩამოიცვით თავზე ქუდი ან ნაჭერი და მოახსენებთ ის ბავშვს
- ერთად ჯდომა სახით სარკისაკენ. ზრდასრულ პირს შეუძლია სხვადასხვა მოქმედების შესრულება ბავშვის დასაინტერესებლად, რათა მან ამ მოქმედებებს სარკეში უყუროს.



### ფერადი ბუმბულაბი

ბუმბულით შეეხეთ ბავშვს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე და დაასახელეთ ისინი, მაგ. „თითი“, „თავი“, „ცხვირი“ და ა.შ..



შეეხეთ ბუმბულით თქვენი სახის სხვადასხვა ნაწილს და დაასახელეთ ისინი.

ისეთი სიმღერები, როგორცაა „თავი, მხრები, მუხლები და ფეხის თითები“ და „თუ ბედნიერი ხარ და ეს იცი“ დაეხმარებიან ბავშვებს გაითავისონ სხეულის სხვადასხვა ნაწილის სახელები.



### მუსიკალური და ხმოვანი სათამაშოები

ხმოვანი სათამაშოები, სარაჩხუნოები, გარები და მუსიკალური ინსტრუმენტები კარგია თვალით კონტაქტის დასამყარებლად. დაუმალეთ ბავშვს სათამაშო და დაელოდეთ მის რეაქციას; ამ გზით შესაძლებელია, ბავშმა ისწავლოს შეკითხვის დასმა ან იმის მინიშნება, რომ მას „კიდევ“ სურს, რომ თქვენ გაიმეოროთ ესა თუ ის მოქმედება. ბავშვი ასევე სწავლობს დალოდებას. მათ ძალიან გაუხარდებათ ახალ-ახალი ხმების გამოცემა.





## თამაშები რიგითობის დაცვით

ბავშვისათვის ბურთის ან სათამაშო მანქანის მიგორება და უკან გამოგორება მას ასწავლის მონაცვლეობით თამაშს და მოლოდინს. თქვენ შეგიძლიათ ცვალოთ აქტივობები, რათა ბავშვმა ინტერესი არ დაკარგოს, მაგალითად, შეგიძლიათ მას დაუმალოთ ბურთი ან სათამაშო ავტომობილი უცნაურ ადგილებზე და შემდეგ ჰკითხოთ: „სად არის ბურთი“ ან „სად არის მანქანა“?



ასევე, შეგიძლიათ შეასრულოთ შემდეგი მოქმედებები მონაცვლეობით: დოღზე დაკვრა, ყუთში საგნების ჩანყობა და ბუშტით თამაში ერთმანეთთან.





### საბავშვო სიმღერები და ლექსები

მსოფლიოს ბევრ კულტურაში არსებობს უამრავი მარტივი ტიპის სიმღერა ჩვილი ბავშვებისათვის. ადრეული ასაკიდანვე ბავშვებს შეუძლიათ ყურადღების მიქცევა მარტივი და განმეორებადი სტრუქტურის სიმღერებისა და საბავშვო ლექსებისადმი. ისინი ბავშვებს ასწავლიან საუბრის რიტმის შეგრძნებას და მიაჩვენენ მათ განმეორებად სიტყვებსა და ხმებს.



ბავშვის შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, თქვენ შეგიძლიათ გამოტოვოთ გარკვეული სიტყვები ლექსებსა თუ სიმღერებში, რათა ბავშვმა თავად შეავსოს ეს გამოტოვებული სიტყვები. ასევე კარგია, თუ ბავშვი გეყოლებათ ახლოს ან მუხლზე დასმულს ახტუნავებთ თქვენი სიმღერის რიტმის აყოლებით.

ასევე, კარგია სიმღერებთან ერთად თითების და სხვადასხვა მოქმედებების გამოყენება, ვინაიდან ამ დროს ბავშვი მათზე ახდენს ფოკუსირებას. შეგიძლიათ გამოიყენოთ მოხატული თითები და თითებზე წამოსაცმელი თოჯინა-მარიონეტები, რომლებიც მარტივად დასამზადებელია ქაღალდის ფურცლების გამოყენებით.





## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## დამალობა


აიფარეთ ხელები სახეზე, შემდეგ ისევ გამოაჩინეთ სახე და თქვით „ჭი-ტა“ (სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა სიტყვები გვხვდება). თქვენი ან ბავშვის სახის დასაფარად შეგიძლიათ გამოიყენოთ ქსოვილის ნაჭერი, შემდეგ მიეცით ბავშვს მისი ჩამოსხნის საშუალება და გაიმეორეთ ეს აქტივობა. ამ შემთხვევაშიც, ამ აქტივობის შემადგენელი ნაწილი მოლოდინია, ოღონდ ბავშვს დიდხანს ნუ ალოდინებთ, თორემ ის დაკარგავს ინტერესს. ასევე შეგიძლიათ, ბავშვს დაუმალთ სათამაშო ქსოვილის ნაჭრის ქვეშ და შემდეგ მოაძებნინოთ ის. ეს წარმოადგენს ბავშვის განვითარების ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს, რომელსაც „ობიექტის მუდმივობა“ ეწოდება.



## ფიგურების დაწყობა, აშენება და საგნების ჩაწყობა კონტეინერებში

გამოიყენეთ სათამაშო აგურები ან ასაწყობი პირამიდები. ბავშვს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტები სხვადასხვა საგნებით და ახლოდან შეისწავლოს ისინი, სანამ მათ

აწყობას შეუდგება. ბავშვებს ძალიან უყვართ კონტეინერებში საგნების ჩაწყობა-ამოღებები. თუკი ამაში ისინი ძალიან დახელოვდნენ, მაშინ უკვე დროა აქტივობებში ისეთი სათამაშოები შემოიტანოთ, რომლებიც ფორმის მიხედვით დახარისხებას მოითხოვს.





## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

---



### თოჭინებითა და რბილი სათამაშოებით თამაში

15 თვის ასაკის ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ თოჭინები, როგორც იმიტირებული ადამიანები. მათ შეუძლიათ თოჭინებს აჭამონ, დააღვინონ სასმელები და დაუვარცხნონ თმები. როგორც წესი, ამ მოქმედებებს თან ახლავს ბავშვის ბუტბუტი.



### დიდი ზომის ცარიელი ყუთები

პატარა ბავშვებს უყვართ მუყაოს ყუთებში ძრომიალი; მათ წარმოსახვაში ისინი ასახიერებენ ავტომობილებს, ავტობუსებს, მაგიდებს, ღუმელებს და გემებს. ამგვარი აქტივობებით ბავშვები სწავლობენ საკუთარი ზომების და მათ მიერ დაკავებული სივრცის შესახებ. (ხელს უწყობს სენსორულ ინტეგრაციას)





## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## მისაწოლი - საგორიანო სათამაშოები

ურიკა ან საბავშვო ეტლი დაეხმარება ბავშვს დგომასა და სიარულში და მისცემს მათ სივრცის, ორიენტაციის და მიმართულების შეგრძნებას.






## ავტომობილები და მატარებლები

უსასრულო სიხარული პატარა ბიჭებისა და გოგონებისათვის!

ბავშვებს კიდევ უფრო გაამხიარულებთ, თუკი მოუწყობთ აგურებით ან მუყაოთი დამზადებულ მარტივი კონსტრუქციის გვირაბებს და სახლებს.

მატარებლებისა და ავტომობილების დამზადება ასევე შეგიძლიათ მუყაოს დიდი ყუთებისაგან.





### სხვადასხვა ზომის ბურთები

ადრეულ ასაკშივე ბავშვებს შეუძლიათ მარტო ან ზრდასრულ პირთან ერთად ბურთით თამაში. ისინი სწავლობენ ბურთის სროლას, დაჭერას, დამიზნებას და ფეხის კვრას. რკალი ან ყუთი გამოგადგებათ ბურთის სამიზნედ.



### წყლით თამაში

პატარა ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ წყლის ზოგიერთი თვისების შესახებ თუკი მათ თხელ ვარცლზე წყლით თამაშის ნებას დართავთ;

მათ, შესაძლოა, ძალიან მოეწონოთ ისეთი თამაშები, როგორცაა ჭურჭლის დარეცხვა ან თოჭინების ტანსაცმლის გარეცხვა. (მეთვალყურეობა აუცილებელია, რადგან ბავშვი შესაძლოა დაიხრჩოს რამოდენიმე სანტიმეტრის სიღრმის წყალშიც კი).



### ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## საძერწი ცომი

პატარა ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ მცირე რაოდენობის საკონდიტრო მასალით ან ცომით. მათ შეუძლიათ ისწავლონ ხელებით ცომისთვის სხდასახვა ფორმის მიცემა ან პლასტმასის საჭრელებით ფორმების გამოჭრა.

აღნიშნული აქტივობის შესრულებისას ბავშვები უნდა იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## სახელოვნებო აქტივობები

ზოგიერთ ბავშვს ძალიან მოსწონს ისეთი სახელოვნო აქტივობები, როგორცაა მსხვილი პასტელებით ხატვა ან თითებით გაფერადება.

აქტივობები:

- შექმენით პეპელას ნახატები - გაყავით ფურცელი ორ ნაწილად და თითოეულ ნაწილში გამოიყენეთ 2-3 ფერი. შემდეგ გაკვეთეთ ეს ფურცელი, დააჭირეთ მას და გაშალეთ, ისე რომ მან ახალი ფორმა მიიღოს.
- ბოსტნეულზე, სხვადასხვა ფორმის ღრუბლებზე, ფოთლებზე ან ხელზე საღებავის წასმით გააკეთეთ ანაბეჭდები ფურცლებზე.
- დიდი ზომის სტიკერებით ან თექის დიდი ზომის ნაჭრებით მორთეთ თექის დაფა.

**სახელოვნებო აქტივობების შესრულებისას ბავშვები ყოველთვის უნდა იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ.**





## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



### უფროსების მიბაძვა

პატარა ბავშვები მოახდენენ თქვენი ქმედებების იმიტაციას, თუკი მათ ამის შესაძლებლობას მისცემთ. მიეცით მათ მტვრის საწმენდი ტილო ან ქსოვილის ნაჭერი როდესაც მტვერს წმენდთ ან იატაკს გვით.



### წიგნების თვალჩინება და კითხვა

არასოდესაა ნაადრევი ბავშვებისათვის წიგნების გაცნობა, ჩვილობისა და მცირეწლოვნობის დროსაც კი. წიგნის კითხვისას მიანიშნეთ მათ ნახატებზე და ეცადეთ ბავშვმაც იგივე ქმედება გაიმეოროს.





## განძის კალათა

გაავსეთ კალათა სახლში არსებული სხვადასხვა, ბავშვებისათვის უსაფრთხო საგნებით და მიეცით საშუალება როგორც ჩვილებს, ასევე მცირეწლოვან ბავშვებს გამოიკვლიონ მისი შიგთავსი. საგნები უნდა იყოს სხვადასხვა ფორმის და ტექსტურის.

შეარჩიეთ შესაფერისი კალათა, რომელიც დამზადებული იქნება წნელისგან ან ხისგან. ჩადეთ მასში ისეთი ნივთები, როგორიცაა სათქვეფელი, საკონდიტრო ფუნჯი, ლენტი, გასაღებები, კვერცხების ჩასაწყობი მუყაო, ფრჩხილების ჭაგრისი, ღრუბელი.

განძის კალათები შესანიშნავი საშუალებაა გამოკვლევისა და სენსორული სწავლისათვის. აღნიშნული თამაშის შესრულებისას ბავშვები გამუდმებული კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.




## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## თამაში ქვიშაში

მიეცით ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვებს იმის საშუალება, რომ შეიგრძნონ ქვიშა ხელისა და ფეხის თითებს შორის. გამოიყენეთ როგორც სველი, ასევე მშრალი ქვიშა. შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებისათვის თქვენ დამატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ სათამაშო ნიჩბები, კონტეინერები და ცხოველები.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

IV

## თამაშები და აქტივობები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

აუცილებელია ძირითადი წესების შემუშავება ოთახში თუ გარეთ თამაშისათვის. მცირეწლოვანი ბავშვის ფრთხილი და მოზომილი ინსტრუქტირება, რომელიც მისი შესაფერისი და პოზიტიური მონაწილეობის განმტკიცებას ისახავს მიზნად, დაეხმარება ამ უკანასკნელს თავი უსაფრთხოდ იგრძნოს და გაზარდოს საკუთარი თვითშეფასება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის აქტივობები უნდა იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო. ბავშვები უნარ-ჩვევებს ივითარებენ სხვადასხვა ტემპით და არაგონივრული იქნება, თუ გეგნებათ ძალიან დიდი შედეგის მოლოდინი დროის მოკლე მონაკვეთში. საზოგადოდ მიღებული ფაქტია, რომ თავისუფალი თამაში და არჩევანის გაკეთება ძალიან კარგია ადრეული განვითარებისათვის. მცირეწლოვანი ბავშვები ჩვეულებრივ მარტო თამაშობენ; *ესაა განმარტოებულად თამაში*. შემდეგ ისინი იწყებენ *პარალელურ თამაშს* სხვა ბავშვების გვერდით, ბოლოს კი ისინი ერთგვებიან *ერთობლივ თამაშში*.

მრავალფეროვანი აქტივობები ბავშვებს აძლევენ მრავალმხრივი განვითარების საშუალებას.

თამაშის დამთავრების შემდეგ კარგი იქნება თუკი ბავშვებს მისცემთ იმის საშუალებას ისაუბრონ უფროსთან იმაზე, თუ თითოეულმა რა გააკეთა თამაშისას; ამ გზით მათ წინაშე დასახული ამოცანები იძენს დამატებით ღირებულებას და მნიშვნელობას და ეხმარება ბავშვებს გახსენების უნარების განვითარებაში.

განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის უნდა შეირჩეს თამაშის მათი დონისათვის შესაფერისი და უსაფრთხო აქტივობები. აქტივობების შერჩევას არსებითად მნიშვნელოვანია ეჭიმების რჩევების გათვალისწინება. შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი აქტივობების უმეტესობის ადაპტირება და გამარტივება, რათა მათი შესრულება შესაძლებელი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვისაც.



## თამაშები ქვიზასა და წყალში



### მასალები

წყლისა და ქვიზის ვარცლები წარმოადგენენ ძალიან უსაფრთხო და მარტივ საშუალებებს; ბავშვებს შეუძლიათ ამოხაზონ წყალი, გაზომონ, ჩაასხან და შეასრულონ სხვა ბევრი მოქმედება. შეგიძლიათ გამოიყენოთ იაფფასიანი პლასტმასის ჭიქები, თასები, კოვზები, ღოჭები და რძის ძველი კონტეინერები.




მუხუდოს მარცვლებით, ბრინჯითა და გამომშრალი მაკარონით შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ ქვიზა სენსორული გამოცდილების მისაღებად.



## აქტივობა

აქტივობები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი; შეგიძლიათ ბავშვებს ქვიშაში დაუმალოთ ნიჟარები, სათამაშოები ან ბრტყვიანები და შემდგომ მოაძებნინოთ ისინი. ქვიშიანი ვარცლი შეიძლება გამოყენებული იქნას წარმოსახვითი თამაშისათვის. ააშენეთ მინიატურული სამყარო მცირე ზომის პლასტმასის ცხოველების, ავტომობილების და სხვა საგნების გამოყენებით. ბავშვის ასაკის ან შესაძლებლობის გათვალისწინებით შეგიძლიათ გამოიყენოთ გლუვგედაპირიანი ქვები, ისინი შეიძლება გამოხატავდნენ ხალხს.



აღნიშნულ აქტივობებში შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა თუკი ვარცლი იქნება ხელმისაწვდომი ეტლისა და დასადგომი ჩარჩოს (სხვა დამხმარე საშუალებები) მომხმარებელი ბავშვებისათვის. ან შეიძლება მცირე ზომის ვარცლი დაიდგას მათი სიმაღლის დონეზე ცალკე მაგიდაზე. თუკი ბავშვი არ ან ვერ იყენებს ხელებს, მაშინ მეთვალყურე პირს შეუძლია თავისი ხელები დაადოს ბავშვის ხელებს და ამ გზით მიეხმაროს მას მოქმედების შესრულებაში. ბრინჯი და გამომშრალი მაკარონი იძლევა ტექსტურისა და შეგრძნების დამატებითი გამოცდილების მიღების საშუალებას. ზრდასრულ პირს ასევე შეუძლია დაასხას წყალი ან დააყაროს ქვიშა ბავშვებს ტერფებზე ან ხელებზე, ისე რომ ისინი მიეჩვიონ ამ შეგრძნებას. აღნიშნული მოქმედების შესრულებისას ბავშვები უნდა იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ.

შეგიძლიათ წყალში ჩაუმატოთ უსაფრთხო სარეცხი საშუალება და წარმოქნათ ბუშტუკები წყალში ჩაყოფილ საწრუპში ჩაბერვით ან წყლის სათქვეფით ათქვეფით; ამ პროცესს დამატებით ინტერესს შესძენს საკვები საღებავების გამოყენებაც. წყალი და ქვიშა განსაკუთრებით სასარგებლოა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.



## გამომუშავებული უნარები

*მასალებთან ექსპერიმენტირება და მათი თვისებების აღმოჩენა, აწონვა და გაზომვა, დახარისხება და ინსტრუმენტების და აღჭურვილობის ორგანიზება, კონცეტირება, მათემატიკური და მეცნიერული აზროვნება, შეკითხვების დასმა და ფიქრი.*



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## კრეატიული ხელოვნება



### მასალები




საღებავები, ფუნჯები, ფანქრები, ქაღალდი, ფერადი ფანქრები, რბილთავიანი კალმები, ბოსტნეული, როგორცაა კარტოფილი ან სტაფილო დასაჭრელად და ანაბეჭდის გასაკეთებლად, მუყაოს ძველი ყუთები, ტუალეტის ქაღალდის რულონის შუაგულის ნაწილი და მარცვლეულის პაკეტები სახეების გასაკეთებლად, ქაღალდის თეფშები, წებოვანი ლენტი, წინდები, გეტრები, უსაფრთხო მაკრატელი და ყველაფერი ის, რაც თქვენი აზრით შეიძლება კრეატიული იყოს.



### აქტივობა

ხატვა და გაფერადება; უხეში ნიმუშების შექმნა, მაგალითად მუყაოს ან ყუთების გამოყენებით რობოტის ან კოსმოსური ხომალდის გაკეთება; ხელისა და ტერფის ანაბეჭდების გაკეთება; თითებით ხატვა; ქუდებისა და ნიღბების გაკეთება; თემატური ჯგუფური კოლაჟის გაკეთება, მაგალითად „ბაღი“, „გარეული ცხოველი“, „მაღაზიები“. გააკეთეთ მაღაზია ხილითა და ბოსტნეულით ან სხვა ხარახურითა და პაპიე-მაშესაგან დამზადებული პროდუქტით. ბავშვებს მათი გამოყენება შეუძლიათ ისეთი როლური თამაშებისთვის, როგორცაა მაღაზიაში საყიდლებზე სიარული.

ანაბეჭდების კეთება საკმაოდ ადვილი და სახალისო პროცესია. აიღეთ რამოდენიმე ცალი ქაღალდის ფურცელი და ბოსტნეული, სტაფილო ან კარტოფილი, გაჭერით კარტოფილი შუაზე და განაჭრელ ნაწილზე დანით ამოკვეთეთ რომელიმე ფიგურა. შემდეგ წაუსვით მასზე საღებავი და ფურცელზე დაჭერით დაბეჭდეთ განმეორებადი ფორმები. შემდგომ ამ ფურცლებით შეგიძლიათ დაამზადოთ ბარათები ან შესაფუთი ქაღალდი საჩუქრებისთვის, ან უბრალოდ, გამოიყენოთ ის კედლის მოსართავად.



თოჯინა-მარიონეტების დამზადება ქალაქის პაკეტებისგან და წინდებისგან, თითებზე წამოსაცმელი თოჯინა-მარიონეტების ქალაქის ნაჭრებისგან, ან ჭოხებზე დამაგრებული თოჯინა-მარიონეტები; ბავშვებს შეუძლიათ მოიფიქრონ ან გაითამაშონ მათთვის უკვე ნაცნობი მოთხრობა. ამის გაკეთება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

უფროსებისთვის ეს არის კარგი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ბავშვებს აჩვენონ მათ მიერ დამზადებული ნაკეთობები. მაგალითად, შეუძლიათ დაამზადონ ბინოკლი ტუალეტის ქალაქის რულონის მუყაოს ორი ცილინდრის ერთმანეთზე მიწებებით; მისი გამოყენება შეიძლება ეზოს ბაღის დასათვალიერებლად. შეუძლიათ დაამზადონ შეიკვრები მორთული პლასტმასის ბოთლებით ან იოგურტის მუყაოს კოლოფით და ჩაყარონ მასში ბრინჯი ან გამომშრალი მაკარონი.



### გამომუშავებული უნარები

*გაზიარება, სხვების მიხმარება, ესტეტიკის შეგრძნება და სხვისი ნამუშევრის დაფასება, ხელისა და თვალის კოორდინირება, მასალების სხვადასხვა თვისებების სწავლა, ზომისა და ფორმის აღქმა, დაკვირვება, ინსტრუქციების მოსმენა, გაზომვა, შედარება, დახარისხება, დათვლა, ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა მაკრატილი და საღებავი ფუნჯი, მასალების მიღება და მათი შესაბამის ადგილას დაბრუნება, ემოციების გადმოცემა ხელოვნების საშუალებით.*

ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი თავი გადმოსცენ კრეატიული ხელოვნების საშუალებით; ბავშვებისათვის შესაფერისი მასალების მიცემისა და თავისუფალი გარემოს პირობების შექმნის შემთხვევაში, მათი ქვეცნობიერი ემოციები შეიძლება გადმოიცეს ხატვის, ღებვის ან სხვა, მათთვის უსაფრთხო გზით. ამრიგად, აღნიშნული აქტივობები ატარებს თერაპიულ ხასიათს.


ზოგიერთ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს უფროსი დახმარება აღნიშნული აქტივობების შესასრულებლად; შესაძლოა საჭირო გახდეს აქტივობების დაყოფის ტექნიკის (Backward Chaining) გამოყენება. აქტივობის დაყოფა (Backward Chaining) ესაა ერთგვარი ტექნიკა, როდესაც უფროსი ადამიანი ახალისებს ბავშვს მაქსიმალურად დამოუკიდებლად შეასრულოს ესა თუ ის აქტივობა, ხოლო უფროსი პირი კი მიეხმარება ბავშვს და შეავსებს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის მიერ გამოტოვებულ ხარვეზებს და არ შეასრულებს მთელ აქტივობას ბავშვების ნაცვლად. უკეთესი შედეგის მიღებისათვის საჭიროა ბავშვს კარგად იცნობდეთ და ჩატარებული გქონდეთ გარკვეული დაკვირვება.



### ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## ასაწყობი თავსატეხები



### მასალები

სხვადასხვა სირთულის თავსატეხები, რათა სურვილის შემთხვევაში ყველა ბავშვმა შეძლოს მონაწილეობის მიღება. მარტივი თავსატეხების დამზადება შეგიძლიათ შემდეგნაირად: ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები დაანებეთ ბარათზე და შემდეგ დაჭერით ბარათი 2, 3 ან 4 ნაწილად.



## აქტივობა

ბავშვების ნაწილი იმ შემთხვევაში ჩაერთვება აქტივობაში, თუკი მოზაიკა-თავსატეხი თითქმის დასრულებულია და მის შესავსებად მხოლოდ რამოდენიმე ნაწილის ჩასმაა საჭირო. ზოგიერთ ბავშვს შესაძლოა მხოლოდ 2 ნაწილისაგან ასაწყობი თავსატეხი დასჭირდეს - ორად გაჭრილი სურათის ნაწილების ერთმანეთზე მიდება. შეადგინეთ დაფები და გამოიყენეთ დიდი ზომის ტიკარტები უმცროსი ასაკის ბავშვებისა და ფიზიკური პრობლემების მქონე ბავშვების მიერ ადვილად მოსახმარად. ნახალისეთ ბავშვები, რომ ასაწყობ სურათზე კომენტარები გააკეთონ. ჰკითხეთ მათ „სად არის ...?“ რათა ბავშვმა მიანიშნოს მასზე და ამ გზით უფრო მეტად ჩაერთოს აქტივობაში.

### მასალები

მხედველობა დაქვეითებულ ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ტექსტურირებული ასაწყობი თავსატეხები ან დომინოს ფიგურები; მათ ისინი უნდა ააწყონ მათი ფორმებისა და ტექსტურის შეგრძნებით.



### გამომუშავებული უნარები

სურათებზე დაკვირვება, ვიზუალური გარჩევა და ფორმებზე დაკვირვება, შესაფერისი ფორმისა და ფერის არჩევა, ნატიფი მოტორული და მანიპულაციური უნარები, ახალი სტრატეგიების ძებნა და მათი გამოცდა, პრობლემების გადაჭრა, თანამშრომლობა და გაზიარება, კონცენტრაცია და მოთმინება, ჭილდო და მიღწეულით კმაყოფილების განცდა.



### ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## მშენებლობა და კონსტრუქციების აგება



### მასალები

ხის ან პლასტმასის სამშენებლო კუბები, „დუპლო“, „ლეგო“, სხვადასხვა ზომის მუყაოს ყუთები, ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა კომპლექტი. არსებობს ბევრი რესურსი, რომლებიდანაც მხოლოდ უსაფრთხო და გამძლეები უნდა აარჩიოთ, რათა დიდხანს გაგიძლოთ.



### აქტივობა

დამტკიცებულია, რომ ბავშვებისთვის სხვადასხვა მასალის ახლოს გაცნობა ძალიან სასარგებლოა, რადგან მასალებთან ექსპერიმენტებით ბავშვები ეცნობიან მათ თვისებებს და სწავლობენ ბუნების უნივერსალურ კანონებს. თუკი ნაადრევად ჩაერევიტ და მათთვის ინსტრუქციების მიცემა დაიწყებთ, მაშინ მათ ასეთი შესაძლებლობა აღარ ექნებათ. როდესაც ბავშვები თავდაპირველ კვლევას მორჩებიან, შემდეგ შეუძლიათ, მიყვნივ ვერბალურ ან დასურათებულ ინსტრუქციებს, ან გადმოიღონ ასლის ნიმუშები სურათებიდან. შესაძლებელია ყუთების მორთვა და შეღებვაც, რათა მისგან მივიღოთ ღუმელი, გემი, ბორბლებიანი ავტომობილი ან ნებისმიერი სხვა საგანი, რასაც თქვენი წარმოსახვა გიკარნახებთ. ბავშვებს ძალიან მოეწონებათ ყუთებში ჩასმული თანატოლების მიწოლა და გაგორება; მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ესაა გემი, რომელიც მღელვარე ზღვაში მიცურავს, ან რომ ისინი მგზავრობენ ავტობუსით და ზარის დარეკვისას ჩადიან ან ამოდიან ავტობუსში. ამ გზით ისინი ისწავლიან თუ რა არის წონასწორობა, წონა, ხახუნი. ბავშვების მხიარულება საათობით გასტანს!



### გამომუშავებული უნარები

სხვადასხვა მასალების თვისებების სწავლა, ნაგებობების აშენება, პრობლემების გადაჭრა, სხვების იდეებზე მორგება, საჭიროების შემთხვევაში უფროსისთვის დახმარების თხოვნა, სიტყვიერი ან დასურათებული ინსტრუქციების მიყოლა, ლექსიკა ნაგებობებისა და სხვადასხვა ნაწილების აღსაწერად, სიმეტრია, აწყობა და დაშლა, წარუმატებლობის

ღირსეულად მიღება, წარმატების მიღწევა, იდეებისა თუ სივრცის გაზიარება, სივრცეში ორიენტაცია, იმის გახსენება, თუ როგორ ვაკეთდა ესა თუ ის კონსტრუქცია.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

---




## მუსიკალური აქტივობები



### მასალები

სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, დოლები, ქსილოფონები, ზარები, დაირები. დაამზადეთ შეიკვრები თავდაცული პლასტმასის ბოთლისაგან; ჩაყარეთ მასში მკვრივი ნაწილაკები, მაგალითად ბრინჯი, მარცვლები და გამომშრალი მაკარონი. შეგიძლიათ ვიზუალურად უფრო მიმზიდველი გახადოთ თუკი მას გარედან მორთავთ ან შიგნით ჩაყარით ფერადი ქაღალდების, ნაჭრების ან ბუმბულების პატარა ზომის ნაწილებს. თუკი თავსახური კარგად დაცულია, მაშინ შეგიძლიათ ის გამოიყენოთ როგორც საჩხარუნო ჩვილისათვის, შშმ ბავშვებისათვის, ისევე როგორც, ბავშვებისთვის - სენსორული დეფიციტით (მხედველობა ან სმენა დაქვეითებულთათვის).





### აქტივობა

ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად სცადონ შემდეგ კი უფროსის დახმარებით დაინახონ, თუ როგორ მიიღება რიტმი და/ან როგორ ხდება სიმღერაზე აყვლა. ასევე შეგიძლიათ ბავშვები მიაჩვიოთ მუსიკასთან დაკავშირებულ ისეთი მითითებების გაგებას, როგორცაა „ხმამალა და ხმადაბლა“, „სწრაფად და ნელა“. ბავშვებს შეუძლიათ დაირაზე დაკვირვების ოთახის გარშემო იმოძრაონ. ამ დროს შეგიძლიათ მოუმატოთ ან დაუკლოთ ხმას და პასუხად ბავშვებმა შეიძლება დაიწყონ მარშირება ხმამალა მუსიკაზე ან ფეხის წვერებზე სიარული ხმადაბალზე. ასეთი აქტივობა ძალიან კარგია ჯგუფურად თამაშის შემდგომ განსახილველად.

ზოგიერთ ინსტრუმენტს ან მუსიკალურ სისტემას შეიძლება დაუმაგრდეს მარტივი ტიპის ჩამრთველები, რათა გადაადგილებისა და ხელების მოძრაობის პრობლემების მქონე ბავშვებმა შეძლონ ხმის ჩართვა-გამორთვა და ამ გზით მიიღონ მონაწილეობა თამაშში.



### გამომუშავებული უნარ-ჩვევები

*ყურადღების გამახვილება, ინსტრუქციებზე რეაგირება, ხმებისა და რიტმების იმიტირება, ნაცნობი მელოდიის ცნობა, გონებაში ბგერების თანმიმდევრობის დაცვა, ბგერების თანმიმდევრობით განმეორება, ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა და შეთავსება, განწყობის შეფასება, ინსტრუმენტების გამოყენებისას ხელის, თვალისა და ყურის კოორდინირება, ინსტრუმენტებთან ფრთხილი მოპყრობა, იმის გაგება, თუ რას ნიშნავს მაღალი, დაბალი, ხმამალა და რბილი, ერთად მუშაობა და თანამშრომლობა, კონცენტრირება და თვითშეფასება*



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## როლური თამაში



### მასალები

გამოსასვლელი ტანსაცმელი, შარფები, ქუდები, ბავშვებზე მორგებული უფროსების გადაკეთებული ტანსაცმელები, მუყაოს ყუთებით გაკეთებული სახლის კუთხე, ჩაის სერვისი, თოჯინები და დათუნიები, სანოლი, ექიმის და ექთნის კომპლექტები და ხელთარსებული ნებისმიერი ნივთი, რაც ბავშვებს უფროსების წარმოსახვით როლის შესრულებაში დაეხმარება.



## აქტივობა

ბავშვებს ეძლევათ უფლება თავისუფლად ითამაშონ და სათამაშოების მეშვეობით ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან. თუკი ბავშვებს არ აქვთ თამაშისათვის საკმარისი გამოცდილება, მაშინ საჭიროა უფროსმა უჩვენოს მათ მაგალითი. ეს შესაძლებლობას აძლევს უფროსებს ისინიც „ჩაერთონ თამაშში“. საძერწი ცომის, ორცხოხილების და ნამცხვრების გამოყენება, მარტივად მოსამზადებელი საჭმელების მომზადება, როგორცაა სენდვიჩები ან ჟელე, ბავშვებს შემატებს ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს და თამაშს ძალიან მხიარულს და სასიამოვნოს გახდის.



## გამომუშავებული უნარ-ჩვევები

გაზიარების უნარი, როლების მორგება, მოლაპარაკებები, პრობლემური სიტუაციების გათამაშება, ემოციურად დაცლა, სხვებთან ურთიერთობა, ახალი როლების მორგება, ვახსენება და მიღებული გამოცდილების გათამაშება; იმის პროგნოზირება თუ რა შეიძლება მოხდეს, თანაგრძნობა, იმიტაცია, საგნების ჩანაცვლება, ენა და კომუნიკაცია, შესაბამება, თვლა და მათემატიკური ცნებები, ნატიფი მოტორული და მანიპულაციური უნარები, მსხვილი მოტორული უნარები, თვით-დახმარება ჩაცმისას.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## ჯგუფური განხილვა და ჯგუფური აქტივობები



### მასალები

კომფორტული გარემო წრიულად დასხდომისთვის, თუ მოგეპოვებათ გამოიყენეთ ფარდაგი ან ინდივიდუალური ნოხები ან სკამები. ზოგიერთი ბავშვისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს რომელიმე კონკრეტულ ადგილას ჯდომა; ასეთი ადგილი შეგიძლიათ გამოყოთ იატაკზე ფერადი ლენტით ადგილის მონიშვნით. ნივთები ჩააწყეთ ჩანთაში, რათა ბავშვებმა ინტერესი არ დაკარგონ; თქვენ დაგჭირდებათ რაიმე ნივთი, რომელსაც ჯგუფის წევრებს მონაცვლეობით გადააწოდებთ, მაგალითად ხის კოვზი ან სათამაშო დათუნია. ასევე გამოიყენეთ ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ტყეში ან ეზოში შეგროვებული ნივთები და სხვა საინტერესო საგნები.



### აქტივობა

ჯგუფური განხილვის სეანსისათვის იდეების რაოდენობა უსასრულოა. ამ დროს ბევრი რამაა დამოკიდებული თქვენი წარმოსახვის უნარზე. თქვენ შეგიძლიათ თამაში ბავშვებისათვის ცოცხალ და მხიარულ რეჟიმში წარმართოთ. რაც უფრო მცირეა ბავშვთა ასაკი, მით უფრო მცირე ზომის უნდა იყოს ჯგუფი; თუკი ისინი არიან 3-4 წლის, ჯგუფში უნდა იყოს 6-8 ბავშვი; თუ ბავშვები ამ ასაკზე მეტს არიან, მაშინ შეიძლება ჯგუფში 12-14 ბავშვი იყოს. სეანსი დიდხანს არ გაწელოთ, 10 წუთი დაბალი ასაკის ბავშვებისათვის საკმარისია. თითოეულმა მათგანმა თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს. არსებობს მარტივი წესები; ყველა ბავშვს შეუძლია რიგრიგობით ისაუბროს ან მიიღოს მონაწილეობა ამ აქტივობაში, თუმცა, ეს მათთვის სავალდებულო არ არის. ყველანი უსმენენ და პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს; ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი ბავშვი საუბრობს (ის, რომელსაც ხელში ეკავება კოვზი ან დათუნია). ეს სეანსი შესაძლებელია გამოყენებული იქნას თამაშის დროს, ბავშვების მიერ შესრულებული მოქმედებების გასახსენებლად; ისინი ერთმანეთს უყვებიან თუ რა გააკეთეს ან რის გაკეთებას აპირებენ. ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ ჯგუფისთვის გასაზიარებელი სიახლეები ან ისეთი ამბები, რაც მათ აწუხებს.

## ჯგუფური აქტივობები წრეში სხდომისას:




### მისაღმების რიტუალი

ამოარჩიეთ რომელიმე სიმღერა, ან სხვა რაიმე რიტუალი წრეში დასხდომისას და მიეხმარეთ ბავშვებს თავი იგრძნონ ჯგუფის წევრად. წაიმღერეთ, „გამარჯობა (სახელი), როგორ ხარ? დღეს თავს როგორ გრძნობ?“, ან თქვენით მოიფიქრეთ სხვა სიტყვები ნაცნობ მელოდიასთან ერთად.



### რა დევს ჩანთაში?

წინამძღოლი ნივთებს მალავს რბილ ჩანთაში ან ბალიშის პირში. ბავშვები რიგრიგობით იღებენ ნივთებს ჩანთიდან. ჩანთიდან ამოღებამდე, მათ შეუძლიათ ხელით შეიგრძნონ ესა თუ ის ნივთი და ჯგუფის სხვა წევრებს აუღწერონ თუ როგორია ის. ისეთი ნატურალური ნივთები, როგორებიცაა ხილი ან ბოსტნეული, შეუძლიათ გადააწოდონ ჯგუფის სხვა წევრებს, რათა მათ ხელით შეიგრძნონ, დაეცნონ ან თუნდაც დააგემოვნონ იგი.



### ჯადოსნური ჭობი

ზრდასრულ პირს უჭირავს ჯადოსნური ჭობი, რომელიც ხან აიქნევს მას და ხან დაიქნევს. ამ დროს მას შეუძლია გასცეს ბრძანებები, რაზეც ბავშვები მოახდენენ რეაგირებას. მათ შეუძლიათ რიგრიგობით გამოიყენონ ჯადოსნური ჭობი.



### ვინ ვარ მე?

ერთ-ერთი ბავშვი თვალეზზე იფარებს ხელეებს; მეორე დგება მის გვერდით და ეკითხება: „ვინ ვარ მე?“ თვალეზზე ხელეზაფარებულმა ბავშვმა კი უნდა გამოიცნოს.



### როდესაც თბილი ქარი დაუბერავს

ბავშვებს მოაქვთ სკამები წრეში ჩასადგმელად, წინამძღოლი გასწევს თავის სკამს გვერდზე და წრის შუაგულში დგება. ის ამბობს, „თუ თქვენ ლურჯი ფერი მოგწონთ, გაცვალეთ ადგილები/სკამები, როცა თბილი ქარი დაუბერავს“, ან „თუ თქვენ ნაცყინი გიყვართ, გაცვალეთ ადგილები, როცა თბილი ქარი დაუბერავს“, და ა.შ.. როდესაც ისინი გაცვლიან სკამებს, ერთი პირი სკამის გარეშე დარჩება და ახლა უკვე მისი ჯერია წრის შუაგულში ჩადგეს და სხვებს მოუწოდოს სკამების გაცვლისაკენ. აქტივობაში შესაძლოა ეტლით მოსარგებლე ბავშვების ჩართვაც.



### პარაშუტობანა

მცირე ასაკის ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ პატარა ზომის პარაშუტი ან დიდი ზომის ქსოვილის ნაჭერი, რომლის კიდეებსაც ხელში დაიჭერენ და ხელების ზემოთ-ქვემოთ მოძრაობით წარმოქმნიან ტალღებს, ან ხელების ერთდროულად ზემოთ აწევითა და შემდეგ ისევ ერთდროულად დაბლა დაშვებით წარმოქმნიან სოკოს. ამ გზით მათში ყალიბდება თანამშრომლობის განცდა და იქმნება ძალიან მხიარული გარემო. სანამ პარაშუტი ჰაერში იქნება, ბავშვებს შეუძლიათ ერთმანეთს მიესალმონ ან დაუსვან შეკითხვა რომელიმე ბავშვს. სთხოვეთ ბავშვებს, რომ პარაშუტი მხოლოდ მარცხენა ხელით დაიჭირონ და წრეზე იარონ, შემდეგ შეცვალეთ მიმართულება. (იხ. შემდეგი განყოფილება მეტი იდეებისათვის)





### თამაშები ჰულა ჰუპით

დააწყვეთ ჰულა ჰუპის რგოლები ერთმანეთისაგან მცირე დაშორებებით და სთხოვეთ ბავშვებს, რომ მათში იხტუნაონ, ან ერთიდან მეორეში გადახტნენ. ამ აქტივობაში ბავშვების დახელოვნებასთან ერთად, თქვენ შეგიძლიათ უკვე მათი მეშვეობით რბოლები მოაწყოთ.

დააწყვეთ რგოლები ოთახის ან სათამაშო ზონის კუთხეებში, თითოეულ მათგანში ჩადეთ ფერადი ლენტი ან სხვადასხვა ფერის ბარათი. ხმამაღლა დაიძახეთ ამა თუ იმ ფერის დასახელება და ბავშვები უნდა ჩახტნენ თქვენს მიერ დასახელებულ რგოლში.

ყველანი დგებიან წრეში ხელი-ხელ ჩაკიდებულები, ორი ბავშვი განყვეტს წრეს, წრეში შემოაქვთ ჰულა ჰუპი და ისევ სჭიდებენ ხელებს. შემდეგ ჰულა ჰუპს ამოძრავებენ წრეზე ხელების გაუშვებლად! შეგიძლიათ დაინიშნოთ დრო და ამონიშნოთ ხოლმე გააუმჯობესებენ თუ არა შედეგს. ეფექტური თამაშია პრობლემების გადაჭრის, სწავლისა და თანამშრომლობისათვის!




### წინადადებების დაწყება

„რაც მე კარგად გამომდის, არის .....“, „რაც მე უკეთესად გამომდის, არის .....“, „მე განვსხვავდები .....-გან, რადგან .....“, „მე ვამაყობ იმით, რომ .....“.



### სახელები ქუდში

ფურცლებზე დაწერეთ ბავშვების სახელები და მოათავსეთ ისინი ქუდში ან თუნუქის ქილაში. შემდეგ ამოიღეთ სახელი და ვისი სახელიც ამოვა, ის ბავშვი აარჩევს მისთვის საყვარელ აქტივობას. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ დღე სხვადასხვა ბავშვები იყვნენ არჩეული, რათა ყველას მოუწიოს თავისმა რიგმა.



### ადგილების გაცვლა

დაურიგეთ ბავშვებს დაწყვილებული, დასურათებული ბარათები და შემდეგ დაიძახეთ ერთ-ერთი სურათის სახელი. თამაშის წესების თანახმად, ისინი, ვისი სურათებიც ერთმანეთს ემთხვევა, გაცვლიან თავიანთ ადგილებს.



### მოთხრობის მოყოლა

ეს არის დრო განმეორებადი სტრუქტურის მოთხრობებისთვის. ბავშვებს შეუძლიათ მასში მონაწილეობა მიიღონ მოძრაობებით და მოთხრობის იმ ნაწილების წარმოთქმით, რომლებიც მეორდება. უფროსებს შეუძლიათ გააკეთონ მოთხრობების გუდა, რომელშიც მოთხრობებში მოხსენიებულ საგნებს ჩააწყობენ. ბავშვებს შემდეგ შეეძლება ამ საგნების დათვალიერება და ხელში დაჭერა.



### სიმღერა

წრიულად სხდომის დრო შეგიძლიათ გამოიყენოთ სიმღერისთვის, ან ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაცემა-გაზიარებისთვის.



### გამომუშავებული უნარ-ჩვევები

რიგითობის დაცვა, მოსმენა, სხვების საჭიროებების დაფასება, აზრების დალაგება და მათი სხვებისთვის გაზიარება, მოთხრობებსა და მუსიკაში რიტმის ცნობა, მოლოდინი და მოთმინება, საკუთარი თავის რწმენის ჩამოყალიბება, ცოდნის მიღება კულტურასა და ტრადიციებზე, თანამშრომლობა, თამაშის წესების დაცვა.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## სანსორული და თხუპნია თამაშები



### მასალები

ფელატინი, საპარსი ქაფი, ბრინჯი, გამომშრალი მაკარონი, გათხელებული პასტა, მომზადებული სპაგეტი და ზეთი, საკვების საღებავი, სიმინდის ფქვილი ფიფინაკის მოსამზადებლად, განძის კალათა მასში ჩალაგებული ყოველდღიური მოხმარების ნივთებით



ფელატინი შეიძლება დამზადდეს მასში ნაწილაკების ან საგნების დამალვით, რათა ბავშვებმა გამოიკვლიონ, ხელების მეშვეობით შეიგრძნონ და აღმოაჩინონ ისინი.

მაგიდაზე მოთავსებულ სინზე დააშურეთ მცირე რაოდენობის საპარსი ქაფი. ბავშვებს მოეწონებათ ქაფით გათხუპვნა, მისით სხვადასხვა ფორმების და სახეების დახატვა.

მშრალი ბრინჯი, ასევე მშრალი ან მომზადებული შეღებილი მაკარონი მოათავსეთ მაგიდაზე, რათა ბავშვებმა მისით ითამაშონ.

კალათა ძალიან კარგია მასში ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთების მოსათავსებლად, როგორცაა მაგალითად სამზარეულოს უსაფრთხო ჭურჭელი, ლენტები, ქსოვილები და ბაღში ან ტყეში შეგროვილი სხვადასხვა ნივთები - გირჩები, ფოთლები, ქვები და ტოტები. ბავშვებს შეუძლიათ დააკვირდნენ და გამოიკვლიონ ისინი, მიიღონ გამოცდილება სხვადასხვა ნივთთან დაკავშირებით, ისწავლონ მათი თვისებებისა და გამოყენების შესახებ.

დააკვირდით ბავშვებს ყურადღებით, რათა შენიშნოთ ხომ არ არიდებენ ისინი თავს რომელიმე კონკრეტულ ტექსტურას ან აქტივობას. მიეცით მათ უფლება, ხმაურის გარეშე გავიდნენ თამაშიდან.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

---



## გარეთ (ღია ცის ქვეშ) თამაში



### მასალები

ველოსიპედები, სკუტერები, გამოყენებული საბურავები, საქანელები, სასრიალოები, მებაღის ინსტრუმენტები, ადგილი მცენარეების დარგვისა და მორწყვისათვის, ქოთნები მათში თესვების ჩასათესად, პლასტმასის გამადიდებელი შუშები, ბურთები, ლახტები, ჰულა ჰუპები, ცარცი, საღებავები, წყლისა და საღებავის ფუნჯები და დიდი ზომის საგნები კონსტრუქციების ასაგებად, პლედები ან ზეწრები კარავის ან „სახლის“ ასაშენებლად.




**აქტივობა**

ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად ითამაშონ გარეთ, ამავდროულად შეგიძლიათ მათ ასწავლოთ ბუნების სამყაროზე დაკვირვება, მასზე ზრუნვა და პატივისცემით მოპყრობა. მათ შეუძლიათ იყვნენ დეტექტივები ეზოს ბაღში! პატარა ბავშვებს შეუძლიათ ბუნების საოცრებების, ზრდისა და ცვლილებების დაფასება.

შეგიძლიათ ბავშვებს მოუნყოთ შეჭიბრებები; მხიარული თამაში გამოვა ბურთების ან მარცვლულით სავსე ტომსიკების ტყორცნა ვარცლში ან რგოლში. შეგიძლიათ მოაწყობოთ მინი ოლიმპიური თამაშები, რომლის დროსაც ბავშვები ერთმანეთს შეეჭიბრებიან წონასწორობის დაცვაში, სირბილში, ტყორცნაში, დაჭერაში, გადახტომაში და ასკინკლით ხტუნვაში.

ითამაშეთ ბურთი ბავშვებთან ერთად წრეში. მათ შეუძლიათ ერთმანეთს მიუგორონ ან გადაუგდონ ბურთი. წრის შუაგულში შეგიძლიათ მოაწყობოთ სამიზნე, რომელსაც ბავშვები ბურთს დაუმიზნებენ. უფროს პიროვნებას შეუძლია ბავშვებს ასწავლოს ისეთი ჯგუფური აქტივობები, როგორცაა პარაშუტობანას თამაში, ინსტრუქტორის ქმედებების მიბაძვა ან „მიყევი წინამძღოლს“, რბოლები და წინააღმდეგობების დაძლევა (დამატებითი იდეებისათვის 6-დან 10 წლამდე ბავშვებისათვის იხილეთ შემდეგი განყოფილება).



**გამომუშავებული უნარ-ჩვევები**

მსხვილი მოტორიკა, მოლაპარაკებები, სხეულის კონტროლი, სამართლიანი თამაში, თამაშებში ჩართვა და თამაშის წესების სწავლა, ინსტრუქციების შესრულება, ტყორცნა, დაჭერა, დამიზნება, სირბილი, გაგორება, მანძილისა და სიჩქარის ცნება, ქანაობა, სრიალი, აწევა, დაგვევა, გამოცდა, სხვების საჭიროებების გაცნობიერება, მასალების, ნიადაგის, მინი ცხოველების და ბუნებრივი მასალების თვისებების გამოკვლევა.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

V

# თამაშები და აქტივობები 6-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის


ისევე როგორც მცირე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, აქაც, საჭიროა წესების ჩამოყალიბება მისაღები ქცევისათვის. უფროსი პირის ზედამხედველობის ქვეშ ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს თავად შეუძლიათ თამაშის წესების შედგენა. ზოგჯერ მათი წესები უფრო მკაცრია, ვიდრე უფროსი პირის მიერ შედგენილი.



## ოთახში შესასრულებელი აქტივობები



### ჯგუფური კოლაჟის ხე



### აქტივობის მიზანი

თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ინდივიდუალური გამოხატვა, თვითშეცნობა და საკუთარი თავის ჯგუფის ნაწილად გრძნობა.

### მასალები

ქაღალდის დიდი და პატარა ზომის ფურცლები, ფანქრები, პასტელები, საღებავები და ფუნჯები, ნებოვანი ლენტი, ნებო, მაკრატელი.



### აქტივობა

თითოეულ ბავშვს აძლევთ ფურცელს და უჩვენებთ, თუ როგორ უნდა დახატონ თავიანთი ხელის გარშემოწერილობა პასტელით ან ფანქრით. მათ შეუძლიათ გააფერადონ ან სხვაგვარად გააფორმონ ის, დააწერონ მასზე საკუთარი სახელები ან რამე მათ შესახებ, თუ ეს შეუძლიათ. შემდეგ ფრთხილად გამოტრან იგი მაკრატლით.

დაანებეთ ერთმანეთზე რამოდენიმე ცალი დიდი ზომის ფურცელი, დახატეთ მასზე ხე თავისი ტანითა და ტოტებით და გააფერადეთ. ბავშვებს შეუძლიათ თავიანთ მიერ შექმნილი ფურცლისგან გამოჭრილი ხელები მიამაგრონ ფოთლების მაგივრად. ხე შეგიძლიათ მიამაგროთ კედელზე, რათა ყველამ შეძლოს მისი დათვალიერება.



ბავშვებს შეუძლიათ ფოთლებზე დაანერონ რამე მათ შესახებ, ეს შეიძლება იყოს სურვილი ან სამახსოვრო გზავნილი.

ალტერნატიული აქტივობისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნამდვილი ან ფურცელზე პასტელით გადახატული ფოთლები. გადახატული ფოთლები შემდეგ გამოჭერით და მიამაგრეთ დახატული ხის ტოტებზე.

შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს შესაძლოა დასტირდეთ გარკვეული დახმარება ამის გასაკეთებლად; თუმცა მნიშვნელოვანია წავახალისოთ ისინი, რომ მაქსიმალურად დამოუკიდებლად იმუშაონ.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## ჯგუფური გობელენი ან კოლაჟი



### აქტივობის მიზანი

თანამშრომლობა და საკუთარი თავის ჯგუფს მიკუთვნება, ინდივიდუალური თვითგამოხატვა, ნატიფი მოტორული უნარები, ახალი უნარების შექმნა, როგორცაა კერვა, ინსტრუქციების მიყოლა, დავალებების უსაფრთხოდ შესრულებაზე ფიქრი.

### მასალები

კერვისათვის საჭირო მასალები, ჭვალოს ქსოვილი ან სხვა შესაფერისი მასალა კერვისათვის, ნემსები, შალი და ძაფები, სხვადასხვა მასალის ნაგლეჯები, ღილები, ბრჭყვიალები, მაკრატელი, წებო და ა.შ.



## აქტივობა

თითოეულ ბავშვს ეძლევა მცირე ზომის ქსოვილის ნაჭერი, დაახლოებით 20 კვ/სმ. მიეცით ბავშვებს გარკვეული დრო დიზაინზე მსჯელობისთვის, ან იმის განსახილველად, თუ რისი შეკერვა სურთ, ან რისი მიმაგრება სურთ თავიანთ ქსოვილზე და როგორ აპირებენ ამის გაკეთებას. ამან შეიძლება შესაძლებლობა მისცეს ბავშვს გამოხატოს ისეთი რამ, რაც მისთვის მნიშვნელოვანია.

ამ აქტივობას გარკვეული დრო დასჭირდება ბოლომდე მისაყვანად. საჭირო იქნება ინდივიდუალური დახმარება, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც კერვა სიახლეს წარმოადგენს. ზოგიერთი ბავშვისთვის შესაძლოა ნაჭრების ტრა და დაწებება უფრო შესაფერისი აქტივობა გამოდგეს. მოახდინეთ ადაპტირება საჭიროებისამებრ. როგორც კი ცალკეული ნაჭრების კეთება დასრულდება, შეგიძლიათ ისინი ერთმანეთზე მიაკეროთ, ან დააწებოთ სხვა ტიპის მასალაზე, რათა მივიღოთ ერთი, დიდი ზომის კოლაჟი. უფროსებს შეუძლიათ ზოგიერთ ბავშვს მისცენ წინასწარ გამოჭრილი ქაღალდის, სურათის ან სხვა მასალის ნაჭრები, მაგალითად ყვავილები, ადამიანთა სახეები, სათამაშოები და ა.შ.

ალტერნატიული აქტივობის მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი ჟურნალები, ფერადი ქაღალდები, ფერადი ფანქრები, საღებავები და მაკრატელი.

ბავშვები ქმნიან ინდივიდუალურ სურათებს; თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მცენარეების, ცხოველების ან ადამიანების თემატიკა. შემდეგ ეს ყველაფერი მაგრდება დიდ ფურცელზე, რათა შეიქმნას ერთი ჯგუფური სურათი.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## სხვადასხვა ნივთების დამზადება პაპიე-მაშესგან



მასალები



### აქტივობის მიზანი

თანამშრომლობა, ნატიფი მოტორული უნარების განვითარება, შემოქმედებითი განვითარება.

### მასალები

გაზეთი, ხორბლის ფქვილი, ცხელი წყალი და თასი. (მეთოდისათვის იხ. დანართი.)  
უამრავი იდეა მოიპოვება ინტერნეტში!



### აქტივობა


პაპიე-მაშე შეგიძლიათ გამოიყენოთ მრავალმხრივ, მოდელების და ცხოველების დასამზადებლად, ყუთებისა და სურათის ჩარჩოების გასაფორმებლად.

- **ცხოველები:** გაბერეთ ბუბტი და გამოიყენეთ ის სხეულის ფორმის ბაზისად. დაფარეთ ის პაპიე-მაშეს რამოდენიმე ფენით, ფეხების ადგილას მიამაგრეთ მას ორი ცალი ტუალეტის რულონის მუყაოს ცილინდრი, ხოლო თავის ადგილას დაჭმუჭნული ფურცელი. დაამაგრეთ ისინი პაპიე-მაშეს ზოლებით.


- **ნიღბები:** დასაწყისისთვის სთხოვეთ ბავშვებს ნიღბის დახატვა და პროექტირება. შემდეგ მათ შეუძლიათ გამოტრანსცელი ქაღალდი, რომელსაც ბაზისად გამოიყენებენ და წაუსვან მასზე პაპიე-მაშე, რათა ნიღაბმა მიიღოს სასურველი ფორმა.



- **სურათის ჩარჩოები:** სქელი ქაღალდისაგან გამოტერით ჩარჩოს ზომის შესაფერისი ფორმა, დაამუშავეთ ის ისე, რომ მიიღოს ჩარჩოსა და მისი დეკორაციების ფორმები, დაელოდეთ გაშრობას, მორთეთ, შეღებეთ და წაუსვით ლაქი. სქელი ქაღალდისაგან გამოტერით ჩარჩოს ზურგის ნაწილი და საყრდენი ფეხი და მიამაგრეთ ისინი ჩარჩოს. ის უკვე მზადაა და შეგიძლიათ მასში ჩადოთ თქვენთვის საყვარელი და გამორჩეული სურათი.



- **მძივები:** პაპიე-მაშე შეგიძლიათ დააგუნდაოთ პატარა ზომის ბურთებად, გაუყარეთ შუაში კოქტეილის ჭოხი ან სანრუპავი მილი და დაელოდეთ გაშრობას. შეღებეთ ან გალაქეთ და ისინი მზადაა ყელსაბამის ან სამაჯურის გასაკეთებლად. ასევე შეგიძლიათ დაამზადოთ სხვა ტიპის სამკაულებიც, მაგ. ბროშები, სამკერდე ნიშნები და კულონები.



- **კვერცხები:** დაჭმუჭნეთ გაზეთი ისე, რომ მან მიიღოს კვერცხის ფორმა, დაიტანეთ მასზე რამოდენიმე ფენა პაპიე-მაშე და დაამუშავეთ ის მანამ, სანამ კარგ ფორმას არ მიიღებს, გააშრეთ და შეღებეთ, გააფორმეთ და წაუსვით ლაქი. ასეთი აქტივობა კარგია სააღდგომოდ; მიამაგრეთ მასზე ლამაზი ლენტები, ასეთი კვერცხები შეგიძლიათ გამოიყენოთ სააღდგომო ხის ან მაგიდის მოსართავად.
- **თეფშები და თასები:** თქვენ დაგჭირდებათ თასი ან თეფში თავდაპირველი ფორმის მისაცემად. გამოიყენეთ ვაზელინის თხელი ფენა, რათა გაშრობის შემდეგ ადვილად მოაცილოთ პაპიე-მაშე. შემოახვიეთ სასურველ ფორმას ფენები და დატოვეთ გასაშრობად. გაშრობის შემდეგ შეღებეთ, მორთეთ და წაუსვით ლაქი.
- **თოჯინა-მარიონეტები:** საუკუნეების განმავლობაში ინდონეზიასა და ჩინეთში მარიონეტების თავებს პაპიე-მაშესაგან ამზადებდნენ. სხვადასხვა იდეებისათვის ჩართეთ თქვენი წარმოსახვა, ან მოიძიეთ იდეები ინტერნეტით.
- **ხილი და ბოსტნეული:** გააკეთეთ ხილისა და ბოსტნეულის ფორმები; მცირე ასაკის ბავშვებს მათი გამოყენება შეუძლიათ თავიანთ სათამაშო სახლში ან იმიტირებული თამაშის დროს; შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებსაც ძალიან მოეწონებათ ამ სათამაშოებით მალაზიობანას თამაში.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## წიგნაკი „ყველაფერი ჩემს შესახებ“



### აქტივობის მიზანი

წიგნის შექმნა მასში პიროვნული ხასიათის ინფორმაციის დატანით, როგორცაა თმის ფერი, თვალები, რა მოსწონს ან რა არ მოსწონს, მეგობრებისა და ნათესავების შესახებ ინფორმაციები და ა.შ. ამ სამუშაოს შესრულებით ბავშვი უკეთ შეიცნობს საკუთარ თავს და უკეთ აღიქვამს ღირსების, პატივისცემისა და საკუთარი თავისადმი რწმენის შეგრძნებას.

### მასალები

ფურცელი, წიგნები ან ფაილები ჩანაწერებისთვის და ნამუშევრების შესანახად და სანერად. ფანქრები, პასტელები, კალმები, საღებავები, ფუნჯები, ხელთ არსებული ხელობისთვის გამოსაყენებელი სხვა ნივთები სურათებისა და სარკეების გასაფორმებლად.



### აქტივობა

ამის გასაკეთებლად ბევრი გზა არსებობს და თუ როგორ გააკეთებთ მას, დამოკიდებული იქნება თქვენს ჯგუფში ბავშვების რაოდენობასა და აქტივობისთვის გამოყოფილ დროზე.



### სხეულის გამოსახულება

სარკეში ჩახედვით ბავშვს შეუძლია ყურადღებით დაათვალიეროს თავისი სახე ან თვალების ფერი, ასევე თმის ტიპი და ფერი. ბავშვს შემდეგ შეუძლია საკუთარი თავი დახატოს. მაგალითად, მათ შეუძლიათ დახატონ ტერფისა და/ან ხელის გარშემოხაზულობა, გააფერადონ, გამოჭრან და ჩააკრან წიგნში. ბავშვებს შეუძლიათ ამ დროს წყვილებად იმუშაონ, დახატონ ერთმანეთი, წარმოთქვან სხეულის სხვადასხვა ნაწილის დასახელებები, გაზომონ ერთმანეთის სიმაღლე. აქტივობა სასარგებლოა ისეთი ბავშვებისთვისაც, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ შეუძლიათ ხატვა. ეს აქტივობები აფიქსირებენ ბავშვის განვითარების მოცემულ ეტაპს. ერთმანეთის გარშემოწერილობების შემოხატვა და სხვადასხვა ფორმების ამოჭრა ძალიან მხიარული საქმიანობაა. ბავშვებს შეუძლიათ შეადარონ ერთმანეთის სიმაღლე, თმის ფერი და ა.შ. ეს აქტივობა ეხმარება შებლდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უფრო კარგი წარმოდგენა ქონდეთ მათ მთელ სხეულზე. ასეთი ბავშვი ხშირად უგულებელყოფს თავისი სხეულის იმ ნაწილს, რომელშიც არ აქვს შეგრძნება ან რომელსაც ვერ ამოძრავებს.





### წერა და ხატვა

ბავშვებს შეუძლიათ დახატონ ან დაწერონ საკუთარ თავზე. მათ შეუძლიათ დაწერონ თუ რა მოსწონთ ან არ მოსწონთ, რომელია მათი საყვარელი საჭმელი, სად ისურვენდნენ წასვლას, ხალხზე, საუკეთესო მეგობრებზე, შინაურ ცხოველებზე, საყვარელ აქტივობებსა და იმაზე, თუ რისი გაკეთებაც არ მოსწონთ. ტექსტი შეუძლიათ გააფორმონ ილუსტრაციებით. მათ შეუძლიათ დაწერონ ამბები სკოლაზე, მათთვის დასამახსოვრებელ სტუმრობაზე ან მათ მიერ შესრულებულ რომელიმე საინტერესო აქტივობაზე.



### განწყობების გვერდი

ბავშვებს შეუძლიათ დახატონ მარტივი სახეები სხვადასხვა გამომეტყველებებით. მიეცით მათ საშუალება ისაუბრონ თავიანთ განწყობაზე ან ამ განწყობების ამოცნობაზე.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## მუყაოს სახლების გაკეთება



### აქტივობის მიზანი

გაკეთდეს სახლი და მიეცეს ბავშვებს საშუალება გადმოსცენ საკუთარი ემოციები, ფიქრები, შემოქმედებითი იდეები წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ, ასევე მათი ოჯახური გარემოს ან აღმზრდელობაში ყოფნის დროს.

### მასალები

გოფირებული მუყაო, ბასრი დანა, საღებავები, ქაღალდი, მილის სანმენდი ჯაგრისები, წებო, მაცრატელი, ფანქრები, სხვადასხვა ძველი მასალა.



### აქტივობა

გოფირებული მუყაოსაგან სახლი უნდა გამოტრას მოზრდილი ასაკის, ან შედარებით უფრო მოხერხებულმა ბავშვმა, ან კიდევ უფროსმა პირმა. ხოლო, სახლის შემადგენელი სხვა საგნებისა და ავეჯის დამზადებაში ყველა მიიღებს მონაწილეობას; ამისათვის გამოიყენეთ მცირე ზომის ყუთები და მუყაოს ნაჭრები. ადამიანები შეგიძლიათ დაამზადოთ მილის სანმენდი ჯაგრისების, შაქარყინულის ჯოხების, ბარათების, საძერწი ცომისა და სხვა ნივთებისაგან.




## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## თავისუფალი თამაში მინიატურული ფიგურებით



### აქტივობის მიზანი

სასარგებლო ინდივიდუალი თამაში და თერაპიული შრომა. ბავშვებს თავად შეუძლიათ შექმნან საკუთარი მინიატურული სამყარო. მათ შეუძლიათ გამოხატონ და გაითამაშონ დადებითი და უარყოფითი ემოციები, როგორცაა სიხარული, შიში, შეშფოთება. უფროს პიროვნებას შეუძლია დააკვირდეს და მიხვდეს თუ რა აზრები ტრიალებს ბავშვის გონებაში. (ზოგიერთი ემოციის თავისუფლად, შეზღუდვის გარეშე გადმოცემა შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ბავშვისათვის.)


### მასალები

ავტომობილები, ადამიანები, ცხოველები, ქვები, ხის წვრილი ტოტები, ქვიშიანი ვარცლი.



### აქტივობა


თავისუფალი თამაში.  
ქვიშაში რეგულარული თამაში  
სასარგებლოა ზოგიერთი ბავშვისათვის.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## სამსახიობო როლური თამაშები



### აქტივობის მიზანი

განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ბავშვების დახმარება ექიმის, ექთნის, დედის, მამის, მეხანძრის ან მათთვის მნიშვნელოვანი სხვა რომელიმე ადამიანის როლის თამაშში. იმისათვის, რომ მიეჩვიონ, ბავშვებს შეუძლიათ რამოდენიმე როლი მოირგონ და გაითამაშონ, ან ითამაშონ მათთვის წარსული გამოცდილებიდან ნაცნობი როლები. (ეს უნდა შესრულდეს თავისუფალ გარემოში, ოღონდ გარკვეული შეზღუდვების დაწესებით.)

### მასალები

გამოსასვლელი ტანსაცმელი, შარფები, ქუდები, თამაშისათვის საჭირო ტერიტორია, მუყაოს ყუთებისაგან დამზადებული სხვადასხვა საოჭახო ნივთები - ქურები, ონკანის ნიჟარები, გემები, ავტომობილები და სხვა ნივთები, რასაც თქვენი წრმოსახვა გიკარნახებთ.

უბრალო ტიპის ტანსაცმელი შეგიძლიათ დაამზადოთ ძველი ზეწრებისაგან - ექთნის წინსაფარი მასზე წითელი ჯვრით და თავსაფარი; ექიმის ხალათისთვის გამოიყენეთ დიდი ზომის თეთრი პერანგი.

სათამაშო სივრცე შეგიძლიათ მოაწყოთ გაბმულ თოკებზე ზენრების დამაგრებით, რათა შეიქმნას განცალკევებული ზონა. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვანაირად გაფორმებული დიდი ზომის ყუთები, რათა შექმნათ სამზარეულოს კუთხე ან კოსმოსური ხომალდი. ადგილი, სადაც სანოლი დევს გამოიყენება საავადმყოფობანას თამაშისათვის, ან ჩვილი ბავშვის დასაძინებლად.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

---



## ნდობის თამაშები



### აქტივობის მიზანი

ნდობისა და მეგობრობის ურთიერთობების ჩამოყალიბება როგორც ბავშვებს შორის, ასევე ბავშვებსა და პერსონალს/მასწავლებელს შორის.

### მასალები

თვალეების ასახვევი დოლბანდი და თოკი



### ნდობის სეირნობა

აუხვიეთ ბავშვს თვალეები, ხელის მოკიდებით გაატარეთ ის სკამებსა და ავეჯს შორის. ამის გაკეთება შესაძლებელია ბუნებაშიც და შენობების ირგვლივაც. ბავშვებს ამის გაკეთება შეუძლიათ როგორც წყვილად, ასევე თოკზე ხელჩაჭიდებულებს მწკრივში ჩადგომით.



### ინტერვიუ წყვილში

ორ-ორად დაწყვილებული ბავშვები მონაცვლეობით უსვამენ ერთმანებს შეკითხვებს. მაგ. „რას მიირთმევდი?“, „რომელი ცხოველი გინდა რომ იყო და რატომ?“, „რომ შეგეძლოს მსოფლიოში ნებისმიერ ვინმედ ყოფნა, ვინ იქნებოდი?“, „რა გძულს ქვეყანაზე ყველაზე მეტად?“ შემდეგ თითოეული ბავშვი მთელ ჯგუფს უყვება თუ რა პასუხები გასცა მისმა მწყვილემ შეკითხვებზე. ეს აქტივობა კარგია მოსმენის უნარების განვითარებისათვის და ერთმანეთის შესახებ მეტის გასაგებად.



### ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## სოციალური თამაშები და თამაშები წრეში



### თამაშები ბურთით

დააყენეთ ბავშვები წრეში, ესროლეთ ბურთი ერთ-ერთს, თქვით მისი სახელი და მასზე რამე დადებითი. ჩართეთ თამაშში წრეში მდგარი ჯგუფის ყველა მონაწილე.



### ბურთი და ტაშის დაკვრა

დასვით ბავშვები წრიულად და აარჩიეთ მათთვის შესაფერისი ბურთი. ბავშვები რიგრიგობით აისვრიან ბურთს ჰაერში და მის დაჭერამდე უნდა მოასწრონ ტაშის დაკვრა. თუკი ბავშვების სისწრაფე შეგიწყობთ ხელს, გაზარდეთ ტაშის დაკვრის რაოდენობა ორამდე! დიდი ზომის ჯგუფებისათვის გამოიყენეთ მეტი ბურთი.



### კვგლები

დაამზადეთ კვგლები შემდეგნაირად:

აიღეთ პლასტმასის ბოთლები ხრახნიანი საცობებით, ჩაყარეთ მათში ცოტაოდენი ქვიშა, ან ჩაასხით წყალი. ეცადეთ ზედმეტად მძიმე არ გამოგივიდეთ. შეგიძლიათ ბოთლები გააფორმოთ გარედან, ან მიაკრათ მათზე ნომრები. ბავშვებს შეუძლიათ მიყვლებით ნააქციონ ბოთლები ბურთით და დააგროვონ ქულები. თამაშის ბოლოს ქულები შეჭამდება და გამოვლინდება გამარჯვებული.



### ბურთებისთვის სულის ბერვა

თქვენ დაგჭირდებათ პინგ-პონგის ბურთები და საწრუპი მილები. თამაში შეგიძლიათ ითამაშოთ მაგიდაზე ან იატაკზე. ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ ერთი-ერთში, როგორც მოწინააღმდეგეებმა, ან რაოდენობიდან გამომდინარე დაიყონ ორ ჯგუფად. თამაშის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საწრუპავ მილში სულის ჩაბერვით ბავშვმა ბურთი უნდა გაიტანოს მოწინააღმდეგის კარში.



### სამკერდე ნიშნების დამზადება

შეარჩიეთ ჯგუფის სახელი; დაურიგეთ ბავშვებს ბარათები ან სტიკერები მათზე ამ სახელის დასაწერად და გასაფორმებლად. შეგიძლიათ სამკერდე ნიშნები მრავალჯერადი გამოყენების გახადოთ, თუკი მათზე მიამაგრებთ უსაფრთხო ქინძისთავს ან სამაგრს.




### რა დევს ჩანთაში?

ჩაალაგეთ ჩანთაში სხვადასხვა ნივთები. ეს შეიძლება იყოს ჯგუფში მონაწილე ბავშვთა პირადი ან საოჯახო ნივთები. ბავშვები რიგრიგობით იღებენ ნივთებს ჩანტიდან, ხოლო ის პირი, რომელსაც ის ეკუთვნის სხვებს უყვება, თუ რატომ არის მისთვის ეს ნივთი მნიშვნელოვანი; ეს შეიძლება იყოს ფოტოსურათი, სათამაშო, რაღაც ნამუშევარი და ა. შ.



იმის გამოცნობა, თუ რა დევს ჩანთაში ძალიან მხიარული პროცესია. რიგრიგობით ყველა ბავშვს შეუძლია შეეხოს და შეიგრძნოს ჩანთა და თავად აღმოაჩინოს მისი შიგთავსი. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ხილი და ბოსტნეული, რომლებსაც შემდეგ დაჭრით და მიანოდებთ ბავშვებს რათა შეიგრძნონ უმი ხილის ან ბოსტნეულის არომატი და გემო. ეს პროცესი განსაკუთრებით მოეწონებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ვინაიდან მსგავსი შესაძლებლობა ამგვარი გამოცდილების მისაღებად შესაძლოა ძალიან იშვიათი რამ იყოს მათთვის.



### ამბების და მოთხრობების მოყოლა

ბავშვები ჯდებიან წრიულად; უფროსი პირი იწყებს ამბის მოყოლას ერთი ან ორი წინადადებით. ბავშვები რიგ-რიგობით უმატებენ მას წინადადებას და ასე დგება ამბავი. „მე წავედი საყიდლებზე და ვიყიდე .....“. ამ დროს ძალიან კარგია ბავშვებისათვის ნაცნობი განმეორებადი სტრუქტურის მოთხრობები. მაგალითად: „ჩვენ მივდივართ დათვზე სანადიროდ“, „თაფლაკვერის კაცუნა“, ან ბავშვებისათვის კარგად ნაცნობი ნებისმიერი ზღაპარი ან სახალხო თქმულება. შეგიძლიათ გარკვეული სიტყვები მიზანმიმართულად გამოტოვოთ, რათა უბიძგოთ ბავშვებს შეავსონ მოთხრობა.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## სახის მოხატვა



### აქტივობის მიზანი

ბავშვებსა და უფროსებს შორის ნდობისა და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება

### მასალები

სარკე, სახის საღებავი ან მაკიაჟი, სანმენდი ხელსახოცები და ქსოვილის ნაჭერი



### აქტივობა

აიღეთ სარკე. ერთი ადამიანი მეორეს სახეზე წაუსვამს საღებავს. შემდეგ ისინი მონაცვლეობით „შეუღებავენ“ ერთმანეთს სახეს. გააგრძელეთ მანამ, სანამ სახე მთლიანად არ შეიღებება. შეგიძლიათ ეს პროცესი გახადოთ თემატური, გამოიყენოთ პერსონაჟების, ცხოველების და ა.შ. თემატიკა.



## თამაშები ბუშით



### ბუშტების შეგროვება

გაბერეთ ბევრი ბუშტი და მიმოფანტეთ იატაკზე. მიეცით ბავშვებს ორი წუთი იმისათვის, რომ მათ მოაგროვონ და დაიჭირონ რაც შეიძლება მეტი ბუშტი. გამარჯვებული იქნება ის ბავშვი, რომელსაც ეკავება ყველაზე მეტი ბუშტი იმ მომენტისათვის, როდესაც დროის ათვლა შეწყდება.




### აფრენა და გაფრენა

ყველანი დადევით წრეში და ააგდეთ ჰაერში ბუშტი. როგორც კი ბუშტი დაბლა დაშვებას დაიწყებს ისევ დაარტყით ხელი და ზემოთ ააგდეთ, დააკვირდით თუ რამდენ ხანს შეძლებთ მის შენარჩუნებას ჰაერში ძირს დავარდნის გარეშე, დაითვალეთ დარტყმების რაოდენობა. შესაძლებელია მოაწყოთ შეჯიბრება ორ გუნდს შორის.



### ცხელი ბუშტი

დასვით ბავშვები წრეში, დაუკარით რომელიმე მუსიკა და მასთან ერთად ხელის მირტყმით გადაანოდეთ ბუშტი გარშემო ჯგუფის სხვა წევრებს. როდესაც მუსიკა შეწყდება, ბოლო ვინც ბუშტს შეეხო (ან იმ მომენტისათვის ეხება) ვარდება თამაშიდან. ვინც ბოლო დარჩება წრეში არის გამარჯვებული.



### შეჭიბრი ბუშტების გახეთქვაში

დააჯგუფეთ ბავშვები ორ გუნდად და დააყენეთ ისინი ერთ მწკრივად ოთახის ერთ ბოლოში. ოთახის მეორე ბოლოში დადგით ბუშტებით სავსე ყუთი, დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვს თითო ბუშტი შეხვდა. სამამდე დათვლისთანავე ორივე გუნდის პირველი ბავშვი მირბის ოთახის მეორე ბოლოსაკენ, აირჩევს ბუშტს და ხეთქავს მას მასზე დახტომით, დაჭდომით ან მისი გათელვით. შემდეგ ისინი გამორბიან უკან და ესტაფეტას გადასცემენ შემდგომ ბავშვებს თავიანთ გუნდში. ის გუნდი იმარჯვებს, ვინც პირველი გახეთქავს ყველა თავის ბუშტს. უმჯობესია, ეს თამაში ითამაშოთ ბუშტებით თამაშის ბოლოს! თუ გსურთ, შეგიძლიათ პატარა პრიზი ჩადოთ თითოეულ ბუშტში, რათა ბავშვს მისი გახეთქვის შემდეგ რაღაც დარჩეს. **გათვალისწინეთ, რომ ეს თამაში არ არის მიზანშეწონილი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც მგრძნობიარენი არიან ხმაურის მიმართ.**



### განძი ბუშტებში

გაბერეთ სხვადასხვა ფერის ბუშტები (თითო ბუშტი ყველა ბავშვისათვის) და შეფუთეთ პრიზების იგივე რაოდენობა სხვადასხვა ფერის ქალაქში, ისე რომ ისინი ბუშტების ფერს შეესაბამებოდნენ. თუკი თქვენ არ გაქვთ სამყოფი რაოდენობა ფერადი ქალაქებისა, შეგიძლიათ უბრალოდ დაანეროთ ფერი ჩვეულებრივ ქალაქდზე და ის გამოიყენოთ შესაფუთად. დამალეთ ბუშტები სახლის სხვადასხვა ადგილში და გააგზავნეთ თამაშის მონაწილეები მათ მოსაძებნად - თითოეული ეძებს მხოლოდ ერთ ბუშტს. რა ფერის ბუშტსაც იპოვნია, იმ ფერის ამანათს მიიღებენ თამაშის დასრულებისას.



### ბუშტების ფეხით გათელვა

ეს მშვენიერი საშუალებაა ენერჯის დასაწვავად და კარგად მუშაობს იმ შემთხვევაში, თუკი გაქვთ დიდი სივრცე. ჩააგდეთ რამოდენიმე კანფეტი ან სხვა ტკბილეული ბუშტში, გაბერეთ ის და გაუკვანძეთ თავი. ძაფის ან წვრილი ზონარის ერთი ბოლო მიაბით ბუშტს, ხოლო მეორე ბოლოთი ის მიამაგრეთ ბავშვის კოჭზე. შემდეგ ყველანი იწყებენ გარშემო სირბილს და ცდილობენ სხვა ბავშვების ბუშტების გახეთქვას ფეხის დაბიჯებით და საკუთარს დაცვას. გაითვალისწინეთ, რომ თამაშისას შესაძლოა ბავშვებმა ერთმანეთს ტერფებზე დააბიჯონ, ამიტომ კარგი იქნება, თუკი თამაშის წინ ფეხზე გაიხდიან.



### წყლით სავსე ბუშტებით თამაში

დააჭგუფეთ ბავშვები წყვილებად და ყოველ წყვილში თითო ბავშვს მიეცით წყლით სავსე ბუშტი. ბავშვები დგებიან ერთმანეთისაგან დაახლოებით ერთი მეტრის მოშორებით და იწყებენ ბუშტის ერთმანეთისთვის გადაგდებას და უკან დაბრუნებას. თუკი ისინი ამ მოქმედებას ბუშტის ძირს დაუვარდნელად მოახერხებენ, მაშინ ისინი თითო ნაბიჯით უკან იხევენ და იმეორებენ მოქმედებას. მენწყვილები აგრძელებენ ერთმანეთისგან დაშორებას მანამ, სანამ ბუშტი არ გაუვარდებათ ან ხელში არ შემოასკდებათ და დასველდებიან. ის წყვილი იმარჯვებს, რომელიც ყველაზე შორი მანძილიდან ესვრის ერთმანეთს ბუშტს. (უმჯობესია, ეს თამაში ითამაშონ გარეთ!)





### ვარჯიში მიზანში სროლაში

მიეცით ყველას ფერადი ბუშტი გასაბერად, ოღონდ ნაცვლად თავის გაკვანძვისა წაუჭირონ მას ხელი. მოათავსეთ სამიზნე იატაკის ცენტრში და სამამდე დათვლისას გააშვებინეთ ბუშტებზე ხელი. სამიზნედ გამოიყენეთ ყუთი, ჰულა ჰუპი, ან ტილოფი. შეგიძლიათ ითამაშოთ იმდენი რაუნდი, რამდენიც მოგესურვებათ. თამაშისას მიაჩნეთ ბავშვებს ქულები მიზანში ან მიზანთან ახლოს მოხვედრისთვის. ის ბავშვი იქნება გამარჯვებული, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს რამოდენიმე რაუნდის შედეგად.



### „ცხვრების მორეკვა“

გაყავით ბავშვები ორ გუნდად და თითოეულ გუნდს მიეცით მუყაოს დიდი ყუთი, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც ცხვრების შესარევი ბაკი (სადგომი). გაბერეთ და მიმოფანტეთ ძალიან ბევრი ბუშტი და მოუწოდეთ გუნდებს „შემორეკონ თავიანთი ცხვრები“ ისე, რომ ხელები ზურგს უკან ეჭიროთ. მათ მოუწვეთ გუნდური მუშაობა იმისათვის, რომ „ცხვრების შემორეკვის“ საუკეთესო ხერხს მიაგნონ და საკმაოდ გაკვირვებულიც კი დარჩებით მათ მიერ მოფიქრებული ზოგიერთი ხერხით. ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც ყველაზე მეტ ცხვარს შერეკავს ბავში.



### საესტაფეტო თამაშები

უამრავი საესტაფეტო თამაში არსებობს, რომელიც შეგიძლიათ ითამაშოთ ბუშტებით და რა თქმა უნდა, ასეთი თამაშები მთავრდება მაშინ, როდესაც გუნდის ბოლო წევრი გახეთქავს ბუშტს. საესტაფეტო თამაშებია:

- სირბილი ფეხებს შორის მოთავსებული ბუშტით
- მწკრივში მდგარი გუნდის წევრებისთვის ბუშტის გადაწოდება - ზემოდან და ქვემოდან, ზემოდან და ქვემოდან
- მწკრივში მდგარი გუნდის წევრებისთვის ბუშტის გადაწოდება - მუცლიდან მუცელზე, ან ფეხებს შორის
- ხტუნვა-ხტუნვით სირბილი კოჭებს შორის მოთავსებული ბუშტით
- ხელის ან ფეხის დარტყმებით ბუშტის გატარება წინაღობებს შორის



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---

## ჯგუფი სათამაშო აქტივობები



### თამაშები პარაშუტით



### კარუსელი

ბავშვები გვერდულად დგებიან პარაშუტთან, ისე რომ პარაშუტი მხოლოდ ცალი ხელით უჭირავთ. შემდეგ, ხელის გაუშვებლად იწყებენ ირგვლივ სიარულს, ხტუნვას, ასკინკლით სირბილს. ეს თამაში მოგაგონებთ კარუსელს. ბავშვებს შეუძლიათ რიგრიგობით დაიძახონ, თუ რომელი მოქმედება იქნება შემდეგი.



### პოპ-კორნი

მოათავსეთ რამოდენიმე ცალი ბურთი ან მარცვლეულით გავსებული ტომსიკა პარაშუტზე. ბავშვები გაარხევენ პარაშუტს ისე, რომ ეს მოქმედება წააგავდეს პოპ-კორნის გაბერვას. ეცადეთ, რომ არ ჩამოგივარდეთ არცერთი ბურთი თუ ტომსიკა.



### გველები

მოათავსეთ რამოდენიმე ცალი სახტუნაო ლახტი პარაშუტზე. ბავშვებმა უნდა გაარხიონ პარაშუტი ისე, რომ ეცადონ მათ ჩამოებერტყვას.



### საქანელა

ბავშვები სხდებიან იატაკზე, ისინი წინ და უკან გადაქაჩავენ პარაშუტს ისე, რომ ეს მოძრაობა წააგავდეს საქანელაზე ქანაობას.



### ტალღების გაკეთება

პარაშუტის ხელში მყარად დაჭერით და ზემოთ-ქვემოთ მოძრაობით, ბავშვები ქმნიან დიდსა თუ პატარა ტალღებს.



### ბურთის გაგორება

ბავშვები ცდილობენ პარაშუტზე დადებული ბურთის ისე გაგორებას, რომ ის მის ცენტრში არსებულ ხვრელში ჩავარდეს, თუკი ასეთი ხვრელი არსებობს. ეს თამაში შეგიძლიათ ითამაშოთ გუნდურად; ერთი გუნდი ცდილობს ბურთის ხვრელში ჩაგორებას, ხოლო მეორე კი ცდილობს ხელის შეშლას.

თუკი პარაშუტს არ აქვს ხვრელი, მაშინ თამაშის მიზანი შეიძლება იყოს პარაშუტიდან ბურთის გადმოგდება. ერთ-ერთი ბავშვი დაითვლის ქულებს.



### პარაშუტის აწევა

სთხოვეთ ბავშვებს, ასწიონ პარაშუტი მაღლა, მათ თავს ზემოთ და შემდეგ ისევ დასწიონ დაბლა. ისაუბრეთ ამ მოქმედებებისას წარმოქმნილი ნიავისა და ხმების შესახებ. დააჩქარეთ მოძრაობები და დააკვირდით მიღებულ სხვადასხვა ეფექტს.



### სოკო

ფეხზე მდგარი პოზიციიდან ასწიეთ პარაშუტი იატაკიდან წელის სიმაღლემდე. სამამდე დათვლისას ბავშვები პარაშუტს სწევენ თავს ზემოთ, შემდეგ მკვეთრი მოძრაობით ჩაჭდებიან იატაკზე და მჭიდროდ ჩამოიხურავენ პარაშუტს თავიანთ ზურგს უკან. ამ დროს, პარაშუტის დაბლა დაშვებისას წარმოიქმნება სოკოს ეფექტი.



### დაჭერობანა პარაშუტით

ასწიეთ პარაშუტი თავს ზემოთ. დაიძახეთ ერთ-ერთი ბავშვის სახელი, რომელმაც უნდა მოასწროს გაქცევა (ხტუნვით, ბრუნვით ან ხოხვით მისვლა) საპირისპირო მხარეს, სანამ პარაშუტი არ დაეშვება და შეეხება („დაიჭერს“) მას. ეტლში მჯდომ ბავშვს შეუძლია თვითონ ან სხვისი დახმარებით მიგორდეს საპირისპირო ადგილამდე.



### სირბილი ცალი ხელით

ბავშვები პარაშუტს დაიჭერენ ცალი ხელით, ხოლო მეორე ხელს გაიწვდნენ საპირისპირო მხარეს წონასწორობის დასაცავად. იწყებენ ერთი მიმართულებით წრიულ სირბილს, შემდეგ იცვლიან მიმართულებას და საპირისპირო მიმართულებით მირბიან. კარგი ვარიანტი იქნება, თუკი გამოიყენებთ მუსიკას მიმართულების შეცვლის ნიშნად (მაგ. მიმართულება შეიცვლება ყოველ ჯერზე, როცა მუსიკა შეწყდება). ეს ასევე კარგია სმენითი უნარებისთვისაც.



### გუნდური შეჯიბრებები

მოათავსეთ ერთი ბურთი პარაშუტის შუაგულში. ორმა მონაწილემდევე გუნდმა უნდა სცადოს ამ ბურთის მონაწილემდევის მხარეს გადაგდება. ასევე შეგიძლიათ თითოეულ გუნდს მიანიჭოთ ფერი და მისცეთ შესაბამისი ფერის ბურთი, რომელიც უნდა ჩააგორონ პარაშუტის შუაგულში არსებულ ხვრელში.



### წრებზე მორბენალი ბურთი

ყველას მჭიდროდ უჭირავს პარაშუტი. მის კიდესთან მოათავსეთ დიდი ზომის ბურთი. ეცადეთ, რომ ბურთი აგოროთ პარაშუტის გარშემო. ერთ-ერთი ბავშვი იწყებს ბურთის გაგორებას. როდესაც ის თქვენსკენ წამოვა, დასწიეთ პარაშუტი დაბლა და როგორც კი ბურთი გაგცდებათ - ასწიეთ მაღლა. როდესაც ყველა მოთამაშე სინქრონულად ასრულებს ამ მოქმედებებს, ეს ქმნის კიდევ წრიულად მოძრავ ტალღას, რომელიც ბურთს აძლევს ბიძგს და შეუფერხებლად მიაგორებს მას წრის გარშემო. კარგი კონცენტრაციისა და კოორდინაციის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა, ჯგუფისთვის ძალიან დასაფასებელია შეუფერხებელი, უწყვეტი წრიული მოძრაობის მიღწევა. როდესაც ამას მიაღწევთ, ეცადეთ მოუმატოთ სიჩქარეს, ან შეცვალეთ მიმართულება.



### დანომვრით სირბილი

თუკი პარაშუტისაკმაოდ დიდი ზომისაა, ბავშვებს შეუძლიათ მის ქვეშ ირბინონ და გაუცვალონ ერთმანეთს ადგილები; თქვენ შეგიძლიათ დანომვრით ბავშვები თანმიმდევრობით და დაიძახოთ მათი ნომრები, ან თქვათ: „ვისაც ლურჯი ტანსაცმელი გაცვიათ, გაცვალეთ ადგილები“, ან დაარქვით ბავშვებს სხვადასხვა სახელები ან მიანიჭეთ მათ ფერი.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## გუნდური თამაშები და რბოლები



### ბურთის გადაწოდება ზემოდან და ქვემოდან

თანაბარ გუნდებად დაყოფილი ბავშვები დააყენეთ მწკრივში. გუნდების წინამძღოლებს უჭირავთ თითო ბურთი, რომლებსაც ისინი გადააწვდიან მათ უკან მდგარ ბავშვებს თავს უკან გადატარებით; შემდეგ მომდევნო ბავშვი გადააწვდის ბურთს მის უკან მდგარს თავს უკან გადატარებით და ასე გრძელდება მანამ, სანამ ბურთი ბოლო ბავშვამდე არ მიაღწევს. ბოლოში მდგარი ბავშვი კიდებს ბურთს ხელს, გამორბის მწკრივის თავში და ფეხებს შორის გატარებით აწვდის მას მის უკან მდგარს, ასე გრძელდება მანამ, სანამ ბურთი ბოლო ბავშვამდე არ მივა. შემდეგ ისევ, ბოლო ბავშვი გამორბის მწკრივის თავში და თავს უკან გადატარებით აწვდის ბურთს მის უკან მდგარ ბავშვს. თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე გუნდი პირველი არ დაასრულებს თამაშს და დასხდება იატაკზე ამის საჩვენებლად.




### რბოლა კარტოფილებით

დააჯგუფეთ ბავშვები თანაბარ გუნდებად. იქონიეთ რამოდენიმე ცალი კარტოფილი ან მარცვლეულით სავსე ტომსიკა და იმავე რაოდენობის ვარცლი რამდენი გუნდიცაა. თანაბარი დაშორებით, ერთ მწკრივში მოათავსეთ კარტოფილები ბავშვებსა და ვარცლებს შორის. თამაშის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვებმა სათითაოდ მოათავსონ ყველა კარტოფილი ვარცლში და მიიღონ ბოლომდე. ყოველი შემდეგი ბავშვი აკეთებს ამის საპირისპირო მოქმედებას, იღებს ვარცლიდან კარტოფილს და უკან აბრუნებს. თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე გუნდი პირველი არ დამთავრებს და ხელებს ჰაერში აწევს ამის საჩვენებლად.



### რბოლა კოვზებით

აიღეთ კოვზები და ქვები, ან კარტოფილები. დააჯგუფეთ ბავშვები გუნდებად. თითოეული გუნდის პირველ ბავშვს უჭირავს კოვზი და ცდილობს მასზე დადებული ქვა/კარტოფილი არ გადმოუვარდეს. შემდეგ ისინი ეჭიბრებიან ერთმანეთს გარკვეულ მანძილზე გარბენსა და სირბილით უკან დაბრუნებაში ისე, რომ ხელით არ შეეხონ ან არ დაუვარდეთ კოვზზე მოთავსებული ქვა/კარტოფილი. ისინი შემდეგ ამ კოვზს და ქვას/კარტოფილს გადასცემენ შემდეგ ბავშვს ესტაფეტის სახით. ასე გრძელდება მანამ, სანამ რბოლა არ დამთავრდება.





## შოკოლადის სადილი

თქვენ დაგჭირდებათ შარფი, ხელთათმანები, ქუდი, დანა-ჩანგალი და შეფუთული შოკოლადის ფილა. ბავშვები სხდებიან წრიულად და რიგრიგობით იყენებენ ბზრიალას ან კამათელს, რომელზედაც ეწერება რიცხვები, ან კიდევ გამოიყენებენ რომელიმე ნივთს, რომელსაც წრეში გადააწვდიან; გადანოდებისას გამოიყენეთ მუსიკა, რომელსაც შუალედებში გამორთავთ ხოლმე. ის ბავშვი, რომელსაც მუსიკის შეწყვეტისას ხელში ეჭირება აღნიშნული ნივთი, მიირბენს წრის შუაში, მოისხამს შარფს, ჩაიცვამს ხელთათმანებს, დაიხურავს ქუდს და ეცდება შოკოლადისთვის შეფუთვის შემოცლას დანისა და ჩანგალის გამოყენებით. თამაში გრძელდება მანამ, სანამ შოკოლადი არ შეიჭმევა! შეგიძლიათ მოიმარაგოთ კანფეტები ან ტკბილეული, რათა ყველა ბავშვმა მიიღოს ჭილდო.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## ცარცით ხატვა და გაფერადება



ცარცით სახატავად და საფერადებლად უზრუნველყავით ბავშვებისათვის უსაფრთხო ზონის შექმნა ქვაფენილზე, მყარ გრუნტზე ან ღობეზე. წყვილებათ ან ინდივიდუალურად მუშაობით, ბავშვებს შეუძლიათ შექმნან ნახატი; ნახატი შეიძლება იყოს რაიმე კონკრეტულ ან თავისუფალ თემაზე.

ხატვისა და გაფერადების მიზნით ბავშვებს შეუძლიათ შეარჩიონ ქვები; ამ შემთხვევაშიც ნახატი შეიძლება იყოს თემატური, მაგალითად, ადამიანის სახე ან ცხოველი, ან ბავშვებს შეუძლიათ თავიანთი წარმოსახვის მიხედვით დახატონ რაიმე.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## სახლის აშენება ეზოში, ბაღში



როგორც წესი, ბავშვებს ძალიან უყვართ ეზოში, ბაღებში სახლების მონაცობა. ჰორიზონტალურად გაბმულ თოკზე გადაკიდეთ პლედი, რათა გამოვიდეს კარავი ან ერთგვარი პირადული სივრცე, სადაც ბავშვები მუყაოს ყუთებით ითამაშებენ. კარავის გვერდები შეგიძლიათ მიწაზე დაამაგროთ გარშემო დიდი ზომის ქვების ან აგურების შემოწყობით.

მსგავსი ტიპის აქტივობისათვის უმჯობესია ბაღის ფარდულის გამოყენება, თუკი ფინანსები გაძლევთ ამის საშუალებას. პლასტმასის/მუყაოს რამოდენიმე ცალი თეფში და ჭიქა და პატარა მაგიდა რამოდენიმე ცალი ბალიშით - საკმაოდ კომფორტული საფარია მათთვის, ვისაც ის ჭირდება.



## მეზღობა



თუკი ფართი ამის საშუალებას გაძლევთ, ბავშვებს შეუძლიათ მოაწყონ მინის პატარა ნაკვეთი, სადაც თავად გაზრდიან მცენარეებს.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## საირნობა მოსმენისა და შვროვებისთვის



წაიყვანეთ ბავშვები სასაირნოდ და ცადეთ მათი ყურადღება გაამახვილოთ იმ ხმებზე, რომლებსაც გაიგონებენ. შეგიძლიათ ეს პროცესი უფრო გაცხრილოთ და მხოლოდ ფრინველებისა და ავტომობილების მოძრაობის ხმებზე და ხალხის საუბარზე გაამახვილოთ მათი ყურადღება. თუკი ამას მოახერხებენ, მაშინ მათ შეუძლიათ ყური მიუგდონ ფოთლების ჩუმ შრიალს და ეცადონ პატარა არსებების დანახვას. შეგიძლიათ ბავშვებს აღანუსხინოთ მათ მიერ გაკეთებული აღმოჩენები ინდივიდუალური ან ჯგუფური ნახატების შექმნის გზით.



როდესაც ბავშვებს წაიყვანთ ბუნებაში სხვადასხვა ნივთების და მცენარეების შესაგროვებლად და მოსაკრეფად, თან იქონიეთ ჩამონათვალი იმ ნივთებისა, რომლებიც გსურთ, რომ ბავშვებმა შეაგროვონ. თითოეულ ბავშვს მიეცით ჩანთა მასში ნივთების ჩასაწყობად. ჩამონათვალის შედგენისას გამოიყენეთ სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, ანბანის თითოეულ ასოს ან ვინმეს სახელს შეუსაბამეთ თითოეული ნივთი. ეს დაეხმარება ბავშვებს შეგროვების პროცესის დროს კონცენტრირებაში. დაბრუნებისას ბავშვები დაითვლიან და ერთმანეთს შეადარებენ მათ მიერ ნაპოვნ ნივთებს. ამ აქტივობის შესრულება შესაძლებელია წყვილში, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

ბავშვებს შეუძლიათ დაკრიფონ ყვავილები და მონყვიტონ ბალახი, რომლებსაც შემდეგ გაზეთის ფურცლებს შორის მოათავსებენ. როდესაც ისინი კარგად გახმება, შეგიძლიათ დაამზადოთ სურათები ბალახის ან ყვავილის ფურცლების ბარათზე ფრთხილად დანებებით. თუ თქვენ გაქვთ ლამინირების აპარატი, შეგიძლიათ დაამზადოთ წიგნის სანიშნები ან ბარათები, რომლებიც უფრო დიდხანს გაძლებენ. ასეთი ნივთები შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ საჩუქრებად, იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ტოვებენ დაწესებულებას, ან მეგობრების მოსაწვევად ჩაიზე.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## თამაშები პარკში


აიღეთ ბურთები, მარცვლეულით სავსე ტომსიკები, სახტუნაო ლახტები და მოაწყვეთ გუნდური თამაშები ან რბოლები, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ.














VI

# თამაშები და აქტივობები 10-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

წინამდებარე აქტივობების უმრავლესობა, რომელიც ჩვენ მიერაა წარმოდგენილი, გამიზნულია უფროსი ასაკის ბავშვებისთვისაც. ის, თუ რომელ თამაშს აარჩევთ, დიდწილად დამოკიდებული იქნება იმ ბავშვების შესაძლებლობებზე, რომლებთანაც მუშაობთ.

უფროსი ასაკის ბავშვებისათვის უფრო მიზანშეწონილია შემდეგი სახის აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

## ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, საჭმლის მომზადება და საყიდლებზე სიარული

ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს, რომლებიც იღებენ ოჯახური ცხოვრების გამოცდილებას, აქვთ ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ პრაქტიკაში შეიძინონ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, როგორცაა: საჭმლის მომზადება, საყიდლებზე სიარული, კერვა, დალაგება-დასუფთავება, შინაურ ცხოველებზე ზრუნვა და ა.შ. ჩვენი დახმარება სჭირდებათ აღმზრდელობით დაწესებულებებში მყოფ ბავშვებს, რათა დაოსტატდნენ ამ უნარ-ჩვევებში და შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება, როდესაც გაიზრდებიან.



## საჭმლის მომზადება



### მარტივად მოსამზადებელი ნამცხვრები

ყველა ადამიანს გააჩნია თავისი საყვარელი რეცეპტი, ზოგიერთი მათგანი სხვებზე მარტივად მოსამზადებელია. ბავშვებს შეუძლიათ დაიწყონ ისეთი ნამცხვრების კეთებით, რომლებსაც ცხოება არ სჭირდებათ.



#### დაგვიჩვენებთ

თასი, კოვზი, ნამცხვრის ფორმები, შოკოლადის ნატეხები და ბურღულეული, როგორცაა ბრინჯის ბურბუშელები და სიმინდის ფანტელები.

ფრთხილად გააძნეთ შოკოლადი ცხელი წყლის ორთქლზე, ნამცხვრის ფორმებში დაუმატეთ მას ბურღულეული და მიქსტურა კოვზით მოურიეთ. დაელოდეთ გაგრილებას.


მომზადების დასრულების შემდეგ მიეცით ბავშვებს უფლება, თავად დაასუფთაონ იქაურობა.



დაგვირდებათ

ბოსტნეულის წვნიანი:

ბოსტნეული, ხახვი, პრასი, პომიდორი, კომბოსტო ან რაც ხელთ გაქვთ, სანელებლები, დანები და დასაჭრელი დაფა.



ბავშვებს დასჭირდებათ ბოსტნეულის დაჭრა, ზოგიერთ მათგანს, შესაძლოა, დასჭირდეს ზედამხედველობა დანის გამოყენებისას. თუკი ბავშვებს დართავთ სამზარეულოს გამოყენების უფლებას, მათ შეუძლიათ წვნიანი თავად მოამზადონ, ან მის ბოლომდე მისაყვანად დაუთმონ ის მზარეულს.

საკუთარ ძალებში დარწმუნებასთან ერთად, ბავშვებს შეუძლიათ შეადგინონ სადილის მენიუ, მათ შეუძლიათ შეადგინონ საყიდლების სია და წავიდნენ საყიდლებზე განსაზღვრული ბიუჯეტით.

შეგიძლიათ, ეს პროცესი უფრო მასშტაბური გახადოთ: ბავშვებს შეუძლიათ, სკოლის მეგობრები მოიწვიონ სადილად ან ჩაიზე, მათ შეუძლიათ ჩაერთონ დაგეგმარებაში, მოსაწვევების წერაში და სტუმრების დასახვედრად სახლისა და სადილის მომზადებაში.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## თემატური დღეები


ეს აქტივობა შესაძლებელია მენიუს დაგეგმარების შემდეგ შესრულდეს. ბავშვებს შეუძლიათ, აღნიშნონ დაბადების დღე, რომელიმე დღესასწაული ან თავად მოიფიქრონ მათთვის განსაკუთრებული დღე. მათ შეუძლიათ დაამზადონ მარტივად გასაკეთებელი დეკორაციები, კოსტუმები ან ნიღბები. იმის, თუ რის გაკეთებას გადაწყვეტთ, შეიძლება დამოკიდებული იყოს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებზე.



## ტანსაცმლის კერვა

კერვის ცოდნა ყოველთვის გამოგადგებათ დახეული ტანსაცმლის შესაკეთებლად, ღილების დასაკერებლად ან სულაც ახალი ტანსაცმლის შესაკერად. კარგი დასაწყისი იქნება, თუ დაიწყებთ სამზარეულოს წინსაფრების დამზადებით.






### დაგჭირდებათ

გარკვეული მასალები მაღაზიიდან და ლენტები ყელსახვევებისათვის. ესკიზების გამოტრა შესაძლებელია გაზეთისგან. შეგიძლიათ ინდივიდუალური წინსაფრები დაამზადოთ, თუკი მათზე სხვადასხვა ფერის ჯიბეს მიაკერებთ ან წინა მხარეს სახელის ინიციალებს ამოქარგავთ. არ არსებობს ამ აქტივობაში ბიჭების არ ჩართვის მიზეზი.



### ჩხირებით ან ყაისნალით ქსოვა

თქვენს სანაცნობოში შესაძლოა არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ამ უნარებს ასწავლის ბავშვებს. ბავშვებს შეუძლიათ სკოლის შემდგომ, სალამობით შეიკრიბონ და ეს ხელსაქმე შეისწავლონ. როდესაც ისინი უკვე ჩაერთვებიან ამ ხელობაში, შემდეგ უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ გააგრძელონ სხვადასხვა რამის ქსოვა.





## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის სათამაშოების და ალჭურვილობის დამზადება

უმცროსი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მარტივი ტიპის სათამაშოები დაამზადონ უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.


### დიდი ზომის პლასტმასის ბოთლები

გაჭერით შუაზე დიდი ზომის პლასტმასის ბოთლი, ისე რომ ბოთლის თავი და ძირი ერთმანეთისგან განცალკევდეს. ზედა ნაწილისაგან მივიღებთ ძაბრს და მცირე ზომის ნივთების ჩასაყრელ ნახვრეტს. გადმოატრიალეთ ბოთლის ზედა ნაწილი (ძაბრი) და ჩადეთ ბოთლის ქვედა ნაწილში; ძაბრში შეგიძლიათ ჩაყაროთ მაგიდის ჩოგბურთის პატარა ბურთები, ან ისეთი ნივთები, რომლებიც გაეტევა ძაბრის თავში. ეს ძალიან მხიარული აქტივობაა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის, რომელმაც უნდა ისწავლოს ნივთების ჩაბლუჭვა და გაშვება. ბოთლის ქვედა ნაწილი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ნივთის შესანახად. დარწმუნდით იმაში, რომ გადაჭრილი კიდეები არაა ბასრი.



### შეიკვრები




შეიკვრის დასამზადებლად პლასტმასის ბოთლში ჩაყარეთ გამომშრალი მაკარონი, ბრინჯი ან მუხუდოს მარცვლები. შეგიძლიათ ბოთლი გააფორმოთ გარედან, ხოლო შიგნით ჩაუმატოთ ბრჭყვიალები, დილები და ბუმბულები, რათა უზრუნველყოთ ვიზუალური და სმენითი სტიმულაცია. შეგიძლიათ თავსახური დაანებოთ წებოს გამოყენებით, რათა შეიკვრი უსაფრთხო გამოსაყენებელი იყოს. შეიკვრები ძალზე სასარგებლოა მცირე ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის; მათთვის ის წარმოადგენს მათი დაინტერესებისა და მასტიმულირებელ ობიექტს და ეხმარება თვალის მიყოლებაში.





### თოჯინა-მარიონეტების დამზადება

თოჯინა-მარიონეტების დამზადება მუყაოსაგან, ძველი წინდებისაგან ან ქალბატონების გეტრებისაგან ძალიან მარტივი და გასართობი აქტივობაა. გამოიყენეთ სხვადასხვა მასალის მონარჩენები ცხვირებისა და ყურების გასაკეთებლად, შალი - თმებისათვის, ხოლო ღილები - თვალებისათვის. სხვების, მათ შორის უმცროსი ასაკის ბავშვების გასართობად შეგიძლიათ დადგათ თოჯინების შოუ ცხოველების, ადამიანებისა და რეკვიზიტების გამოყენებით. თოჯინების თეატრი შეგიძლიათ მოაწყოთ მუყაოს ყუთისგან, რომელსაც მორთავთ და დაუმაგრებთ რომელიმე მასალისაგან დამზადებულ ფარდებს.






## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## მეგობრობის სამაჯურები



ბავშვებს უყვართ მეგობრობისათვის საჩუქრების ჩუქება და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ბავშვები სხვა დაწესებულებაში გადადიან.

მეგობრობის სამაჯურების (ბრასლეტების) დამზადება შეგიძლიათ სხვადასხვა ფერის ძაფების დაწნით და მისთვის სამაჯურის ფორმის მიცემით; შეგიძლიათ მას დასრულებული ფორმა მისცეთ ლამაზი მარყუჟის გაკეთებით და მძივის ან ღილის დამაგრებით, რათა გამოვიდეს შესაკრავი. ძალიან ხშირად ბავშვებს უყვართ ორი ერთნაირი სამაჯურის გაკეთება - ერთი თავისთვის, ხოლო მეორე სხვისთვის მეგობრობის ნიშნად საჩუქებლად. ნიმუშების ნახვა შესაძლებელია ინტერნეტით.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## ცეკვა, გუნდური სიმღერა და მუსიკა



ბავშვებს ძალიან უყვართ კონცერტებისა და სხვა გასართობი ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება. მათ შეუძლიათ მოამზადონ სიმღერები, ცეკვები ან მუსიკა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის. თუკი არსებობს რომელიმე ადგილობრივი ჯგუფი ან ჯგუფები, მაშინ შეგიძლიათ დაინტერესებულ ბავშვებს ურჩიოთ შეუერთდნენ ამ ჯგუფებს და იურთიერთონ მათთან აღმზრდელითი დაწესებულების გარეთ. ზოგიერთ ბავშვს შესაძლოა უნდოდეს ცეკვის ან სიმღერის ადგილობრივ ჯგუფებში ჩართვა, რაც კარგი საშუალებაა ადგილობრივ თემთან ურთიერთობისათვის.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## რუკების წაკითხვა, ადგილობრივი ტერიტორიის რუკების და მათი გამოყენება



აღმზრდელით დაწესებულებებში მიყვანილ ბავშვებს შესაძლოა ადრე არ ჰქონიათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების სწავლის შესაძლებლობა. ახალ საცხოვრებელ ადგილს შეგუება ან ახალ სკოლაში გადასვლა შესაძლოა მათთვის არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდეს. ამაში მათ ძალიან დაეხმარება ადგილობრივი ან მშობლიური ტერიტორიის რუკის შედგენა. მნიშვნელოვანია რუკაზე სახლის, სკოლის, მაღაზიების, ეკლესიის და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების დატანა, რათა მათ დამოუკიდებლად გაიგონ გზა მაღაზიებისა თუ ეკლესიისაკენ, თუკი ბავშვი შესაბამისი ასაკისაა. ხოლო თუ მათ უფროსის თანხლება სჭირდებათ, მაშინ ბავშვებს შეუძლიათ მარშრუტი თავად გაავლონ. შეგიძლიათ გააცნოთ ბავშვებს უფრო დიდი ზომის ქვეყნისა თუ მსოფლიოს რუქები, რათა ბავშვებმა იცოდნენ თუ სად არის მათი საცხოვრებელი ადგილი.



### ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები

თუკი ამის შესაძლებლობა არის, ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ კომპიუტერის გამოყენება სპეციალური სენსებისას. შეგიძლიათ აჩვენოთ მათ თუ როგორ შევდივართ ინტერნეტში და ვეძებთ ინფორმაციას. თუ ამის შესაძლებლობა შინ არ გაქვთ, შეგიძლიათ ისინი რეგულარულად ატაროთ ინტერნეტ კაფეში. ეს უნდა გაკეთდეს უფროსის თანხლებით, რათა ბავშვები არ შევიდნენ არასასურველ საიტებზე.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

VII

# აქტივობები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის



## შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ბავშვები



## ცერებრული დამბლაის მქონე ბავშვების დახმარება

ცერებრული დამბლა არის დარღვევათა ჯგუფი, რომელშიც შესაძლოა ჩართული იყოს თავის ტვინი და ნევრული სისტემის ფუნქციები, როგორებიცაა: მოძრაობა, სწავლა, სმენა, მხედველობა და აზროვნება.

განასხვავებენ ცერებრული დამბლის სხვადასხვა ტიპებს: სპასტიკური, დისკინეზური, ატაქსიური, ჰიპოტონური და შერეული. ამ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს ესაჭიროებათ ფიზიოთერაპევტებისა და ოკუპაციური თერაპევტების დახმარება. ეს კლასიფიკაციები შესაძლოა თქვენთვის დამაბნეველი იყოს, ამიტომ საჭიროა თერაპევტის კონსულტაცია, რათა ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ თითოეული ბავშვის საჭიროების შესახებ. ისინი მოგცემენ რჩევებს ბავშვის სწორად ჯდომისა და პოზიციონირების შესახებ, რაც სასარგებლოა ბავშვის განვითარებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ისინი დაეხმარებიან ბავშვს წონასწორობისა და კოორდინაციის უკეთ დაცვაში. როდესაც ბავშვები სწორ პოზიციას იმყოფებიან, მათ უკეთ შეუძლიათ ხელების გამოყენება და იმის დანახვა, თუ რა ხდება მათ წინ. შემდეგ ისინი უფრო მარტივად შეძლებენ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას. აღმზრდელთა როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაგეგმონ აქტივობები ისე, რომ ბავშვებმა მასში მონაწილეობის მიღება მაქსიმალურად შეძლონ. მათზე სათანადო ზრუნვით, ჩვენ საშუალებას მივცემთ ბავშვებს იმხიარულონ, ისწავლონ და განვითარდნენ თავიანთი სრული პოტენციალით. ყოველთვის ყურადღებით დააკვირდით თქვენი აღმზრდელობის ქვეშ მყოფ ბავშვებს და ჩაინიშნეთ თუ როგორ რეაგირებენ თქვენს ჩარევაზე.

ცერებრული დამბლის მქონე ზოგიერთ ბავშვს აქვს პრიმიტიული რეფლექსები, როლებიც ნორმალური განვითარების შემთხვევაში ქრება, თუმცა მაინც გვხვდება ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, ზოგიერთ ბავშვში აღინიშნება „მოროს რეფლექსი“ და ნებისმიერ უეცარ ხმაურზე ან მოძრაობაზე ისინი რეაგირებენ ხელებისა და თავის უკან გადაქნევით; ასეთი რეაგირების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მათთან ფრთხილი და წყნარი მოქცევა.



### ეპილეფსიის მქონე ბავშვების დახმარება

ეპილეფსია არის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ტვინზე და იწვევს განმეორებად გულყრებს. გულყრები ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს უეცარ ელექტრული აქტივობის რღვევას თავის ტვინში და იწვევს ტვინის ნორმალური ფუნქციონირების დროებით მოშლას.

კრუნჩხვების სიმძიმე განსხვავდება; ზოგიერთმა ადამიანმა შესაძლოა განიცადოს უცნაური შეგრძნება გონების დაკარგვის გარეშე, ან შესაძლოა ჰქონდეს ერთგვარი ტრანსის მაგვარი მდგომარეობა რამოდენიმე წამის ან წუთის განმავლობაში. სხვები შესაძლოა კარგავდნენ გონებას და ჰქონდეთ კრუნჩხვები.

ცერებრული დამბლის მქონე ბევრი ბავშვი განიცდის ხოლმე კრუნჩხვებს.



### „სპინა ბიფიდას“ მქონე ბავშვების დახმარება

სპინა ბიფიდა - ხერხემლის გახლეჩილი არხი - არის მდგომარეობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიარულის გართულება, შარდის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები და, უფრო მძიმე ფორმებში, სხეულის პარალიზება ხერხემლის დაზიანებული ნაწილის ქვემოთ. ნერვული სისტემის დარღვევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღლა მდებარეობს ხერხემალზე პრობლემური ადგილი და რამდენად კარგად ფუნქციონირებს ზურგის ტვინი დაზიანებული ადგილის ქვემოთ.

შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ბავშვების აქტივობებში ჩართვამდე ყოველთვის გაიარეთ კონსულტაცია ოკუპაციურ თერაპევტთან და/ან ფიზიოთერაპევტთან. ყველა ბავშვი განსხვავდება და მათი საჭიროებებიც განსხვავებული იქნება. ძალიან ხშირად, სპინა ბიფიდას მქონე ბავშვებს საეთოდ არ აქვთ, ან მხოლოდ ნაწილობრივი შეგრძნება აქვთ ქვედა კიდურებში. დიდი ყურადღებაა საჭირო ბავშვის პოზიციების შერჩევას, ვინაიდან შესაძლოა საჭირო იყოს მდგომარეობის ხშირი ცვლა ნაწოლების თავიდან არიდების მიზნით. ასევე, ყურადღებაა საჭირო ბავშვის გადაადგილებისას ან პოზიციის შეცვლისას, რადგან მათ არ შეუძლიათ თქვენთვის იმის მინიშნება, რომ შესაძლოა ტკენდეთ. ქვედა კიდურებში მგრძობელობის არმქონე ან მცირე მგრძობელობის მქონე ბავშვებმა შესაძლოა ვერ შენიშონ ის, რომ ფეხსაცმელი ტკენტ ან რომ ფეხი რამეს მიაბრტყეს. ყოველთვის ვიზუალურად შეამოწმეთ, რომ ბავშვი ნესრიგშია.



### რამოდენიმე ზოგადი რჩევა:

- ყოველთვის დარწმუნდით, რომ ბავშვი კომფორტულ და კარგ პოზიციაში იმყოფება. ეს შესაძლოა იყოს სკამზე, ეტლში ან სპეციალურ სკამზე ჭლომა, სპეციალურ სადგომ მერხთან ან დახრილ პოზიციაში დგომა.
- ყოველთვის დარწმუნდით, რომ ბავშვი მაქსიმალურად ხედავს, ესმის და იღებს აქტივობაში მონაწილეობას. მათ თავი უნდა იგრძნონ იმის ნაწილად, რაც მათ გარშემო ხდება. ცოტა დაფიქრებით თითქმის ყოველთვის შევძლებთ აქტივობაში ყველა ბავშვის ჩართვას.
- მათი გადაადგილების ან პოზიციის შეცვლამდე ყოველთვის იქონიეთ ბავშვებთან კომუნიკაცია. მიუახლოვდით მათ წინიდან, რათა გხედავდნენ. თუკი ბავშვს მხედველობის პრობლემები აქვს, მაშინ ნაზად შეეხეთ მას და უთხარით თუ რის გაკეთებას აპირებთ.
- გახსოვდეთ, რომ ფიზიკური პრობლემების მქონე ბავშვები შესაძლოა უფრო მალე დაიღალნონ და დაკარგონ კონცენტრაცია.
- თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ სპეციალური ადჭურვილობა, რაც საშუალებას მოგცემთ ბავშვს დაეხმაროთ. ასევე დაგჭირდებათ საკომუნიკაციო ნახატები, რაც დაეხმარება ბავშვს იმის გაგებაში თუ რა ხდება.
- აქტივობებში ყველა ბავშვის ჩასართავად თქვენ შესაძლოა დაგჭირდეთ დამატებითი დახმარება ზრდასრული პირის/პირების მხრიდან. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ აქტივობები წინასწარვე კარგად დაგეგმეთ, ისე რომ ყველაფერი ადგილზე იყოს და შეგეძლოთ ბავშვებისათვის დამატებითი ყურადღების მიქცევა და მიხმარება.



რამოდენიმე იდეა, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ:

- იქონიეთ ადვილად მოსაჭიდი, მსუბუქი წონის სათამაშოები, რომლებიც ადვილად დასაჭერია ხელში.
- დაამაგრეთ იატაკზე ან ჩამოკიდეთ სათამაშო ისე, რომ ისინი არ გადავარდნენ ბავშვის ხელმისაწვდომობის ზონიდან.
- გამოიყენეთ ისეთი თამაშები, რომლის დროსაც ბავშვი შეძლებს ორივე ხელის გამოყენებას. მაგალითად, დოღზე დაკვრა, ტაშის დაკვრა, დიდი ზომის მძივების ძაფზე აცმა, ბურთის ან ბუშტის დაჭერა.
- მოძრაობების შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის გამოიყენეთ ფერადი და დასათვალისწინებლად საინტერესო სათამაშოები, რომლებიც ასევე საინტერესო ხმებს გამოსცემენ.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## სენსორული ინტეგრაციის პროგრამის საჭიროების მქონე ბავშვები

სენსორული ინტეგრაცია მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სენსორული ინფორმაციის დამუშავების დარღვევების/პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში; აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბევრ ბავშვს აქვს სენსორული ინტეგრაციის სირთულეები. სენსორული ინფორმაციის დამუშავება არის ტვინის უნარი სწორად გადაამუშაოს შეგრძნებებისგან მიღებული ინფორმაცია. ზოგიერთი ბავშვი სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამს ფერს, ფორმებს, გემოს, სუნს, ტექსტურასა და ხმებს, რამაც შესაძლოა გარკვეული პრობლემები წარმოშვას ქცევასა და სოციალიზაციასთან მიმართებაში. ისეთი ბავშვები, რომლებიც ზედმეტად რეაგირებენ შეხებაზე (ტაქტილური თავდაცვა) საჭიროებენ განსაკუთრებულ მიდგომას. მათ არ მოუნდებათ ზოგიერთი საგნის შეხება ან შეგრძნება. ჩვენ ვერ გავიგებთ თუ რას განიცდიან ისინი იმ მომენტში, თუმცა ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მათ საჭიროებას, რათა თავიდან ავარიდოთ მათთვის აგრესივად უსიამოვნო რამ. ამ სიტუაციაში არსებობს დახმარების ან პრობლემის გადაჭრის გზები, თუმცა ეს მეთოდები უნდა გასწავლოთ კვალიფიციურმა სპეციალისტმა. საჭირო იქნება თითოეული ბავშვის შეფასება, ვინაიდან მათი ინდივიდუალური საჭიროებები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ზოგიერთი ბავშვი ძალიან მოუქნელია; ისინი საჭიროებენ დახმარებას საკუთარი სხეულისა და სივრცეში მათი პოზიციების შესაცნობად. სენსორული სტიმულაციისაგან ზოგიერთი ბავშვი იღებს სენსორულ გადატვირთვას. ეს არის სპეციალისტების სფერო და საჭიროებს თერაპევტის ჩარევას, რომელიც გირჩევთ რამოდენიმე აქტივობას, რაც დაეხმარება ბავშვებს სენსორულ ინტეგრაციაში.

როდესაც მსგავსი სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობთ, ყოველთვის დაგჭირდებათ საჭირო რჩევების მიღება, რადგან ეს საკმოდ რთული სფეროა. არასოდეს დააძალოთ ბავშვს რაიმეს გაკეთება, როდესაც ის გენინააღმდეგებათ. ეს მხოლოდ გაზრდის მათ შებოჭილობას და სამომავლოდ გამოიწვევს ამა თუ იმ აქტივობაში მონაწილეობაზე უარს.

ყურადღებით დააკვირდით ბავშვებს და თუ შენიშნეთ, რომ მათ აქვთ აუტანლობა გარემოს, ხმაურის, სინათლის ან შეგრძნებების მიმართ, მიეცით მათ უფლება გავიდნენ აქტივობიდან.



## მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების დახმარება



მხედველობის დარღვევა არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი განიცდის სხვადასხვა ხარისხით მხედველობის უნარის დაკარგვას და რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია სათვალეებისა თუ ლინზების გამოყენებით.



### ზოგადი რჩევები:

- დარწმუნდით, რომ გარემო უსაფრთხოა მათთვის და დაეხმარეთ მათ გარემოს უცვლელ მდგომარეობაში შენარჩუნებით, რათა მათ იცოდნენ სად რა მდებარეობს.
- მახვილი კიდეები დაფარეთ რბილი მასალით.
- შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ტექსტურის მქონე ზდაპირები, რათა ბავშვმა შეძლოს დამოუკიდებლად გადაადგილება და გზის გაგნება - მაგ. დაყავით ნაწილებად ზუმფარის ქალაქი (ე.წ. შკურვა) და მიამაგრეთ კედლის გაყოლებამზე ხელის სიმაღლეზე, რათა ბავშვმა შეძლოს მისი შეგრძნება ხელით შეხებისას.
- დაეხმარეთ ბავშვს, თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნოს; გახადეთ სხვადასხვა აღჭურვილობა მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ან მოათავსეთ ის ადვილად მისაწვდომ ადგილას - მაგ. დამის ქოთანში.

- შეიმუშავეთ აქტივობები მათ გარშემო არსებული საგნებისა და საკუთარი თავის სივრცითი აღქმის გასაუმჯობესებლად. მიეცით მათ უფლება თავად, უსაფრთხოდ გააკეთონ აღმოჩენები.
- მხედველობის დარღვევების მქონე ზოგიერთ ბავშვს შეუძლია გამოიმუშაოს ექო-ლოკაციის არაჩვეულებრივი უნარი და შეუძლია საგნების ამოცნობა ხმის მეშვეობით, რომელიც უკან ექოს სახით ბრუნდება.
- ყურადღებით იყავით, როდესაც ბავშვი გაგყავთ სინათლიდან სიბნელეში, ან პირიქით.
- აღუწერეთ ბავშვს თუ რა ხდება მათ გარშემო, გამოიყენეთ ფერები და რეალური აღწერილობები.
- შეასრულებინეთ მათ ისეთი აქტივობები, რომლებშიც თავად ექნებათ გარკვეული კონტროლი - მაგ. ჩამრთველი, მუსიკის ჩასართავ-გამოსართავად.
- მათ არ შეეძლება თქვენი სახის დანახვა, თუმცა შეძლებენ ემოციების ცნობას თქვენს სახეზე შეხებით ან თქვენი ხმის გაგონებით.
- შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რამდენს ხედავს ბავშვი; ხშირად მათ შეუძლიათ სინათლისა და სიბნელის გარჩევა.
- ყოველთვის იქონიეთ კომუნიკაცია ბავშვთან გარკვევით, რათა მან იცოდეს თუ რა მოხდება დღის განმავლობაში.
- ასევე, ბავშვთან მიახლოების, მისთვის ინსტრუქციის მიცემისა თუ აქტივობის შეცვლის წინ ყოველთვის თქვით მისი სახელი და დაამყარეთ კომუნიკაცია. ერთდროულად ერთ ადამიანზე მეტი ნუ დაელაპარაკება ბავშვს, რათა არ გამოიწვიოს ბავშვის დაბნეულობა.
- ასევე, მნიშვნელოვანია იყოს თანმიმდევრულები და გამოიყენოთ მსგავსი პროცედურები, განსაკუთრებით მხედველობა/სმენა დაკარგულ ბავშვებთან მუშაობისას.
- კომუნიკაციისას გამოიყენეთ სხვადასხვა ნივთები მინიშნების მიზნით - მაგალითად, გამოიყენეთ ჭიქა იმის მისანიშნებლად, რომ სასმელის დაღვევის დროა - მიეცით ბავშვებს საშუალება შეეხონ ან ხელში დაიჭირონ ჭიქა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობის ან სმენის არმქონე ბავშვებისათვის.






### რამოდენიმე იდეა თამაშისათვის :

გამოგადგებათ სენსორული კალათა. მოაგროვეთ კალათაში ყოველდღიური გამოყენების უსაფრთხო ნივთები, რომლებსაც შემდეგ ბავშვები შეისწავლიან; ისინი შეძლებენ ნივთების ამოცნობას მათი ტექსტურისა და შეგრძნებების მიხედვით. მაგალითისთვის აიღეთ ლენტები, გირჩები, ნიჟარები, ქვები, ქსოვილები, კოვზები, პლასტმასის ფინჯნები ან ჭიქები, ზარები, პლასტმასის ბოთლები - თავსახურავების მოსარგებად, სხვადასხვა ტექსტურის, სურნელისა და ფორმის ნივთები.

- სხვადასხვა ხმის მიღების მიზნით შეგიძლიათ პლასტმასის ბოთლებში ჩაყაროთ ბრინჯი, გამომშრალი მკარონი, ქვიშა და კენჭები. ბავშვს შეუძლია შემდეგ ამოიციოს თუ რისი ხმაა. შეგიძლიათ ამ პროცესს შესძინოთ მრავალფეროვანი სახე სხვადასხვა სიტუაციებისათვის, რაც იქნება სწავლის პროცესისადმი სტიმულის მიმცემი.
- კარგია ვარცლები გამოყენება მათზე ბავშვების სათამაშოებისა და აღჭურვილობის შესანახად.

- გამომშრალი მაკარონი, ქვიშა, მინა, მომზადებული სპაგეტი, ნებოვანი მასა / ჟელატინი, საპარსი ქაფი თუ წყალი ძალიან კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებმა შეისწავლონ ისინი და მხიარულად ითამაშონ მათი გამოყენებით.
- აარჩიეთ ისეთი სათამაშოები, რომლებიც იქნება კარგი შეფერილობის და ექნება კონტრასტული ტონები, როგორცაა ყვითელი კიდები, რათა ნათლად ირჩეოდეს სხვადასხვა ფორმები.
- შეარჩიეთ ისეთი სათამაშოები, რომლებიც ბავშვის ყურადღებას იქცევენ და მასში ინტერესს იწვევენ. მაგალითად, მანათობელი სათამაშოები ღილაკებით, ან ხმის გამომცემი სათამაშოები (სათამაშო პიანინო).
- გაავლორეთ ბურთი ან ზარშებმული მანქანა - სთხოვეთ ბავშვს, მივიდეს და მოძებნოს ის. თუკი ბავშვი არ ცდილობს სათამაშოს მოძებნას, მაშინ სათამაშოს ბავშვამდე მოტანის ნაცვლად თქვენ სცადეთ ბავშვი მიიყვანოთ სათამაშომდე.
- ააცვიტო ძაფზე სხვადასხვა ფორმის მძივები; მძივების სხვადასხვა ფორმა შეარჩევინეთ ბავშვს.
- ბავშვების მიერ გამოსაკვლევად კარგია სხვადასხვა ფორმის საფოსტო ყუთები და სხვადასხვა ფორმისა და ზომის ასანყობი პირამიდები. სხვადასხვა ტექსტურის მქონე ისეთი სათამაშოები, რომლებიც საინტერესოა ხელში დასაჭერად და სატრიალოდ - როგორცაა საჩხაკუნო, ელასტიური გასანელი სათამაშოები, საჭყიპინოები, ნაჭრის წიგნები.
- ფერწერა სხვადასხვა ტექსტურის ქაღალდების გამოყენებით - გამოიყენეთ სქელი ფურცლები, რათა ბავშვმა ადვილად შეიგრძნოს სამუშაო არე. გამოიყენეთ საინტერესო ტექსტურის მქონე სხვადასხვა სახელოვნებო მასალები.
- თამაშები მსხვილი მოტორული მოძრაობების გამოყენებით - სარწველაზე თამაში, ჰამაკში ან საქანელაზე ქანაობა, ურიკების ან საბავშვო ეტლების მიწოლა, სამბორბლიანი ველოსიპედის ტარება.
- განალაგეთ სათამაშოები ბავშვებისათვის ადვილად მისაწვდომ ადგილას, რაც მაგალითად გულისხმობს დანოლილ მდგომარეობაში მყოფი ბავშვისათვის სათამაშოს მის თავს ზემოთ ჩამოკიდებას, ან მათ ჩალაგებას ვარცლსა თუ ყუთში, ისე, რომ ისინი სტაბილურ (ერთ) ადგილას ინახებოდეს.
- მიეცით ბავშვებს საკმაოდ დრო ახალ-ახალი ნივთების ახლოს შესასწავლად. შედარებით მეტი დროა საჭირო ხელის შეხებით იმის მისახვედრად, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის სათამაშო.
- ბავშვებთან მომუშავე ზრდასრულ პირს შეუძლია გამოიყენოს პერსონალის იდენტიფიკატორი - ეს შესაძლოა იყოს ერთგვარი სამაჭური ან ბეჭედი, ან თუნდაც რომელიმე კონკრეტული სიმღერა, რომელსაც იმღერებს ხოლმე.





- ხელით ხელზე დადებით და ხელის მოძრაობების გაკეთებაში მიხმარების გზით, დაეხმარეთ ბავშვებს გამოიკვლიონ ახალი ნივთები ან შეასრულონ ახალი დავალება, მაგ. ააშენებინეთ მათ კოშკები.
- თუკი ბავშვს არ მოსწონს ხელების გამოყენებით საგნების გამოკვლევა, მაშინ მიეცით მათ იმის საშუალება, რომ ტერფებით ან სხეულის სხვა ნაწილით გააკეთონ ეს.
- გამოიყენეთ ბავშვებისათვის ისეთი თამაშები და სათამაშოები, რომლებსაც ექნებათ სხვადასხვა ტაქტილური ზედაპირი, თანაბარი ან ამონეული ზედაპირი, ან მათზე დატანილი იქნება ასოები და რიცხვები. მათი დამზადება შეგიძლიათ სქელი ფურცლების, ზუმფარის ქაღალდის, გოფრირებული ქაღალდისა და წებოს გამოყენებით.





## ჩამონერეთ დამატებითი იდეები

---



## სმენადაქვეითებული ბავშვების დახმარება

ბავშვებს, რომლებსაც სმენის პრობლემა აქვთ, შეუძლიათ კომუნიკაციის სხვა ხერხებს დაეფლონ. ჟესტური ენის შესწავლა ადრეული ასაკიდანვეა შესაძლებელი. გაერთიანებულ სამეფოში გამოიყენება „მაკატონის“ (Makaton) ჟესტები და სურათები. სურათების (BoardMaker) გამოყენება შეგიძლიათ მნიშვნელობების გადმოსაცემად და ინსტრუქციების მისაცემად. ყველასათვის კარგია დასურათებული ცხრილების გამოყენება, რათა ბავშვებმა დაიმახსოვრონ სახლში შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობა. შეგიძლიათ ასეთი ცხრილები ცვალოთ ყოველდღიურად და თუკი მათ ფხრინის სამაგრიტ ან ჭიკარტიტ მიამაგრებთ დაფაზე, შეძლებთ მათ ადვილად ცვლას. სმენადაკარგულ ბავშვებს დასჭირდებათ სპეციალისტის ყურადღება და მათ დასახმარებლად შესაძლოა მიეცეთ სმენის აპარატები. საჭირო იქნება ელემენტების შემონახვა და სათადარიგო ელემენტის ქონა, რათა ბავშვს არ მოუწიოს აქტივობის გამოტოვება. ასეთ ბავშვებს ასევე დასჭირდებათ დამატებითი ინსტრუქტაჟი, რაც მათ დაეხმარებათ სოციალურად შესაფერისი ფორმით უპასუხოთ სხვებს. აქტივობების მიმდინარეობისას მხედველობაში იქონიეთ მათი განსაკუთრებული საჭიროებები, რათა დარწმუნდეთ, რომ კარგად გაიგეს თუ რა უნდა გააკეთონ. თუკი არ იყენებთ ჟესტურ ენას, მაშინ გამოიყენეთ ჟესტიკულაცია და ეცადეთ იყოთ თანმიმდევრულები.



### ზოგადი ინსტრუქციები:

- დადებით ბავშვის წინ ისე, რომ მათ შეძლონ ტუჩების მოძრაობით წაკითხვა და თქვენი სახის გამომეტყველებისა და სხეულის მოძრაობის შეფასება. დარწმუნდით, რომ ბავშვები საუკეთესო პოზიციაში სხედან და კარგად გხედავენ ჯგუფისათვის ინსტრუქციების მიცემის მომენტში; შეამოწმეთ, რომ მათ გაიგეს თუ რა უნდა გააკეთონ.
- ბავშვებს მუსიკის შეგრძნება შეუძლიათ ვიბრაციით- ფეხის ტერფებით ან სხეულით; არ გამოატოვებინოთ მათ ეს აქტივობა.



- არ იმოძრაოთ გარშემო ან არ გასწიოთ თავი ბავშვთან საუბრისას, რათა მან ადვილად შეძლოს თქვენი ტუჩების მოძრაობის წაკითხვა.
- ეცადეთ, რომ ერთდროულად ერთ ბავშვზე მეტმა არ ისაუბროს, რათა ბავშვმა შეძლოს დიალოგის მიყოლა და თავი იგრძნოს მონაწილედ.

- მოერიდეთ სმენადაქვეითებული ბავშვის დასმას ოთახის ხმაურიან ნაწილში, მაგალითად, ხმაურიან მოწყობილობასთან ან რადიატორთან.
- ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტის მქონე ბავშვისათვის დაგეგმეთ ხანმოკლე აქტივობები უამრავი შესვენებით, რადგან ტუჩის მოძრაობის წაკითხვა მათთვის შესაძლოა ძალიან დამღლელი პროცესი აღმოჩნდეს.



### რამოდენიმე იდეა თამაშისათვის:

- მხედველობითი კონტაქტის წამახალისებელი თამაშები და სხვადასხვა აქტივობები კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვს უბიძგოს იმისკენ, რომ დააკვირდეს სახის გამომეტყველებას, წაიკითხოს ტუჩების მოძრაობით და უყუროს უფროსის პირს ჟესტების ან ნიშნების გამოყენებისას.
- პირისპირ თამაშები - როგორცაა ხელიხელ ჩაჭიდებული რწევა და სიმღერა, ბურთის გაგორება, კოშკის რიგრიგობით აგება, ან სათამაშოების ყუთში ჩაწყობა.
- სმენის გასავარჯიშებლად სასურველია, ბავშვს ჰქონდეს ისეთი სათამაშო, რომელიც სხვადასხვა ხმას გამოსცემს.
- შესაფერისი ჟღერადობის წყლის ბოთლების გამოყენება მიაჩვევს ბავშვებს ხმების გარჩევას.
- მნიშვნელოვანი როლი აქვს თქვენს რეაგირებას ბავშვის მიერ კომუნიკაციის დამყარების მცდელობებზე, რათა ისინი მიხვდნენ კომუნიკაციის მნიშვნელობას და ეფექტურობას. თუკი ბავშვი რომელიმე საგნით დაინტერესდება და მასზე მიგითითებთ, თქვენც შეგიძლიათ იმ საგანზე მიუთითოთ და აგრძნობინოთ მას, რომ გესმით მისი.



### ჩამოწერეთ დამატებითი იდეები



## ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევის მქონე პირთა მხარდაჭერა

ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებს შეუძლიათ ხშირად და იოლად მიიღონ მონაწილეობა სახეცვლილ აქტივობებში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უფროსი ასაკის ბავშვებს უფრო მეტად მოსწონთ ისეთ აქტივობებში ჩართვა, რომლებიც, როგორც წესი, უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაა გათვლილი. მასალები უნდა შეირჩეს ასაკის გათვალისწინებით; მაგალითად, შეიძლება უფროსი ასაკის ბავშვს არ მოუნდეს ჩვილ ბავშვზე გათვლილი წიგნის დათვალიერება. ამ დროს გამოგადგებათ აღნიშნულ სახელმძღვანელოს პირველ და მეორე განყოფილებაში აღწერილი აქტივობები. როგორც უკვე ვახსენეთ, ბავშვები იმ შემთხვევაში მიაღწევენ წარმატებას, თუკი აქტივობა შეესაბამება მათ დონეს. საგულდაგულო დაკვირვება დაეხმარება ყველას სწორი აქტივობის შერჩევაში. შესაძლოა დაგჭირდეთ ინსტრუქციების განმეორება.



### აქტივობების დაყოფა

დაანაწილეთ ესა თუ ის აქტივობა მცირე და მარტივ საფეხურებად და არ გქონდეთ ბავშვისაგან ძალიან დიდი ან ძალიან მცირე შედეგის მიღების მოლოდინი. აქტივობის ნაწილი შეუძლია შეასრულოს ზრდასრულ პირს, ხოლო მის დარჩენილ ნაწილს მთლიანად ან ნაწილობრივ დაასრულებს ბავშვი. მაგალითად, აანყვეთ მოზაიკა და გამოტოვეთ მოზაიკის ერთი ან ორი ნაწილი, რათა ისინი ბავშვმა ჩასვას და ამით განიცადოს წარმატების შეგრძნება. დახატეთ ადამიანის სახე და მიეცით ბავშვს უფლება გამოჭრას თვალები, ყურები და პირი და დაანებოს ისინი ამ სახეზე.

უბიძგეთ ბავშვებს თავად დაიბანონ ხელ-პირი, გაიხეხონ კბილები, ან შეასრულონ თავის მოვლის სხვა ნებისმიერი მოქმედება. ამის გაკეთებისას მათ შეასძლოა დაჭირდეთ ნაწილობრივი დახმარება, როგორიცაა ონკანის მოშვება ან ჯაგრისზე კბილის პასტის წასმა. დაე ბავშვმა მაქსიმალურად დამოუკიდებლად შეასრულოს აქტივობა, თუმცა არ მისცეთ მათ იმედგაცრუების საშუალება. ამ დროს ბავშვი განიცდის წარმატებულობის რეალურ შეგრძნებას, რისი განმტკიცებაც შესაძლებელია მოტივაციის მატებასთან ერთად.



### პორტიჯის პროგრამები

პორტიჯის პროგრამები ბევრ ქვეყანაშია და მიმართულია დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობაზე. სერვისი მოიცავს შინ მომსახურებას სხვადასხვა უნარებზე მუშაობის მიზნით. მუშაობა მიმდინარეობს მცირე ნაბიჯებად, ეტაპობრივად. პროგრესის მიღწევის შემთხვევაში, გადასვლა ხდება ახალი უნარების გამომუშავებაზე, რასაც საბოლოოდ მიყვავართ კარგ შედეგებამდე. პორტიჯთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში.



## ჩამონერეთ დამატებითი იდეები



## აუთისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მხარდაჭერა

ძირითადად, სხვადასხვა ხარისხით აუტიზმი ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარების სამ მიმართულებაზე. ესენია: **კომუნიკაცია, სოციალური ურთიერთობები და წარმოსახვა.** ისინი შესაძლოა ავლენდნენ განმეორებად ქცევას და ჰიპერსენსიტიურობას. ძალიან ბევრ ბავშვს აქვს სენსორული აშლილობები, რაც თითოეულ ბავშვში სხვადასხვანაირი სახით ვლინდება. ზოგიერთი ბავშვისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ვიზუალური კონტაქტის დამყარება. ამის გაკეთება შესაძლოა ძალიან მტკივნეული იყოს ბავშვისათვის, შესაბამისად, ჩვენ არასდროს არ უნდა დავაძალოთ ბავშვს დაამყაროს ამგვარი კონტაქტი. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია მისი ნახალისება. ამ მიზნით ძალიან სასარგებლოა ადრეული ურთიერთქმედების აქტივობები, რაც სახელმძღვანელოს პირველ თავშია განხილული. ვიზუალური კონტაქტის ნაკლებობა და სხვა ადამიანების ვერ აღქმა ნიშნავს იმას, რომ ბავშვი სხვებივით ვერ ახერხებს დააფიქსიროს და გაიგოს სოციალური სიგნალები და სახის გამომეტყველებები. ამის გამო, 0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გათვლილი აქტივობები შეგიძლიათ გამოიყენოთ შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებთანაც, თუკი მათი მდგომარეობა არც თუ ისე კარგია და არ მომხდარა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადრეული ჩარევა. ყოველთვის იმუშავებთ ბავშვის ძლიერ და არა მის სუსტ მხარეებთან.

კომუნიკაციის ასევე ძალიან კარგი საშუალებაა სურათების გამოყენება. BoardMaker-ი ეს არის პიქტოგრამების სისტემა, რომელსაც იყენებენ აუტიზმის ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მიზეზით გამოწვეული კომუნიკაციური დარღვევების მქონე ბავშვებთან. კომუნიკაციის აგება შესაძლებელია ბავშვებისათვის გრაფიკული ბარათების ჩვენებით, რომლებიც გარკვეულ აზრს ატარებენ. კარგი იქნება თუ დაინწყებთ ბავშვებისათვის მოტივაციის მიმცემი შემდეგი ტიპის ბარათების გამოყენებით: „დალევა“, „ჭამა“, „თამაში“. როგორც კი ბავშვი ამ ბარათების აზრის აღქმას დაინწყებს, თანდათანობით დაამატებთ სხვა ბარათებს. გრაფიკული ნახატების აზრის გაგებით ბავშვები შეძლებენ თავიანთი გრძნობების იდენტიფიცირებას. მოძრავი სურათებით დამზადებული ცხრილი/განრიგი ბავშვებს შემატებს დამატებლობას იმისას, თუ რა მოხდება შემდეგ. ასეთი ცხრილი შეგიძლიათ ცვალოთ დღითიდღე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ მიზეზით, რომ ასეთ ბავშვებს უჭირთ დროის შეგრძნება. ბავშვებმა ასევე შეიძლება განიცადონ სენსორული გადატვირთვა, ვინაიდან მათ უჭირთ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაფილტვრა და მხოლოდ მასზე ფოკუსირება.

გაითვალისწინეთ, რომ ეს არის სპეციფიკური სფერო და აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და არ არსებობს ორი იდენტური ბავშვი. თითოეული ბავშვისათვის საჭიროა განვითარების ინდივიდუალური პროგრამა. ინტერნეტში უამრავი რესურსია დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად.



### რამოდენიმე ზოგადი ინსტრუქცია :

- არასოდეს დააძალოთ ბავშვს ვიზუალური კონტაქტის დამყარება
- მოთავსდით ისე, რომ სახით ბავშვის სახის დონეზე იმყოფებოდეთ, რათა საუბრის მომენტში ბავშვი ხედავდეს თქვენს სახეს. ზოგჯერ ამის გაკეთება შეგიძლიათ სარკის ან გამჭვირვალე მასალის გამოყენებითაც.
- კომუნიკაციისათვის გამოიყენეთ მცირე რაოდენობის მარტივი ტიპის სიტყვები; ბავშვებს ხშირად უჭირთ ენის გაშიფვრა და ბევრმა სიტყვამ შეიძლება ისინი დააბნიოს. საკმარისი იქნება ერთ ჯერზე ერთმა ადამიანმა მისცეს ინსტრუქციები ან დირექტივები.
- კარგია სტრუქტურული აქტივობები, ხოლო ღია ტიპის აქტივობებმა შეიძლება ბავშვებში დაბნეულობა გამოიწვიოს. უთხარით მათ, თუ რამდენ ხანს უნდა ითამაშონ და დასრულებამდე რამოდენიმე წუთით ადრე გააფრთხილეთ ისინი, რათა მოემზადონ თამაშის/აქტივობის დასრულებისათვის. მოულოდნელმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს რთული ქცევითი პრობლემა.
- მკაფიოდ და გარკვევით აუხსენით ბავშვებს მიმდინარე დღის თამაშის/აქტივობა ან პროგრამა ილუსტრაციების ან ნახატი განრიგის გამოყენებით (ამისათვის კარგია პროგრამა Boardmaker-ი)
- დააკვირდით, თუ რა ინვესს რთულ ქცევით პრობლემებს და ეცადეთ აირიდოთ ისინი სამომავლოდ. ქცევა შესაძლოა საპასუხო რეაქცია იყოს სენსორულ გადატვირთვაზე.
- არ ჩათვალოთ, რომ იცით თუ რას გრძნობენ სხვები; ისინი შესაძლოა თქვენგან განსხვავებულად ამუშავებდნენ ამა თუ იმ შეგრძნებას.
- ზოგიერთ ბავშვს შესაძლოა რეაქცია ჰქონდეს შეხებაზე (ტაქტილური თავდაცვა) ან ვერ იტანდეს ხმაურიან და ხალხმრავალ ადგილებს. ყურადღებით დააკვირდით თუკი ასეთ შემთხვევებს აქვთ ადგილი, პატივი ეცით მათ რეაქციებს და მიეცით უფლება გავიდნენ თამაშიდან.



### იდევნე რამოდენიმე თამაშისათვის:

- აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბევრ ბავშვს ურჩევნია ისეთი სათამაშოები, როგორებიცაა „ლეგო“, ბუშტები, ზამბარიანი ამომხტომი სათამაშო, როგორიცაა „ჯეკი ყუთში“, მატარებლები, სურათებიანი ლოტო, ჩირაღდნები, ფორმებისა და ფერების დასაწყვილებელი თამაშები, ასაწყობი მოზაიკები, DVD დისკები და გასაშლელი წიგნები.
- თამაშებში/აქტივობებში მონაწილეობის გარდა, ბავშვებს შეიძლება ასევე მოსწონდეთ თამაშები საქანელაზე, ბატუტზე, სასრილოზე, ქვიშაში, გასაბერ აუზებსა და კალათბურთის კალათით.
- ზოგმა ბავშვმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ნივთი ან სათამაშო, რომლებსაც იყენებს მისთვის ნაცნობია და ამიტომ უფრო დაიმედებულად ითამაშოს. ასეთი ნივთებია: ელასტიური გასაწელი სათამაშოები, „ბლუ ტაკი“ (პლასტელინის მსგავსი წელვადი

ნივთიერება), თოკის ან ქსოვილის ნაჭერი. მისთვის ნაცნობი ნივთის დაკარგვა შესაძლოა უაღრესად გულდასაწყვეტი აღმოჩნდეს ბავშვისათვის და სწორედ ამიტომ, კარგი იქნება თუ იქონიებთ ანალოგიურ სათადარიგო ნივთსა თუ სათამაშოს, რათა ერთ-ერთის დაკარგვის შემთხვევაში ჩაანაცვლოთ იგი.



## ჩამოწერეთ დამატებითი იდეები

---

## VIII

## დანართი

## რესურსები

შეაგროვეთ გაზეთები, მუყაო, პლასტმასის ბოთლები, ბოთლების თავსახურავეები, ჟურნალები, ძველი ტანსაცმელი, მონარჩენი მასალები, შალი, სამკვრვალო ძაფები, ღილები, ნემსები, ყველანაირი ფორმისა და ზომის მუყაოს ყუთი.




## ამომხობი თოჯინა-მარიონეტის გაკეთება

## დაგვირდებათ

თუნუქის ქილა ან პლასტმასის გიქა, ჯოხი, სხვადასხვა მასალები, ნებო, მაკრატელი, რეზინის საბნევი, ფურცლები და პასტელები.

გარეცხეთ თუნუქის ქილა და ყველა ბასრი კიდე დაუფარეთ ნებოვანი ლენტით. გაუხვრიტეთ მას ძირი და გაუყარეთ მასში ჯოხი. შემოაკარით რეზინის სალტე ჯოხზე, როგორც ქილის შიგნით, ასევე ქილის გარეთ, რათა ჯოხი არ გამოძვრეს. დაამაგრეთ ქილაზე ქსოვილის ნაჭრისაგან გაკეთებული მკლავი, ისე, რომ დაიფაროს ქილის ძირი და გვერდები და აუცილებლად დაუმატეთ ქსოვილის ნაჭერი ქილის თავზე, რომლითაც გააკეთებთ თოჯინის ფიგურას. გამოჭერით სახე და მიაწებეთ ჯოხზე.



მიაკარით ქსოვილი ჯოხის თავზე, ისე რომ მიიღოთ თოჯინას კისერი. ხელები შეგიძლიათ მარტივად დაამზადოთ მუყაოსაგან და მიანებოთ ნაჭერზე. თქვენი თოჯინა უკვე მზადაა ნებისმიერი ბავშვის განსაცვიფრებლად. ჯოხის ზემოთ-ქვემოთ მოძრაობით თოჯინა ხან ამოვა, ხან კიდევ გაუჩინარდება ისევ ქილაში. ეს აქტივობა შეიცავს სიურპრიზის ელემენტს და დაგეხმარებათ ბავშვის ყურადღების მიქცევაში.

**ყურადღება!** ეს არ არის მცირეწლოვან ბავშვთან ან ჩვილთან დასატოვებელი უსაფრთხო სათამაშო. მხოლოდ ზრდასრულმა პირმა უნდა დაიჭიროს და აკონტროლოს ის. უფროსი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი მარიონეტები დაამზადონ და თოჯინების შოუ დადგან და ა.შ..



## სხვადასხვა ნივთების დამზადება წყლისა და რძის ბოთლებით

### დაგჭირდებათ

რამოდენიმე ცალი რძისა და წყლის ცარიელი ბოთლი, მაკრატელი, წებოვანი ლენტი, ბუმბულები, ბრინჯი და კარგად გამომშრალი მაკარონი. ადვილად დასამზადებელია საჩხრიალოები და შეიკვრები, წყლისა და ქვიშის ჩამჩები, ძაბრები და კონტეინერები.

### მეთოდი:

გარეცხეთ და გაასუფთავეთ ბოთლები

ჩამჩები: რძის ბოთლების გადაჭრით შეგიძლიათ დაამზადოთ წყლის ან ქვიშის ჩამჩები.

შეიკვრები და საჩხრიალოები: გამოაშრეთ წყლის ბოთლი და ჩაყარეთ მასში ბრტყვიანები, ბუმბულები, ფერადი ქაღალდის ზოლები, ბრინჯი და გამომშრალი მაკარონი. იმისათვის, რომ შეიკვრი უსაფრთხო გამოვიდეს, ბოთლის თავსახური წებოთი დაანებეთ.

ძაბრები და კონტეინერები: წყლის ადვილად ჩასასხმელად და ქვიშის ადვილად ჩასაყრელად შეგიძლიათ დაამზადოთ ძაბრი ბოთლის შუაზე გადაჭრისა და ამობრუნებული ზედა ნაწილის ქვედა ნაწილში ჩამაგრების გზით. დიდი ზომის ბოთლებს ბავშვები გამოიყენებენ კონტეინერებად.



## პაპიე-მაშეს რეცეპტი

აზილეთ ფქვილი ცოტაოდენ ცივ წყალში სანამ არ მიიღებთ წებოვან მასას. თანდათანობით დაუმატეთ ცხელი/მდუღარე წყალი და პარალელურად ურიეთ შეუჩერებლად. ის უნდა მომზადდეს ზრდასრული პირის მიერ. შემდეგ, მიღებული წებოვანი მასა უნდა გაცივდეს, რათა მისი უსაფრთხოდ გამოყენება შეძლოთ. დახიეთ გაზეთი წვრილ ნაწილებად ან დაჭერით ზოლებად. პაპიე-მაშეს მომზადების რამოდენიმე გზა არსებობს. ზოგიერთები ქალაქებს ალბობენ წებოვან მასაში და შემდეგ წურავენ, რათა გასრისონ; ზოგიერთნი კი უბრალოდ უსვამენ წებოვან მასას ქალაქებში, რათა გახადონ ის წებოვანი. ძალიან ბევრი გზა არსებობს პაპიე-მაშეს გამოსაყენებლად. მისი გამოყენებით შეგიძლიათ დაამზადოთ სხვადასხვა ნიმუშები, ცხოველები, გარედან წაუსვით ბუშტებზე, გააფორმოთ ყუთები, სამკაულები და მძივები, სურათის ჩარჩოები. ის, თუ რას მიაღწევთ, დამოკიდებული იქნება აღნიშნულ პროცესში მონაწილეთა გამჭრიახობაზე. ასევე უამრავი იდეა შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტით.



## საძერწი ცომის რეცეპტი

### ინგრედიენტები

- 1 ჭიქა მარილი
- 2 ჭიქა ნებისმიერი ფქვილი
- 1 ჭიქა ნელ-თბილი წყალი

### მომზადების წესი

1. დიდი ზომის თასში აზილეთ მარილი და ფქვილი.
2. თანდათანობით აურიეთ წყალი. კარგად ურიეთ მანამ, სანამ არ მიიღებს ცომის კონსისტენციას.
3. ხელით მოაგუნდავეთ ბურთის ფორმის ცომი და ზილეთ ის სულ მცირე 5 წუთის განმავლობაში. რაც უფრო დიდხანს ზელთ ცომს, მით უფრო გლუვი გამოვა ის.

**შეინახეთ** მომზადებული საძერწი ცომი ჰერმეტიკულად დაცულ ჭურჭელში და მის გამოყენებას რამოდენიმე დღის განმავლობაში შეძლებთ.

ძალიან ბევრი ფიგურის გამოძერწვა შეგიძლიათ თუკი ცომი კარგი კონსისტენციისაა. თქვენ ასევე დაგჭირდებათ დამატებით ცოტაოდენი ფქვილი, რათა ძერწვისას ცომი არ მიგვკრათ; ზოგიერთი ბავშვისათვის მარტივად მოსახმარია და ასევე ძალიან კარგია საკონდიტრო ნაწარმის საჭრელები სხვადასხვა მარტივი ფორმების გამოსაჭრელად. როდესაც თქვენი ფიგურები გაშრება, შეგიძლიათ ისინი შეღებოთ აკრილის საღებავებით და დაფაროთ ის ლაქით ან პოლიურეთანით.

საძერწი ცომისაგან დამზადებული ფიგურები შეგიძლიათ ჰაერზე გააშროთ, თუმცა მათი გამოშრობა ღუმელშიც შეგიძლიათ. **გამოაშრეთ** ფიგურები ფარენჰეიტით 200<sup>0</sup> ან 100<sup>0</sup> ცელსიუს ტემპერატურაზე, სანამ კარგად არ გამოშრებიან. გამოშრობის დრო დამოკიდებულია ამა თუ იმ ფიგურის ზომასა და სისქეზე; ნვრილ, ბრტყელ ნაკეთობებს მხოლოდ და მხოლოდ 45-60 წუთი დრო ჭირდება, ხოლო უფრო მსხვილ ფიგურებს კი 2-3 საათი ან მეტი. შეგიძლიათ ღუმელის ტემპერატურა აწიოთ ფარენჰეიტით 350<sup>0</sup> ან 180<sup>0</sup> ცელსიუსამდე; ცომი უფრო სწრაფად გამოშრება, თუმცა ამავდროულად ის შეიძლება შეიბრანოს, რასაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თუკი თქვენ მის შედეგს აპირებთ (თქვენ ასევე შეგიძლიათ ღუმელშივე დაფაროთ ცომი საღებავით, სანამ ის შეიბრანებოდეს).




ცომის ნაკეთობის გაფერადების რამოდენიმე გზა არსებობს: **1.** ჩაუმატეთ დაფხვნილი ტემპერას საღებავი ფქვილში, **2.** ჩაუმატეთ საკვების საღებავი წყალში მანამ, სანამ მას მარილს ან ფქვილს დაუმატებდეთ, **3.** დაუმატეთ მას ბუნებრივი საღებავები, როგორცაა ხსნადი ყავა, კაკაო ან კერის ფხვნილი.



## ესკიზი მუყაოს სახლისათვის

### გაკეთების წესი

- a) მოცემული ესკიზის მიხედვით დახატეთ სახლის ფორმები დიდი ზომის გოფირებულ მუყაოზე.
- b) ხელოსნის ბასრი დანისა და სახაზავის გამოყენებით გამოჭერით ეს ფორმები.
- c) ძალიან მნიშვნელოვანია ვინრო ზოლების ყურადღებით გამოჭრა, ვინაიდან სწორედ ამ ადგილებშია კედლების შეერთების ადგილი, რაც კონსტრუქციას სიმყარეს აძლევს. ანალოგიურად გამოჭერით ზოლები სახურავისთვის. ეცადეთ, რომ მუყაო ძალიან ბევრ ადგილას არ გამოჭრათ, თორემ სახლი რწევას დაიწყებს.
- d) შესაძლოა გარკვეული კორექტირებების შეტანა დაგჭირდეთ იმისათვის, რომ სახლის ყველა ნაწილი ერთმანეთს კარგად მოერგოს.
- e) ბავშვებს შეუძლიათ მორთონ ან შეღებონ სახლი.
- f) ავეჯი, მათ შორის საწოლები, სკამები და მაგიდები შეგიძლიათ დაამზადოთ მუყაოს მონარჩენებისაგან.
- g) პერსონაჟების დამზადება შეგიძლიათ მილის სანმენდი ჭაგრისების, შაქარყინულის ჭოხებისა და ქსოვილის ნაჭრებისაგან.
- h) ოთახები გააფორმეთ და შეღებეთ სათანადო ფერში.
- i) თქვენ შეგიძლიათ თქვენი საკუთარი სახლი გააკეთოთ მეტი ოთახით. ეს უბრალოდ მარტივი იდეაა, რაც გიბიძგებთ დაწყებისათვის.



## ბავშვის განვითარება

### მიჯატვულობის როლი და მნიშვნელობა

იმის გაგება, თუ რა არის მიჯატვულობა წარმოადგენს აუცილებელ წინადადგმულ ნაბიჯს იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა არის ბავშვის განვითარების ნორმალური ეტაპები. მიჯატვულობა ეს არის ღრმა ემოციური კავშირი, რომელიც ყალიბდება ბავშვსა და მის ძირითად მზრუნველს (დედა, მამა, ან ბებია-ბაბუა) შორის.

მიჯატვულობა არის ინსტინქტური; ჩვენ ყველანი ვიბადებით იმ ინსტინქტით, რომ მიჯატვულები გავხდეთ ჩვენს დამცველ საყვარელ ადამიანზე, რომელიც ჩვენზე იზრუნებს, დაგვარიგებს და გვერდში დაგვიდგება. ეს მნიშვნელოვანი პროცესია, ვინაიდან ბავშვების ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური განვითარება დამოკიდებულია მიჯატვულობაზე, რომელიც ყალიბდება მათსა და მათ მშობლებს ან მომვლელებს შორის. ბავშვებში ყალიბდება მძლავრი და ჯანსაღი მიჯატვულობა მაშინ, როცა მათი საჭიროებები რეგულარულად და თანმიმდევრულად კმაყოფილდება.

ჩვილი თუ მცირეწლოვანი ბავშვი დღის განმავლობაში განიცდის უამრავ საჭიროებას, როგორცაა საჭმელი, ძილი, საფენის გამოცვლა ან ჩახუტება. ამ საჭიროებებს ბავშვი სხვადასხვა გზით გამოხატავს, უმეტეს შემთხვევებში კი ამას გამოხატავს ტირილით. ხოლო როდესაც ის თავს შეწუხებულად გრძნობს და მზრუნველი აქცევს მას ყურადღებას და აკმაყოფილებს ბავშვის ამ თუ იმ საჭიროებას, ბავშვი თავს უკვე უსაფრთხოდ და დამშვიდებულად გრძნობს და შეუძლია თამაშის გაგრძელება და საკუთარი სამყაროს კვლევა. ეს პროცესი მეორდება ათასობით ჯერზე ბავშვის ადრეული თვეების განმავლობაში და მზრუნველის მიერ რეგულარული ყურადღების მიქცევით და ზრუნვით ბავშვში ყალიბდება უსაფრთხოების გრძნობა. ბავშვი ხვდება, რომ მზრუნველი საიმედოა, რაც მისთვის ქმნის უსაფრთხო საფუძველს იმისათვის, რომ ბავშვმა შეისწავლოს სამყარო და ამ გამოცდილებიდან გამომდინარე ისწავლოს და განვითარდეს.

ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღმზრელობით დაწესებულებებში აღზრდილი ბავშვები იმყოფებიან განვითარების შეფერხების და დარღვევების, მათ შორის გონებრივი დარღვევების, დიდი რისკის ქვეშ. დიდწილად ეს იმის ბრალიცაა, რომ მათში ვერ მოხდა ჯანსაღი მიჯატვულობის ჩამოყალიბება. დაწესებულებებში თითქმის შეუძლებელია ბავშვების საჭიროებების რეგულარულად და თანმიმდევრულად დაკმაყოფილება. ზოგჯერ აუცილებელია რეგულირებული რუტინული სამუშაოს შესრულება როცა ბავშვებს ერთდროულად უცვლით, ერთდროულად აჭმევთ ან ერთდროულად აძინებთ, ნაცვლად იმისა, რომ ამ მოქმედებებს ასრულებდეთ მაშინ, როდესაც ბავშვს ისინი დაჭირდება. პერსონალის და ბავშვების თანაფარდობა არ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ რეაგირება იქონიოთ ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მაშინ, როცა ეს საჭიროებები დგება. ბევრი ბავშვი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიცდის დისკომფორტს. ეს მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათი ფოკუსირების უნარზე, ვინაიდან მათი ყურადღება გადატანილია მათ დისკომფორტულ მდგომარეობაზე - ბავშვს შეიძლება შიოდეს, ჩასველებული იყოს ან რაიმე სტკიოდეს - რაც ზღუდავს მათი გარემოს კვლევის, თამაშისა და განვითარების პოტენციალს. გარდა ამისა, ბავშვებს სჭირდებათ სტიმულირება და უფროსებთან ურთიერთობა რათა განვითარდნენ, რასაც ისინი ხშირ შემთხვევებში ვერ იღებენ.

ჯგუფურად და ინდივიდუალურად თამაშს შეუძლია ბავშვებს მისცეს გამოცდილება და ზოგიერთი ამ შესაძლებლობათაგანი. კარგი შედეგების მისაღებად არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ახლოს დაკვირვებასა და მათი ქცევის გაგებას.

## ბავშვზე დაკვირვება

ყურადღებით დაკვირვებამ შეიძლება ნათელი მოჰქინოს ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის გამომწვევ მიზეზს. კარგი იქნება თუ დაკვირვებას გააგრძელებთ განსაზღვრული დროით, მაგალითად 10 წუთის განმავლობაში სხვადასხვა სიტუაციებში. დაკვირვება უნდა განხორციელდეს ობიექტურად, ყოველგვარი განსჯის ან ბავშვისადმი კომენტარის გაკეთების გარეშე.



## ბავშვის განვითარება: 0-დან 6 წლამდე ასაკის ჩვილები და ბავშვები

*გთხოვთ გაითვალისწინოთ: ეს არის მხოლოდ გზამკვლევი და მასში არ არის შეტანილი ის ყველაფერი, რის გაკეთებასაც ბავშვები ისწავლიან; ბავშვების განვითარება ძალზე ცვალებადია.*



## დაბადება

როგორც ამბობენ, ახალშობილს პირველივე დღეებიდან შეუძლია დედის ხმის ცნობა; ეს შეიძლება დაიწყოს ბავშვის ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში. ვინაიდან ყველა შეგრძნება ჯერ კიდევ ხელუხლებელია, ბავშვები სწრაფადვე ცნობენ დედის ან მომვლელის სურნელს. ისინი იწყებენ დედის ან მომვლელის სახეზე ფოკუსირებას და აბრუნებენ თავს სინათლისაკენ. მათ შეუძლიათ დაამყარონ თვალით კონტაქტი და იწყებენ ტირილს, რათა მიიქციონ სხვების ყურადღება როცა რაღაც ჭირდებათ. ისინი კრთებიან უეცარ ხმაურზე; არჩევენ გემოს, შეხებას, ტემპერატურას და გრძნობენ ტკივილს. ახალშობილები ავლენენ გამორჩეულ ინტერესს ადამიანების სახეების მიმართ. ეს მნიშვნელოვანი პერიოდია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თქვენსა და ბავშვს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას.

როგორც წესი, მათ ხელი უჭირავთ მუშტად შეკრული, ცერზე შემოხვეული თითებით.

ჩვილი ბავშვები სრულად დამოკიდებულნი არიან თავიანთ დედაზე ან მომვლელზე. დაგჭირდებათ მათი კვება ყოველ რამოდენიმე საათში, ღამის განმავლობაშიც, დაახლოებით 8-ჯერ. როგორც წესი, 24 საათის განმავლობაში 20 საათს ძილში ატარებენ.

ჩვილ ბავშვებს აქვთ მთელი რიგი პრიმიტიული რეფლექსები. მათ დიდი ნიშვნელობა ენიჭებათ, ვინაიდან მათი არ ქონა მიანიშნებს ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემებზე.



### 1-დან 3 თვემდე ასაკის ბავშვები

ამ ეტაპზე ჩვილ ბავშვს შესაძლოა დღეში რამოდენიმეჯერ, დაახლოებით 6-ჯერ, კვება დაჭირდეს და იძინოს ცოტა ნაკლები. ამ ეტაპისათვის ბავშვები უკვე იწყებენ სხვების პასუხად ღიმილს და თავის მიბრუნებით გამოხატავენ ინტერესს სხვადასხვა ხმების, კაშკაშა ან მოძრავი საგნების მიმართ. მათ შეუძლიათ თვალი მიადევნონ მოძრავ ობიექტს და აქვთ უკეთ ფიკუსირების უნარი. ეს კარგი დროა იმისათვის, რომ წინ წასწიოთ ბავშვის განვითარება მასთან საუბრის, სიმღერის, ფაქიზი მასაჟისა და სათამაშოების ხელში დაჭერის საშუალებით.



### 3-დან 6 თვემდე ასაკის ბავშვები

ჩვილ ბავშვს ამ ეტაპზე უკვე სჭირდება დღეში 5-ჯერ კვება. 6 თვის ასაკისათვის შეგიძლიათ დაიწყოთ მისთვის გარკვეული მყარი საკვების მიცემა და თითო კვება; სხვადასხვა ბავშვისათვის სხვადასხვა ასაკში. მას შეუძლია თავის დაჭერა და ზემოთ აწევა მუცელზე წოლისას. ჩვილი ბავშვები ეგუებიან ხელისა და ფეხის თითების არსებობას და შესაძლოა ხშირად შენიშნოთ ისინი თუ როგორ იდებენ მათ პირში. მათ შეუძლიათ გადაკოტრიალება, შეუძლიათ სიცილი და იწყებენ ბგერების წარმოთქმას ან მიბაძვას. ბავშვისათვის შესაძლოა დამთრგუნველი აღმოჩნდეს მომვლელის ან დედის თვალთახედვის არედან გაუჩინარება.



### 6-დან 9 თვემდე ასაკის ბავშვები

ამ ეტაპზე ჩვილებს უკვე შეუძლიათ სათამაშოების ორივე ხელით ჩაბღუჯვა და ერთი ხელიდან მეორეში გადატანა. თანდათანობით უფრო და უფრო მეტი დროით შეუძლიათ დგომა. უფრო მეტად აკონტროლებენ თავიანთ კიდურებსა და ხელებს. მათ ძალიან მოეწონებათ უფროსებთან ინტერაქტიული თამაშები.

ბავშვის კვების რაოდენობა დღეში დაახლოებით ოთხამდე შემცირდება, რძისა და მყარი საკვების მიცემით. ბავშვმა შეიძლება იძინოს მთელი ღამის განმავლობაში.



### 9-დან 12 თვემდე ასაკის ბავშვები

ამ ეტაპზე ბავშვს უკვე შეუძლია წამოიწიოს დასაჯდომად ან დასადგომად, იწყებს აქეთ-იქით ხოხვას, ამას როგორც წესი, ოთხზე დამდგარი აკეთებს. მას შეუძლია ხელით მიგანიშნოთ რაიმე საგანზე და იყენებს ცერსა და საჩვენებელ თითს მარწუხისებრი ჩაჭიდებისთვის. ის გამოსცემს გარჩევად ბგერებს, როგორცაა „დედა“, „მამა“, ესმის სიტყვა „არა“-ს მნიშვნელობა, დამშვიდობების ნიშნად გიქნევთ ხელს. ის შეიძლება იყოს ცნობისმოყვარე და ავეჯის გარშემო ხოხვით გამოიკვლიოს ოთახი. ბავშვის კვების რაოდენობა უცვლელი რჩება - დღეში 4-ჯერ. დღის განმავლობაში ძილი რამოდენიმეჯერ დაჭირდებათ, ხოლო ღამით შესაძლოა 12 საათიც კი ეძინოთ.



### 12-დან 18 თვემდე ასაკის ბავშვები

ბავშვის მოძრაობები უმჯობესდება; მას უკვე შეეძლება კიბეებზე აბობლება და სიარული. ისინი შეძლებენ ყოველდღიური გამოყენების ნივთების - თმის ჭაგრისი ან კოვზი - დანიშნულებისამებრ მოხმარებას. მათ მოსწონთ ყუთებში ნივთების ჩაწყობა-ამოღობა, კუბურების ერთმანეთზე დაწყობა და ზოგადად, სათამაშოების გამოყენება.

ისინი იწყებენ კოვზის გამოყენებით დამოუკიდებლად ჭამას. მათ ესმით და ემორჩილებიან მარტივი ტიპის ბრძანებებს და შეუძლიათ რამოდენიმე სიტყვის წარმოთქმა.



### 18 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვები

**მსხვილი მოტორული უნარები:** ამ ეტაპზე ბავშვს შეუძლია გამართულად და სხვების დაუხმარებლად სიარული, შეუძლია შეჩერდეს იატაკიდან სათამაშოს ასაღებად და ფეხი დაარტყას ბურთს. **ნატიფი მოტორული უნარები:** მას შეუძლია ჭლაბნა ხელში ჩაბლუჭული კალმით ან ფანქრით. მას შეუძლია გარკვეულწილად აკონტროლოს შარდის ბუშტის ან კუჭის მოქმედება. **ენა და კოგნიტური უნარები:** მათი ლექსიკური მარაგი იზრდება სწრაფი ტემპით და მათ შეუძლიათ მოკლე ფრაზების წარმოთქმა. მათ შეუძლიათ გადაფურცლონ გვერდები სქელ ან ქსოვილის ნაჭრისგან დამზადებულ წიგნში და მიუთითონ სურათებზე. სხვადასხვა ნივთს მოითხოვენ მათკენ ხელის გაშვებით და მითითებით.



### 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვები

**მსხვილი მოტორული უნარები:** ფიზიკურად ბავშვს უკვე მეტი რამ შეუძლია, ადის კიბეებზე ყოველ საფეხურზე ორივე ტერფის დადგმით, შეუძლია ბურთისათვის ფეხის დარტყმა და მისი ტყორცნის მცდელობა. ბავშვს შეუძლია ჩაცუცქვა, სამბორბლიანი ველოსიპედის გატარება იატაკზე ფეხების დაყრდნობით, ასევე შეუძლია პატარა ზომის სასრიალოზე აცოცება.

**ნატიფი მოტორული უნარები:** პასტელის ხელში უკეთ ჭერით (სამი თითით დაჭერა) ბავშვებს შეუძლიათ მარტივი ტიპის ფორმებისა და ხაზების გადახატვა; ისინი შეძლებენ პატარა ზომის კოვზის ან ჩანგლის დაჭერას ჭამისას და ასევე შეძლებენ ცოტაოდენი სითხის დაღვრით ჭიქიდან დაღვას.

**ენა და კოგნიტური უნარები:** კომუნიკაციისას შეეძლებათ მოკლე წინადადებების გამოყენება, შეეძლებათ ნივთების დასახელების ჩამოთვლა და შეკითხვის დასმა, მაგ. „ეს რა არის?“. ისინი ცნობისმოყვარეობას გამოიჩენენ მათ გარშემო არსებული სამყაროს მიმართ, იქნებიან გამუდმებით სწავლის და კვლევის პროცესში.

**თამაში და სოციალური უნარ-ჩვევები:** ამ ეტაპზე ბავშვი როგორც წესი სხვა ბავშვების გვერდით თამაშობს - პარალელურ თამაშს ან მარტო, განმარტოებულ თამაშს. მათი თამაში გამოხატავს იმას, თუ როგორ აზროვნებენ ისინი და შესაძლებელია პატარა ზომის ნივთების და მინიატურული სათამაშოების გამოყენებით რეალური სამყაროს წარმოდგენა - წარმოსახვითი თამაში. ეს იმის მანიშნებელია, რომ ბავშვი აზროვნებს და იყენებს სხვადასხვა ნივთებს სიმბოლურად და მდიდარი წარმოსახვით. ამ ასაკში ბავშვს შეუძლია თანაგრძნობის გამოხატვა, ტირილისას ან მოშიებისას ეხუტებიან თოჯინას ან დათუნას; ისინი ასევე გამოხატავენ სიმპათიას და სიყვარულს მზრუნველის მიმართაც. ისინი იწყებენ თავისით ჩაცმა-გახდას და კარგად აკონტროლებენ შარდის ბუშტის და კუჭის მოქმედებას დღის განმავლობაში, ზოგიერთი კი ღამის განმავლობაშიც.



### 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები

**მსხვილი მოტორული უნარები:** ბავშვები კარგად აკონტროლებენ მსხვილ მოტორულ მოძრაობებს და ათვისებული აქვთ ხტუნვა, აცოცება, წონასწორობის დაცვა, გადახტომა და სირბილი. მათ შეუძლიათ ბურთის ახტუნება, დაჭერა, ფეხის დარტყმა და სტყორცნა, ასევე შეუძლიათ სამბორბლიანი ველოსიპედის ტარება.

**ნატიფი მოტორული უნარები:** ბავშვს უკვე შეუძლია წრის შემოხაზვა და ხაზების გავლება, ასევე შეუძლია ადამიანის თავის მაგვარი ფიგურის დახატვა. მათ შეუძლიათ დახატონ უბრალო აგურების ნიმუშები, ააწყონ მარტივი მოზაიკა-თავსატეხი, ააცვან ძაფზე მსხვილი მძივები და ღებონ დიდი ზომის ფუნჯებით.

**ენა და კოგნიტური უნარები:** ბავშვები ისწავლიან ფერებისა და ფორმების ცნობას, დათვლას და შეედლებათ ასოების და რიცხვების ფორმების ცნობა. ისინი შეძლებენ საგნების დახარისხებას და გაარჩევენ სხვაობას. ისინი ზეპირად ისწავლიან რიცხვების თანმიმდევრობას და საბავშვო ლექსებსა და სიმღერებს. ისინი შეძლებენ წარსულის გახსენებას და მომავალზე საუბარს. მათი ლექსიკური მარაგი მნიშვნელოვნად გაიზრდება, ისინი შეძლებენ საუბრის მოსმენას და გაგებას. ბავშვები დაიწყებენ უამრავი შეკითხვის დასმას და ხშირად გკითხავენ „რატომ?“, „რა?“, „სად?“ და „როდის?“. ისინი ადვილად დაეუფლებიან გრამატიკის დიდ ნაწილს.

**თამაში და სოციალური უნარები:** ბავშვებს უკვე შეეძლებათ ერთმანეთთან ერთობლივად თამაში და ისწავლიან გაზიარებას; ისინი შეძლებენ მოგონილ თამაშში როლების განსახიერებას. ასევე ბავშვები შესაძლოა გახდნენ დამსაკუთრებლები .

მათ უფრო მეტად შეუძლიათ რიგრიგობით თამაში. ასევე მოეწონებათ მარტო თამაშიც. დამოუკიდებლად იწყებენ საჭირო ოთახის გამოყენებას.



### 4-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები

**მსხვილი მოტორული უნარები:** ამ დროისათვის ბავშვების უმეტესობას შეეძლება წონასწორობის კარგად დაცვა და სხეულის წონის გადანაწილება; ხტუნვა, ასკინკილა, ფეხისწვერებზე სირბილი. საკმაოდ დაოსტატებულად ადიან-ჩადიან კიბეებზე და ადგამენ ცალ ტერფს თითო საფეხურზე.

**ნატიფი მოტორული უნარები:** ბავშვებს აქვთ უნარი ფანქრის ხელში კარგად დაჭერის - სამი თითის გამოყენებით, შეუძლიათ ასოების გადანერა და ფორმების გადახატვა მათთვის ნაცნობი ფიგურების და ფორმების მიხედვით. მათ შეუძლიათ ასაწყობი კონსტრუქციების აგება კუბურებით და სხვა ნივთების გამოყენებით.

**კოგნიტური უნარები:** ბავშვებს ამ ეტაპზე შეუძლიათ ფერების დახარისხება-დანყვილება, საგნების დახარისხება-დანყვილება და შესაფერისი სურათების დანყვილება. მათ შეუძლიათ ააწყონ რამოდენიმე დიდი ნაწილისაგან შემდგარი მოზაიკა-თავსატეხი. ასევე შეუძლიათ დათვლა და იწყებენ რიცხვებისა და ასოების ცნობას, შეუძლიათ ამოიცნონ დანერვილი საკუთარი სახელი. შეუძლიათ თავიანთი მისამართის და საბავშვო ლექსების დაზეპირება. მათი ენობრივი შესაძლებლობები და ლექსიკის მარაგი მზარდია.

**თამაში და სოციალური უნარები:** 5 წლის ასაკისთვის მათ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად ჩაცმა და გახდა. მათ უკვე შეუძლიათ საკუთარი თამაშების მოწყობა და სხვადასხვა ტიპის თამაშებში მონაწილეობის მიღება. ისინი სიამაყის გრძნობით ხვდებიან თავიანთ წარმატებებს და უმეტეს შემთხვევებში არ ისვენებენ ღამ-ღამობით. მათ შეუძლიათ საკმაოდ კარგად და მოხერხებულად გამოიყენონ დანა-ჩანგალი და კოვზები. ესმით სწორსა და არასწორს შორის ძირითადი განსხვავება.



## 6 წლის ასაკის ბავშვები

**მსხვილი მოტორული უნარები:** ამ დროისათვის ბავშვები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან საკუთარ უნარ-ჩვევებში და იკრებენ ძალას და სიმარდეს. მათ შეუძლიათ აყვინ მუსიკის ტაქტს ორივე ფეხისა და ხელების გამოყენებით, უფრო კოორდინირებულად შეუძლიათ რთული მოძრაობებისა და თანმიმდევრული მოძრაობების განმეორება. უკეთ იცავენ წონასწორობას და შეუძლიათ ველოსიპედის მართვის სწავლა.

**ნატიფი მოტორული უნარები:** ამ ასაკისათვის ბავშვებს უკვე უნდა შეეძლოთ თავიანთი სახელების დაწერა, ხატვა და გადახატვა. კონსტრუქციების დიაგრამების მიხედვით შეუძლიათ კომპლექსური ნაგებობების აწყობა სათამაშო კუბურებით. მათ შეიძლება დაწერონ მოკლე, მარტივი ტიპის მოთხრობა. ასევე შეეძლებათ ღილების შეკვრა და თასების უკეთ განასკვა.

**ენა და კოგნიტური უნარები:** ზოგადად, ამ ეტაპზე ბავშვებს უყალიბდებათ ზომის, წონის, მანძილისა და დროის აღქმის უნარი და იციან სხვადასხვა მასალის თვისებების ცნობა. ისინი დაკვირვებით უყურებენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს და შეუძლიათ შეამჩნიონ მფრინავი ან ჩაძირვადი ობიექტები. მათ შეუძლიათ გაგაგებინოთ თავიანთი საჭიროებების შესახებ და ასევე, აგყვეთ ხანგრძლივ საუბარში. შეუძლიათ როგორც ნაამბობის გამეორება, ასევე ახლის მოყოლა.

**თამაში და სოციალური უნარ-ჩვევები:** მათ ესმით თამაშის წესები და გამოხატავენ ინტერესს ამ წესების შემოღებასთან დაკავშირებით! შეუძლიათ ჩაერთონ კომპლექსურ როლურ თამაშებში, სადაც შეიძლება გამოიკვეთონ ლიდერები და მიმდევრები. მათ ესმით თუ რა არის სამართლიანობა. შეუძლიათ და აქვთ სურვილი შეასრულონ სახლის ზოგიერთი საქმიანობა, როგორცაა ჭურჭლის დარეცხვა, მტვერის გადანმენდა და დალაგება.



## ბავშვის განვითარება 6-დან 9 წლამდე ასაკში

**მსხვილი მოტორული და ფიზიკური უნარ-ჩვევები:** ისინი არიან ფიზიკურად შეძლებულნი და კარგად განვითარებულები, უვითარდებთ სწრაფი რეაქციის უნარი. ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ისწავლონ ველოსიპედის ტარება, სიმაღლეზე ცოცვა და ცურვა. როგორც წესი, ისინი სავსე არიან ენერჯით.

**ნატიფი მოტორული უნარები:** მათი ნაწერი უფრო გამოკვეთილი და აკურატული ხდება. შეუძლიათ ნახატების დახატვა დეტალებში. ისინი არჩევენ მარჯვენა-მარცხენას.

**ენა და კოგნიტური უნარები:** როგორც წესი, უკვე შეუძლიათ კითხვა და დროის ცნობა. მათი ენა უფრო მეტად კომპლექსურია და საუბრისას დროებს იყენებენ სწორად. მათ შეუძლიათ უკვე მომხდარი მოვლენების გახსენება და წარსულში მომხდარი ამბების აღწერა.

**თამაში და სოციალური უნარ-ჩვევები:** ამ ასაკის ბავშვებს ესმით, რომ თამაშებსა თუ ურთიერთობებში არსებობს წესები და შეუძლიათ ამ წესებზე მორგება. შესაძლოა მათ დაჭირდეთ გარკვეული დახმარება უფროსის მხრიდან ამ წესების მათთვის ასახსნელად. ისინი ხდებიან უფრო პასუხისმგებელიანები. იწყებენ სხვათა თვალთახედვის გაგებას და უყალიბდებათ თანაგრძნობის უნარი. სიმართლის დასაფარად მათ შეიძლება გითხრონ ტყუილი. შესაძლოა ბოლომდე არ ესმოდეთ სწორისა და არასწორის არსი.



### ბავშვის განვითარება 9-დან 12 წლამდე ასაკში

**მსხვილი მოტორული და ფიზიკური უნარ-ჩვევები:** მათ იციან მათი სექსუალური იდენტობა და შედიან სქესობრივი მომნიშვნის პროცესში. გოგონებში ეს პროცესი შესაძლოა ორი წლით ადრე დაიწყოს ვიდრე ბიჭებში. ამი გამო ისინი შესაძლოა მორცხვობდნენ და სურდეთ თანატოლებზე მორგება. მათ აქვთ მეტი ამტანობა. ბავშვები სწრაფი ტემპით იზრდებიან და განიცდიან ფიზიკურ ცვლილებებს; გოგონები უფრო მომრგვალებულ ფორმას იძენენ და ეზრდებათ მკერდი; ბიჭებს ეზრდებათ კუნთოვანი მასა. ორივე სქესის მოზარდებს ეზრდებათ თმა ბოქვენსა და ილღებში.

**ნატიფი მოტორული უნარები:** მათ შეიძლება გაუჩნდეთ თავიანთი ჰობი და გამოიყენონ ნატიფი მოტორული უნარები კერვის ან ხის ნაკეთობების დასამზადებლად. მათ შეუძლიათ ძალიან დეტალურად ხატვა.

**კოგნიტური უნარები და ენა:** უფრო და უფრო მეტად შეუძლიათ აბსტრაქტული ცნებებისა და სამეცნიერო აზრის გაგება.

**სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები:** ისინი უერთდებიან ცეკვის, სიმღერის, მუსიკის, კადეტთა, სპორტულ ან სამსახიობო გუნდებს ან ჯგუფებს. იწყებენ თავიანთი გარეგნობისა და საკუთრების არსის გაცნობიერებას. შეიძლება იყვნენ მგრძნობიარენი - გამოხატონ თანაგრძნობა ან მიაყენონ ზიანი. ამ ასაკის ბავშვები იზრდებიან დამოუკიდებელ გარემოში და, როგორც წესი, მეგობრობენ თავისივე სქესის ბავშვებთან. ისინი ფიქრობენ საკუთარ თავსა და ქმედებებზე და სწავლობენ პრობლემების გადაჭრას.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ბავშვის განვითარების ტემპები ძალიან განსხვავდებულია ხოლმე და აღმზრდელები ფრთხილად უნდა მიუდგნენ ბავშვების მიერ საკუთარი თავის აღქმის საკითხს.



### ბავშვის განვითარება 12-დან 17 წლამდე ასაკში

**ფიზიკური, მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები:** ზოგიერთ ბავშვს უკვე მიღწეული ექნება სქესობრივ მომნიშვნეამდე, ხოლო ნაწილს ჯერ კიდევ არაა. ბავშვები განიცდიან შემდეგი სახის ფიზიკურ ცვლილებებს: სწრაფი ტემპით ზრდა, წონის ცვლილებები, ძვლოვანი მასის ზრდა და მინერალიზაცია, შინაგანი ორგანოებისა და სისტემების განვითარება და მომნიშვნეა. სწრაფმა ცვლილებებმა შესაძლოა მათში გამოიწვიოს საკუთარი იდენტობის ხელახლა განსაზღვრა. ისინი შესაძლოა მიუბრუნდნენ ბავშვურ ქცევებს ან ეცადნონ იყვნენ ზრდასრულნი. მათ შესაძლოა განიცადონ ხასიათის უეცარი ცვლილებები ან უკიდურესი ემოციების ამოფრქვევა, რაც გამოწვეულია ჰორმონების მიერ მათი სხეულისა და ციკლის ცვლით.

**კოგნიტური უნარები და ენა:** ისინი იწყებენ საკუთარი იდეებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბებას. მათთვის გასაგებია რთული და აბსტრაქტული აზროვნება. თუკი საშუალება მიეცემათ ისინი დაეუფლებიან დისკუსიის, დარწმუნებისა და კამათის ხელოვნებას. ეს მათ გამოადგებათ წიგნების სწავლისა და ესეების წერისას, რათა იყვნენ კრიტიკულნი, ანალიტიკის უნარის მქონე, თუმცა ამავედროულად დაბალანსებული.

**სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები:** ფიზიკური/გარეგნული ცვლილებები დიდ გავლენას ახდენენ ბავშვების სოციალურ და ემოციურ მხარეზე. ისინი იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ზრდასრული ადამიანები არ არიან იდეალურები. ისინი თავს გრძნობენ შეუმჩნეველად და იწყებენ შესაბამისად მოქმედებას - ხდებიან ან ძალიან გაბედულნი და უდარდელნი ან გაუბედავი და მორცხვები. ისინი შესაძლოა გახდნენ სოციალურად შეგნებულები და ზრუნავდნენ სხვების კეთილდღეობაზე. ურთიერთობენ

თანატოლთა შერეულ ჯგუფებთან და მათზე დიდ გავლენას ახდენს ჯგუფის მხრიდან მათდამი დამოკიდებულება. მოგვიანებით, როგორც წესი, ისინი იწყებენ მეგობრობას მხოლოდ თავისივე სქესის წარმომადგენელ თანატოლებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხვდებიან საპირისპირო სქესის პირს.

ამ დროს მოზარდს უკვე სჭირდება ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის მოპოვება, თუმცა, კვლავინდებურად საჭიროებს საიმედო სახლს და სანდო ზრდასრული პირების მხარდაჭერას.

***„ის, თუ როგორ ეპყრობა საზოგადოება ბავშვებს, აისახება არა მარტო მათ მიმართ გამოხატული თანაგრძნობით და ზრუნვით, არამედ სამართლიანობის შეგრძნების, მომავალზე ვალდებულებების აღებასა და იმის სურვილში, რომ უკეთესი გახადონ ადამიანთა მდგომარეობა მომავალი თაობებისათვის.“***

ციტატა გაეროს გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელარის სიტყვით გამოსვლიდან, 1987 წლის სექტემბერი.

## ბრიტანული საიტები

---

აუტიზმი

[www.autism.org.uk](http://www.autism.org.uk)

„პორტაჟი“ - Portage

[www.portage.uk](http://www.portage.uk)

ცერებრული დამბლა და შებლუდული ფიზიკური შესაძლებლობები

[www.scope.org.uk](http://www.scope.org.uk)

მხედველობის და სმენის დაქვეითება

[www.sense.org.uk](http://www.sense.org.uk)

სწავლის უნარის დაქვეითება

[www.mencap.org.uk](http://www.mencap.org.uk)

Board Maker

[www.inclusivetechology.co.uk](http://www.inclusivetechology.co.uk)

სურათები კომუნიკაციისათვის

[www.do2learn.com/picturecards](http://www.do2learn.com/picturecards)

[www.widgit.com](http://www.widgit.com)

ეპილეფსია

[www.epilepsy.org.uk](http://www.epilepsy.org.uk)



## ჩამონერეთ დამატებითი ვებ-გვერდები

---

დამატებითი ინფორმაციისათვის  
ენზეთ ჩვენს ვებ-გვერდს შემდეგ  
მისამართზე: [wearelumos.org](http://wearelumos.org)

მოგვცდებნეთ „ტვიტერზე“ - @Lumos  
ან მოგვწერეთ ელ-ფოსტა შემდეგ  
მისამართზე [info@wearelumos.org](mailto:info@wearelumos.org)

Lumos Foundation, დაარსებული ჯ.კ.  
როულინგის მიერ, არის შებენიანი  
პასუხისმგებლობის კომპანია,  
რეგისტრირებულია ინგლისსა და  
უელსში, რეგ. no. 5611912

საქველმოქმედო ორგანიზაციის  
სარეგისტრაციო no.1112575

© Lumos 2016. ყველა უფლება  
დაცულია. (12.15)

